




9(2), 14-17, 4.3  
ရန်ကုန်မြို့မာ „ခိုင်းတလဲရှင်း“ အပိုဒ်နိုဂုဏ်ရှင်း၏

# သနပ္ပါယ ပြောကြုံ

အော်ဆုံး ပျော်စွဲများ၊ အော်ဆုံး ပျော်စွဲများ၊


K 25.193  
3



ပိုစိတ်ဝင်း ရ. ဘိုင်းမြို့မာ ရာ ဂ. ဝိုင်းမြို့မာ မိုးမြို့မာ.




#



ရ. ရှိတာစွဲ

ပြောကြုံ ပ. ဒုတိယပိုးမြို့မာ

1918 ဧ.



5605 - alg 4 hns

5605  
2



キ

148 B. 22 la. Gedr. 2

# წინასი ტეგათა.



ჩვენი „ახალი ისტორია“ ვინოგრადოვის წიგნის მიხედვით  
„ახალი ისტორიის სახელმძღვანელო“) არის შედგენილი. მა-  
სალის დანაწილება და გაშუქებაც თითქმის საფსებით ამ წიგ-  
ნიდან არის ამოღებული; თვით ტექსტიც ძალიან ხშირად იქ-  
დანვე არის ნათარგმნი. მაგრამ ჩვენს შრომას თარგმანი მაინც  
ვერ ვუშოდეთ; ვერ ვუშოდეთ მიტომ, რომ როგორც ტექსტში,  
ისე მასალაშიც იმდენი ცვლილება შევიტანეთ, რომ ჩვენმა  
ნაშრომში ვინოგრადოვის წიგნთან შედარებით განსხვავებული  
სახე მიიღო.

დ. უ.

10, VII, 1918 წ.



## რენესანსი

ა 6 უ

## პოლონეზის ხანა.

თავი I.

## კათოლიკური ეკლესიის დაცვა.

კათოლიკური საქრისტიანო ეკლესიამ დიდი სამსახური გაუწია  
ეკლესია. კაცობრიობას: მან იხსნა საზოგადოება და გა-  
ნათლება იმ ყოველმხრივი დაქვეითების ღროს, რომელიც რო-  
მის იმპერიის არსებობის უკანასკნელ საუკუნეებში დაიწყო და  
გარდაროსების ბატონობის ხანაშიც გაგრძელდა. მისი სულიე-  
რი სიძლიერის წინაშე ქედს იხრიოდნ მხეცი და უსასტიკესი  
გარდაროსებიც კი. კათოლიკური ეკლესია ცდილობდა რო-  
გორც სასულიერო, ისე საერო საქმეების ხელში ჩაგდებას.  
მისი შეხედულებით, იგი მოწოდებული იყო არა მარტო ხალ-  
ხის ყოფაქცევის თვალყურის სადევნელად, არამედ სახელმწი-  
ფოების სამართავადაც; მისი აზრით საერო მთავრობები მის  
მიერ არიან შექმნილნი და მასვე უნდა გქვემდებარებოდენ და  
ამ სახით მთელი კათოლიკური მსოფლიო თეოკრატიად ანუ  
„ღვთის სამეფოდ“ უნდა გარდაიქცეს. ეკლესიას ყველაზე უფ-  
რო ხალხის აზროვნებასა და მოქმედებაზე გაბატონება აინტე-  
რესებდა, მიტომ რომ მან იცოდა, რომ ეს თვით ხალხზე გა-

ბატონებას ნიშნავდა. ამისთვის კი თვით ეკლესიის სათანადო თრგანიზაციის შექმნა იყო საჭირო. და კათოლიკებმა ეკლესიისა და თეოკრატიის სათავეში პაპი დასვეს. გრიგოლ მე-VII თავის ნებით მოახდინა სამღვდელოების ოეფორმა და იძერატორს საერო უზენაეს უფლებიანობას ეცილებოდა; ინნოკენტი მე-III კი ის აზრი გაატარა, რომ უველა ქრისტიანი მეფეები პაპის ტახტის ვასსალები არიან.

მწარე შედეგები მოჰყვა თეოკრატიის შექმნისათვის ამ არა-ჩვეულებრივ ხასიათის ცდას. ჯვაროსანთა ომები დამარცხებით დამთავრდა; ამას გარდა აღმოჩნდა, რომ ევროპის თვითოფული ერი სცდილობდა შექმნა თავისი განსხვავებული, თავისებური სახელმწიფო და მას აზრადაც არ მოსდიოდა ნაციონალური სახელმწიფოს ინტერესი თეოკრატიის ინტერესებისათვის დაექვემდებარებია. ეს ნათლად გამოაშკარავდა იმ ერთ-სულოვნებაში, რომლითაც ფრანგები ფონიფაციუს VIII-სა და ფილიპე ლამაზის ბრძოლის დროს ამ უკანასკნელს მიემხრენ. ეს ეროვნული სახელმწიფოს იდეის გამარჯვებასა და თეოკრატიის ნიაღავის დასუსტებას ნიშნავდა. ამას ისიც დაემატა, რომ მალე თვით პაპობამაც დაპკარგა ის ზეობრივი ძალა, გარკვეული პოლიტიკა და თავისი საკუთარი თავის რწმენა, რომელიც მას მე-XI, მე-XII და მე-XIII საუკუნოებში ახასიათებდა და ძალას მატებდა.

დ ი დ ი ბონიფაციუს მე-VIII შეურაცყოფის შემდეგ განხეთქილება. დაიწყო ხანა პაპთა ბაბილონის ტყვეობისა ავინიონში (1308—1377); ამით მოიშალა საუკუნოებრივი კავშირი პაპის ტახტსა და ქალაქ-რომის შორის. გრიგოლ მე-XI რომში დაბრუნება საბაბი შეიქმნა ახალი არევ-დარევისათვის: ფრანგი და იტალიელი კარდინალები გაიყვნენ მისი მემკვიდრის ამორჩევის დროს; ერთი პაპის მაგიერ ორი იქმნა არჩეული. ერთს დაემორჩილა გერმანია, იტალია, ინგლისი; მეორეს—საფრანგეთი, ესპანია და შოტლანდია. პაპის უფლე-

ჲის ავტორიტეტს ძირს უთხრიდა ეს არევ-დარევა; მოწინააღ-  
მდევენი სცდილობლნენ ერთმანეთისათვის ბიწიერება დაეწამე-  
ბიათ და ლაფი გადაესხათ. მორწმუნებისთვის შეუძლებელი  
შეიქმნა იმის გარკვევა, თუ რომელი მათგანი იყო მართალი,  
რომ შეგნებით დაეჭირათ მხარი ამა თუ იმ პაპისთვის. მაგრამ  
„დიდი განხეთქილების“ გავლენა უფრო შორს წავიდა. უკვე  
საკითხი დაისვა იმის შესახებ, შესაძლოა თუ არა საზოგადოდ  
პაპი ეკლესიის თავად ითვლებოდეს. ეჭვების გაფანტვისა და  
გაუგებრობის თავიდგან აცილების მაგიერ „დიდი განხეთქი-  
ლების“ დროის პაპებმა თვითონ შეუწყვეს ხელი ამ ეჭვებსა  
და გაუგებრობის გალრმავებას. ამიტომ ეკლესიის შეერთებისა-  
თვის საჭირო შეიქმნა სხვა ავტორიტეტის გამონახვა. და აი  
პარიზის უნივერსიტეტი, რომელიც სალვტისმეტყველო მეცნი-  
ერების საუკეთესო კერად ითვლებოდა, ჩაერია საქმეში და  
აზრი გამოსთქვა, რომ არსებული დავის გადასაწყვეტად მსო-  
ფლიო კრების მოწვევა იყო საჭირო, რომელიც, როგორც  
წარმომადგენლობა მთელი საქრისტიანო მსოფლიოსი, პაპებ  
მაღლა უნდა მდგარიყო, და ამიტომ მხოლოდ მას შეეძლო  
არევ-დარევისა და სადავო საკითხის გადაჭრა. მაგრამ ეს შე-  
ხედ ულება, ძირითადად ეწინააღმდევებოდა იმ იდეას, რომე-  
ლიც პაპობის უზენაესობის აღსარებაში მდგომარეობდა და  
რომელსაც დღემდი მთელი დასაცლეთი ევროპის აზროვნებაში  
მტკიცე ფესვები ჰქონდა გადგმული. ხოლო მდგომარეობა მა-  
ინც იმგვარი იყო, რომ ამის მიუხედავად საეკლესიო კრების  
მოწვევა აუცილებელი და მასთანავე ერთად ერთი გამოსავალი  
შეიქმნა. 1414 წელს ერთი პაპთაგანი იმპერატორ სიგიზმუნდს  
შეუთანხმდა კონსტანციუში კრების მოწვევის შესახებ, ამ კრე-  
ბის რამდენიმე ათასი სამღვდელო პირი და აუარებელი ერის-  
კაცი დაესწრო. კრებამ თავისი თავი მსოფლიო კრებად გამო-  
აცხადა, თუმცა იქ აღმოსავლეთის ეკლესიების წარმომადგენ-  
ლები არ ყოფილან. აქ მთავარ მომქმედ პირებად პარიზის  
უნივერსიტეტის პროფესორები გამოდიოდენ, რომელთა შო-

რისაც განსაკუთრებით ჟერსონმა ისახელა თავი. კრებამ უწინარეს ყოვლისა ყველა პაპი გადაყენებულად გამოაცხადა და მათ მაგიერ პაპად კარდინალი კოლონნა ირჩია მარტინ მე-V სახელწოდებით. კრებამ დასასრულ თავისი უზენაეს უფლებიანობა აღიარა და ყოველი ქრისტიანი, მაშასადამე პაპიც მოვალედ გამოაცხადა-ყველა მისი განკარგულება სარწმუნოების ნიადაგზე აგსრულებია, ამგვარად კონსტანტის კრებაზე პარიზის უნივერსიტეტის იდეამ გაიმარჯვა და ეკლესიის მეთაურად პაპი კი არა, საეკლესიო კრება გამოცხადებული იქნა.

**ჯონ** იმ დროს, როდესაც ღვთისმეტყველები საეუიკლიფი. კლესიონ კრებათა მნიშვნელობის აღდგენას სცდოლობდნენ, ცხოვრებაში მეორე გვარი მოძრაობა ჩაისახა, მოძრაობა, რომელიც მარტო პაპს კი არა, კათოლიკური ეკლესიის მთელ წეს-წყობილებას ემუქრებოდა. შეუფერებლობა სამღვდელოების პრეტენზიებსა და მის ზნეობას შორის, გაუმაძრობა, პირეფერობა და აღვირახესნილობა მღვდლებისა და ბერების და მათი ვაჭრული განწყობილება თავის ვალდებულებისადმი საზოგადოებაში ხშირად სამართლიან აღმფოთებასა და გაკიცხვას იწვევდა. პაპობის დასუსტებისა გამო თვით საეკლესიო დისკიპლინაც დაირღვა, ყველა ამის გამო ღვთისმეტყველთა და საერო პირთა შორის გაჩნდა პარტია, რომელიც სამღვდელოების ძირითად რეფორმას მოითხოვდა. ეს მოძრაობა განსაკუთრებით ინგლისში გაძლიერდა. ეს ადვილი გასაგებია. ინგლისი, როგორც უფრო დაშორებული ქვეყანა, ყველაზე უფრო ადრე განთავისუფლდა პაპობის ბატონობის კლინიკებისაგან. XIII საუკუნიდან დაწყებული აქ თანდათანობით იკიდებდა ფეხს იდეა დამოუკიდებელი ეროვნული ეკლესიისა. მეფეები ყოველდღე სპობდენ პაპების უფლებებს ინგლისში და ბოლოს საქმე იქამდისაც მივიღა, რომ საეკლესიო საქმეები, რომელიც წინად პაპის კურიაში (საბჭო და სასამართლო პაპისა) წყდებოდა, ეხლა ინგლისში ირჩეოდა.

ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ პაპის ავტორიტეტი ინგლისში გაცილებით უფრო სუსტი ყოფილა, ვიდრე კონტინენტალურ სახელმწიფოებში.

XIV საუკუნეში საქე იმდენად მომწიფდა, რომ ინგლისში აშკარა მოძრაობა დაიწყო, რომელიც მიზნად ეკლესიის ძირითად რეფორმას ისახავდა.

ამ ახალი მოძრაობის მთავარი სულის ჩამდგმელი ოკსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, მღვდელი ჯონ უიკლიფი იყო. მას მხარს უჭერდა ბევრი საერო წარჩინებული პირი, სხვათა შორის, — ედუარდ მე-III ერთი ძმათაგანიც. უიკლიფი არა მარტო პაპების შეუსაბამო პრეტენზიებს ებრძოდა; იგი თვით ინგლისის სამღვდელოებასაც მკაცრად ჰკიცხავდა და მისი გასწორებისათვის საუკეთესო საშუალებად საეკლესიო ქონების კონფისკაციას სთვლიდა. ლონდონის ეპისკოპოსმა უიკლიფი პასუხისმგებაში მისცა, მაგრამ უიკლიფს დიდებულები უჭერდენ მხარს და ეპისკოპოსი ვერაფერს გახდა. უიკლიფმა თავისი მოღვაწეობა კვლავინდებურად განაგრძო.

იგი საკუთარი სიტყვით, კალმით და მოწაფეთა საშუალებით ავტორულებდა თავის შეხედულებებს საეკლესიო რეფორმის აუცილებლობის შესახებ. მისი მიმდევრები, ე. წ. „ლარიბი მღვდლები“ დადიოდნენ მთელი ინგლისის არე-მარეში, კავშირი ჰქონდათ მდაბით ხალხთან, რომელსაც გასაგებ მშობლოურ ენაზე ელაპარაკებოდნენ. მათი ქადაგება მით უფრო მეტს შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ ხალხი ისეც. ღელავდა, ბატონიშვილის მოსპობას და თავის ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებას ესწრაფოდა. 1381 წელს ამბოხება მოხდა, მაგრამ იგი ჩაქრობილ იქმნა, რომლის დროს უიკლიფის მიმდევრები-ეგრეთ წოდებული ლოლარდებიც ბევრი დაისაჯა. თვით უიკლიფი თავის სამრევლოში წაყიდა; იქ იგი კვლავ განაგრძობდა საღვთისმეტყველო საკითხების შესახებ კვლევაძიებას. უიკლიფის აზრები თანდათან გაბედული ხდებოდა და დაბოლოს ის მხოლოდ სახელით ითვლებოდა კათოლიკედ.

მან დაბადება ინგლისურად სთარგმნა, რათა იგი ერისკაცოა-  
თვისაც ხელმისაწვდომი გამხდარიყო. სარწმუნოებაში, მისი აზ-  
რით, საეკლესიო გადმოცემას ან პაპების დადგენილებას არა-  
ვითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი მხოლოდ ის იყო,  
რასაც ადამიანი საღვთო წერილის კითხვის დროს საკუთა-  
რი, თავისუფალი მსჯელობით თვითონ შეიგნებს. იგი ამ  
მოსაზრებას ემყარებოდა და ამიტომ მთავარი დოგმატების მთელ  
რიგს უარპყოფდა: საეკლესიო მოძღვრება საიდუმლოებათა  
შესახებ, მისი აზრით, თვითნებური და უკანონო იყო, გარ-  
დაქცევას ევქარისტიაში იგი უარპყოფდა; მას არ სწამდა აგ-  
რეთვე ზეთის კურთხევა და სინანული; იგი წინააღმდეგი იყო  
ეპისკოპოსობის ხარისხისა დი მარტო ღვდლობასა და დიაკ-  
ნობას აღიარებდა.

უიკლიფის მოძღვრებით ეკლესია იესო ქრისტეს სხეულია  
და, ვინც ეკლესიას ეკუთვნის, ის უნდა ცხონდეს; მაგრამ ჩა-  
ლესიას ეკუთვნიან არა ისინი, ვინც გარეგნულად ლებულობს  
მის მოძღვრებას, არა საპრედისტინო პირები, რომელებმაც სა-  
რწმუნოებრივი საქმეების გარეგნული ხელმძღვანელობა მიისა-  
კუთრეს, არამედ ისინი, ვინც ლმერთმა კეთილქრისტიანული  
ცხოვრებისა და ცხონებისათვის წინდაწინვე განამზადა.

პაპობის წინააღმდეგ უიკლიფი ლრმა სიძულვილით იყო  
განმსჭვალული. მისი რწმენით, პაპი ანტიქრისტეს მსახურია დე-  
დამიწაზე. მართალია, ამ მოძღვრებისათვის თვითონ უიკლიფს  
დიდი დევნა არ განუცდია, რადგანაც პაპობა მის დროს და-  
სუსტებული იყო. მაგრამ სამაგიეროდ მისი მიმდევრების წი-  
ნააღმდეგ არა მარტო სამღვდელოებამ გაილაშქრა, არამედ  
საერო მთავრობამაც, რადგან მათში არსებულ წესწყობილების  
მტრებს ხედავდა. ამ მიზეზით ლოლარდების გაძლიერება ინ-  
გლისში დროებით შეჩერებულ იქმნა.

## სეატის გამრცელება ინგლისში.

იან უკილიფის გავლენამ თავი იჩინა ჩეხიაში. ლუ-  
პოსი. ქსენბურგელ მეფეების დროს ამ ქვეყანამ მთელ  
შეს ევროპაში პირველი ადგილი დაიკავა, რაც, სხვათა შო-  
რის, სამზერიო მიწებზე უძველესის, პრივატურის  
დაარსებაში გამოიხატა. ამ უნივერსიტეტის პროფესორები და  
სტუდენტები ჩეხების, საქსონელების, ბავარიელებისა და პო-  
ლონელებისაგან შესდგებოდენ, თვითონ ხალხსაც დიდი გა-  
მოფხიზოება ეტყობოდა; ნათლად სჩანდა, რომ ხალხს საკუ-  
თარი გასწორებისა და საზოგადოებრივი ბოროტმოქმედების  
მოსპობის გზაზე უნდოდა დამდგარიყო. დიდი გასავალი ჰქო-  
ნდა იქ ამიტომ განსაკუთრებით მამაცსა და გაბედულ მქადა-  
გებლებს, რომლებიც სამღვდელოებისა და ერისკაცების ცო-  
დვებზე უთითებდენ და ცხოვრებაში ცვლილებების შეტანას  
მოითხოვდენ. არა ერთხელ მოუსურვებია ხალხს თავისი ყო-  
ფაქცევის გაუმჯობესება ამ ქადაგებების გავლენის მეოხებით.  
ქალები უარს ამბობდნენ ძვირფას სამკაულებზე, მოვახშეები  
სტოვებდნენ დასაგმობ საშუალებებს სიმღიდრის შესაძენად,  
გასართობი დაწესებულებები თავშესაფარად იწყობოდენ. მეო-  
რე მხრით ჩეხიაში თავი იჩინა ძლიერმა პოლიტიკურმა აგი-  
ტაციამაც-ჩეხებში ეროვნულმა თვითშეგნებამ, მშობლიური  
ენისა და ზნე-ჩვეულებების სიყვარულმა გაიღვიძა, ხოლო გერ-  
მანელებისადმი სიძულვილმა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხა-  
სიათი მიიღო. ამ განწყობილებამ უწინარეს ყოვლისა უნივერ-  
სიტეტში იპოვა გამოძახილი: აქ კარლოს IV-ეს განკარვულე-  
ბის ძალით პირველობა გერმანელთა ხელში იყო. ჩეხიელების  
გაღვიძებული ეროვნული თავმოყვარეობა ამ გარემოებას ვერ  
ურიგდებოდა და ამიტომ უნივერსიტეტში ძლიერი ბრძოლა  
გაჩაღდა ჩეხიელებსა და გერმანელებს შორის.

მე-XV საფუნქნები სარწმუნოებრივისა და პოლიტიკური  
მოძრაობის მთავარი წარმომადგენელი და ხელმძღვანელი ჩე-

ხიაში უნივერსიტეტის პროფესორი და ბეთლემის სამლოცველოს მქადაგებელი (პრაგაში) იან ჰუსი იყო. შთამომავლობით გლეხი, იგი სამხრეთ-დასავლეთ ჩეხიაში დაიბადა, სადაც სლავები და გერმანელები მეზობლად ცხოვრობდნენ და ერთმანეთისადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი. ჰუსმა უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა; ერთ დროს ის რეკტორადაც იყო არჩეული და ხეჩების პარტიას სათავეში უდგა. სიგიზმუნდის წინამოადგილე კენცესლავი კარგ განწყობილებაში იყო ჩეხებთან და უნივერსიტეტის წესდება მათ სასაჩვებლოდ შესცვალა: ჩეხებს სამი ხმა მიეცათ, ყველა დანარჩენებს კი-ერთი. ამ ცვლილებამ შეურაცხვო გერმანელი პროფესორები და სტუდენტები: მათ პრაგა დასტოვეს და ლეიპციგში წმინდა გერმანული უნივერსიტეტი დააარსეს.

ჰუსი მარტო ამ პრაქტიკული ხასიათის კითხვების მოწესრიგებაში მონაწილეობის მიღებით არ კმაყოფილდებოდა: როგორც პროფესორი, ის დიდის მუყაითობით მეცალინეობდა ღვთისშეტყველებაში. თუმცა კათოლიკიზმთან კავშირის გაწყვეტა მას ფიქრადაც არ მოსდიოდა, მაგრამ წინააღმდევი კი იყო საეკლესიო მთავრობის განკარგულებების ბრძან დამორჩილებისა; იგი საკუთარი თვალსაზრისის გამომუშავებას სცდილობდა და შემდეგ სინდისის ქვეშ იცავდა მას. ჰუსის მთავარ ხელმძღვანელად უიკლიფი შეიქმნა. ზოგ საკითხში ჰუსი უიკლიფს არ ეთანხმებოდა: მაგალითად, საიდუმლოებათა და კერძოდ ზიარების შესახებ ის სულ სხვა შეხედულების იყო, მაგრამ ინგლისელი რეფორმატორის აზრები საერთოდ მან მაინც სანიმუშოდ გაიხადა. სალვო წერილი მასაც სარწმუნოების ერთადერთ წყაროდ მიაჩნდა, ხოლო ცხონების ერთადერთ საშვალებას ლოცვითა და ქრისტიანული ცხოვრებით ღმერთთან დაახლოვებაში სჭვრეტდა.

საკითხი სამომავლოდ იყო ასეულობები უფროს  
ირცხვობის და მაგისტრობის დაცვული უზრუნველყოფის  
უზრუნველყოფის და სამომავლოს მამორენის

## ჰუსის ბრძოლა ეპლენის წინააღმდეგ.

ეს გულწრფელობამა და შეურვალე რწმენამ ჰუსს ძლიერი გავლენა მოუპოვა. ბეთლემის სამლოცველოში მას საშვალება ჰქონდა უბრალო ხალხთან საუბრისა, საეკლესიო კრებებზედ და სასახლეში — სწავლულებთანა და დიდკაცობასთან; ასე რომ მისი გავლენა ყველა საზოგაროებრივ წრეში იკატვდა გზას, მაგრამ განსაკუთრებით იგი უბრალო ხალხში შეიყვარა და შეითვისა.

საზოგადოდ მიღებულ კათოლიკურ შეხედულებებთან მას სხვა და სხვა შემთხვევებში უხდებოდა შეხვედრა. მაგალითად, უნივერსიტეტში დისპუტი შესლგა უიკლიფის მოძღვრების შესახებ, აქ ჰუსმა უშიშრად გამოსთვა თავისი აზრი ინგლისელი ლვოისმეტყველის შესახებ. 1412 წელს პაპმა, რომელიც ფულებს საჭიროებდა ნეაპოლიტანელ მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად, მქადაგებლები დაპგზავნა მთელს ევროპაში „ინდულენციების“ (ცოდვებისაგან განთავისუფლების) გასასყიდად — ყველას შეეძლო ფულის განსაზღვრული ჯამი გადაეხადა და ცოდვებისაგან განთავისუფლებულიყო. ჰუსმა ამ სასირცხო ვაჭრობის წინააღმდეგ გაილაშქრა და ყველგან თავგამოდებით ამტკიცებდა: არა ინდულენციებით, არამედ მონანიებითა და გასწორებით შეიძლება ცოდვების მიტოვებათ.

ის კიდევ უფრო შორს წავიდა: პაპის ბულლა ქრისტეს კანონს ეწინააღმდეგება და არც სავალდებულოა ქრისტიანებისათვისთ, — განაცხადა მან. ამის შედეგი ის იყო, რომ სტუდენტებმა ბულლა დასწვეს. ბოლოს საქმეში მთავრობაც ჩაერთა და სიკვდილით დასაჯა სამი ხელოსანი, რომლებიც სამლენელოებას ინდულენციებზე ქადაგებას უშლიდენ. თვითონ ჰუსი იძულებული შეიქმნა პრაგა დაეტოვებია; მაგრამ მისმა თხზულებებშა და ქადაგებამ მაინც თავისი ქნეს: უკმაყოფილება საეკლესიო წყობილებით და რეფორმების მოთხოვნა თანდათან ვრცელდებოდა. როდესაც კონსტანციის კრება შეიკრი-

ბა, სიგიზმუნდმა ჰუსი კონსტანტი მიიწვია; იგი სიამოვნებით  
დასთანხმდა და დანიშნულ აღგილს გაემგზავრა. ჰუსს გადა-  
წყვეტილი ჰქონდა თავისი რწმენის დაცვა და დარწმუნებული  
იყო, რომ მოწინააღმდევეთ დაამარცხებდა. პაპის ბრძანების თა-  
ნახმად ჰუსი შეიპყრეს, მაგრამ კრების უმრავლესობა, რომელ-  
საც სათავეში პარიზის ღვთისმეტყველები უდგნენ, მის მხარეზე იდ-  
გა და მას მხოლოდ თავისი მოძღვრების ორაზროვანი უარყოფა  
მოსთხოვეს. მაგრამ პირფერობას ჰუსის ბუნება ვერ შეურიგ-  
დებოდა და ამიტომ იგი დაუინებით მოითხოვდა: დამიმტკი-  
ცეო, რომ ვცდები და სიამოვნებით უარყოფა ჩემს აზრებს. მაშინ კრებამ ჰუსს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. იგი უშიშ-  
რად მიუახლოვდა კოცონს, რადგანაც სწავლა, რომ სიმარ-  
თლე მის მხარეზე იყო. ამით ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ  
ჰეშმარიტება სიკვდილზე უფრო ძლიერია. ეს 1415 წელს  
მოხდა.

**ჰუსიტები.** ჰუსის სიკვდილით დასჯამ ჩეხიაში დიდი აღელ-  
ვება გამოიწვია. ჩეხელმა წარჩინებულებმა კრებას პროტეს-  
ტი განუცხადეს და პირობა დასდევს თავის სამფლობელოებ-  
ში ღვთის სიტყვის თავისუფალი ქადაგება არ შეეზლუდათ.  
ამით ჰუსის მიმდევრებმა (ჰუსიტებმა) ისარგებლეს და თავისი  
მოლვაწეობა გააცხოველეს. მალე მათ ამბოხების დროშა აა-  
ფრიალეს და 1420 წელს „პრაგის ოთხი მუხლის“ სახით თა-  
ვისი მოთხოვნილებანი გამოაქვეყნეს. აქ იგინი შემდეგს მოი-  
თხოვდენ.

1) თავისუფალ ქადაგებას; 2) ზიარებას ჰუსითა და ღვი-  
ნით; 3) საეკლესიო მიწების სახელმწიფოზე გადაცემას; 4)  
დევნას ბიჭიერებისათვის (მაგალითად, ლოთობისათვის, სი-  
ცრუისათვის და სხვა). სარწმუნოებრივშა მოძრაობამ იმავე  
დროს ეროვნული სახე მიიღო: ჰუსიტებს ჩეხელები უჭერდენ  
მხარს, ხოლო კათოლიკების მხარეზე გერმანელები იყვნენ. და  
ამგვარად ბრძოლა ჰუსიტებსა და კათოლიკებს შორის არსე-

ბითად ჩეხელებსა და გერმანელების ბრძოლას წარმოადგენდა.

სიგიზმუნდის დროს ჰუსიტები განსაკუთრებით გაძლიერდენ და იმპერატორი გულისტკივილით ხედავდა, რომ თუ რამ სა-შვალებას არ მონახავდა, გერმანელებისა და კათოლიკიზმის ბატონობას ჩეხიაში ბოლო მოეღებოდა. მაგრამ გერმანელებს თითქოს ბედი სწყალობდა; თვით ჰუსიტებს შორის უთანხმოებამ იჩინა თავი; გაჩნდა ორი პარტია: პირველი, ეგრევ წოდებული კალიქსტინები<sup>1)</sup>, მხად იყვნენ სამლოდელოების მხრივ ზომიერი დათმობებით დაკმაყოფილებულიყვნენ. ამ პარტიას ეკუთვნოდა საზოგადოების შეძლებული ნაწილი, რომელსაც პრაგის მოქალაქენი და უნივერსიტეტი ხელმძღვანელობონ, კალიქსტინებს შეორე პარტია, ე. წ. თაბორიტები<sup>2)</sup>, ეწინააღმდეგებოდენ. იგინი განსაკუთრებით სოფლელები იყვნენ და უკიდურეს შეხედულებებს. იზიარებდნენ. თაბორიტები სარწმუნოებაში ყველაფერს უარსპყოფდენ, რაც პირდაპირ არ გამოიდინარებდა საღვთო წერილიდან, უარსპყოფდენ ხატებისა და წმიდანთა ნაწილების თაყვანისცემას, გარდაქმნის დოგმას, საეკლესიო ჩვეულებებს და სხვ. ეს პარტიული დანაწილება, როგორც დავინახავთ, საბედისწერო შეიქმნა ჰუსიტებისათვის.

**ბაზელის** ჰუსიტების წარმატება ნათლად ამტკიცებდა, კრება. რომ საეკლესიო რეფორმები იყო საჭირო, და 1431 წელს პაპიმ ევგენი მე-IV ბაზელში კრება მოიწვია, რომელმაც თავის მიზნად ფართო საეკლესიო რეფორმების მო-

<sup>1)</sup> calix – ჯამი, ბარძიმი. იგინი იწოდებოდნენ აგრეთვე ჟტრაჟეისტებად, რადგან მოითხვდნენ ჰუსისა და დანის სასითხიარებას (Sub utraque specie).

<sup>2)</sup> სამხრეთ-დასავლეთ ჩეხიაში არის მთა, რომელზედაც მათ გამაგრებული ბანაკი მოაწევეს; თვით მთას სახელაც თაბორი დარქვეს (thabor).

ხდენა დაისახა (in capite et membris). საქმის ამგვარმა და-  
ყენებამ პაპი შეაშინა და მან კრების დაშლა სცადა, მაგრამ  
კრება არ დაიშალა და ამით თავის უზენაესობას ოვალსაჩი-  
ნოდ ხაზი გაუსვა. ევგენი მე-IV იძულებული შეიქმნა თავისი  
განკარგულება (ბულლა) უკანვე წელო. მაშინ ბაზელის კრე-  
ბა უმთავრეს საეკლესიო საკითხების გარჩევას შეუდგა და პირ-  
ველად ჰუსიტების საქმეს მოჰკიდა ხელი, მათთან შეცკრეს  
„კომპაქტატები“, რომლითაც ჰუსიტებს სხვათა შორის პურითა  
და ღვინით ზიარების უფლებაც ეძლეოდათ და ამით კალი-  
ქსტინები თავის მხარეზე გადმოიბირეს; ამათ თავისი ფანატი-  
კოსი ამხანაგების ეშინოდათ და ამიტომ მზად იყვნენ შერიგე-  
ბოდენ კათოლიკებს, რათა თავიდგან იყცილებიათ ის სრული  
საეკლესიო და სამოქალაქო წესწყობილების ცვლილება, რო-  
მელსაც თაბორიტები ესწრაფოდენ. ამგვარად ეს უკანასკნელ-  
ნი განკალკვევებული ტარჩენ და მათს ძალას ძირი გაეთხარა.  
ამ გზით ჰუსიტების საერთო საქმე მათ შორის ატეხილმა გან-  
ხეთქილებამ დაასამარა. კალიქსტინებმა დაამარცხეს თაბორი-  
ტები; კათოლიკურმა ეკლესიამ კი, რომელსაც ისრნი შეურიგ-  
დნენ, თანდათანობით უარი ურხრა ყველა დათმობაზე. მეოუ-  
თხმეტე საუკუნის დასაწყისი ჩეხის ისტორიის საუკეთესო ხა-  
ნად უნდა ჩაითვალოს: ჩეხიამ პირველად მაშინ იგრძნო სა-  
რწმუნოებრივსა დი ეროვნულ ნიადაგზე გაერთიანების შესა-  
ძლებლობა და მასთან ერთად განთავისუფლების სიოც. ჰუსი  
ამიტომ ჩეხთა ეროვნულ გმირად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ  
მოულოდნელად წამოჭრილმა უთანხმოებამ მალე დაარღვია  
ჩეხის ხალხის იმედები. ჰუსიტების საქმის გარჩევის შემდეგ  
ბაზელის კრება საეკლესიო ორგანიზაციის შესწორებას შეუ-  
დგა და სხვათა შორის; ანნატების წინააღმდეგ წავიდა; ანნა-  
ტები პაპის შემოსავლის ძლიერ წყაოს წარმოადგვნდენ, რად-  
განიც ყოველი სასულიერო თანამდებობის პირი მოვალე იყო  
ერთი წლის შემოსავლი პაპისთვის გადაეცა და ეს კი საერ-  
ოოდ დიდ ჯამს შეადგენდა. პოლოს და ბოლოს, რასაკვირ-

ველია, ყველაფერი ეს ხალხს აწვებოდა ზურგზე, რადგანაც თანამდებობის პირი, რაც პირველ წელიშადს დაკარგა, შემდეგი წლების განმავლობაში ინაზღაურებდა. ევგენი მე-IV, რა თქმა უნდა, არ სურდა თავისი შემოსავლის შემცირება. განმოხერხებულიც ისარგებლა იმ გარემოებით, რომ ბერძნებს, რომლებსაც იმ დროს უნის შესახებ ჰქონდათ გამართული მოლაპარაკება, უნდოდათ კრების წინაშე წარმდგარიყვნენ, რომელიც იტალიაში უნდა მოწყობილიყო. პაპამ ეს მთავარი საკითხი წინად რომში დააყენა და კრება ფლორენციაში მოწვაა, რომელზედაც საკითხი უნის შესახებ მართლაც წარმატებით დამთავრდა (1439 წ.). ბაზელში შეკრებილი „მამების“ უმრავლესობას ახალი განხეთქილების ეშინოდათ და ამიტომ პაპის განკარგულებას დამორჩილდენ. უმცირესობა კი მაინც ბაზელში დარჩა და 1449 წლამდი აქ განავრძო მოქმედება; იგი ჰკიცხავდა ევგენი მე-IV და აქვეყნებდა განკარგულებებს, რომლებსაც არავინ ყურადღებას არ აქცევდა, დაბოლოს იძულებული შეიქმნა პაპად ევგენი მე-IV მემკვიდრე ელიარებია.

ამგვარად ცდა ეკლესიის გარდაქმნისა კრებების საშვალებით, რომელიც პარიზის უნივერსიტეტში წამოიყენა, დამარცხდა და ეკლესიის ოფორტისათვის ახალი გზების ძიება შეიქმნა საჭირო.

**საგონიაროლა.** პაპობა გამარჯვებული აღმოჩნდა; მას ვერც ჰუსიტებმა დააკლეს რამე და ვერც საეკლესიო კრებებმა, რომელნიც მუდამ მერყეობდენ და გაბედული სარეფორმო ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავდენ.

ამგვარად მდგომარეობა იგივე დარჩა, და პაპობას ძველი ნაცადი გზის გამოცვლის საჭიროება აზრიაც არ მოღიოდა. პირიქით, იგი ისევ თავისი შემოსავლების შესახებ ზრუნავდა და ევროპის სახელმწიფოებს „კონკორდატურით“ საკუროდა, რომლებითაც თავისი შემოსავლის წყაროების განმტკიცებას ლიმობდა. საეკლესიო საქმეებზე XV საუკუნ. პატები გრაფი ფიქრობდენ; იგინი საერო ცხოვრებაში ჩაერიცხა და დამეტებით მე-

ტყველების მაგიერ საერო პოეზიით, მეცნიერებითა და ხელოვნებით დაინტერესდენ; მეფეებისა და მთავრების საქმეებში ჩაეძნენ და უმთავრესად თავისი ნივთიერი ინტერესებით ხელმძღვანელობდენ; ინტრიკანობა და ანგარება რომის კურიის დამახასიათებელ თვისებად გარდაიქცა; იგი ყოველი შემთხვევით სარგებლობდა, რათა მთელს საქრისტიანო მსოფლიოში რაც შეიძლება მეტი ფული მოეკრიბა; უმაღლესი სამღვდელოება საერო არისტოკრატიით ივსებოდა და თავის თავის ისეთ წოდებად თვლიდა, რომელიც ხალხის ხელმძღვანელად არის მოწოდებული; დაბალი სამღვდელოება განირჩეოდა თავისი გაუნათლებლობით, ჩამორჩენილობით და თავისი მოვალეობისადმი გულგრილობით; ბერები ხომ საარაკო ცხოვრებას ატარებდნენ: ისინი რასაც ჰქალავებდნენ, სწორედ მისს წინააღმდეგს აკეთებდნენ. ამ უმსგავსოებამ, მე-XV საუკუნის უკანასკნელ წლებში, ერთხელ კიდევ გამოიწვია აღმფოთება და არეულობა. ლორენცი მედიჩის სიკვდილის შემთევ ფლორენციაში რესპუბლიკანური წესწყობილება იქმნა აღდგენილი. ეს მოხდა საფრანგეთის მეფის კარლის მე VIII იტალიაში გილაშქრების დროს: ქალაქში აღდგენილ იქმნა სახალხო კრება, ხენატი და მაგისტრატების არჩევნები. ფლორენციის სულიერ ხელმძღვანელად იმ დროს დომინიკანელი ბერი ჯიროლამო სავონაროლა შეიქმნა. ის არ განირჩეოდა მაინც და მაინც თავისი ცოდნისა და განათლების სილრმით, მაგრამ სამაგიეროდ თავისი ზეშთავონებული სიტყვით, რწმენითა და შეუდრევებული სულით ხალხზე მძლავრ შთაბეჭდილებას სტოვებდა. ფლორენტიელების განსაკუთრებული პატივისცემა მან კარლის მე VIII შევოსევის დროს დაიმსახურა: მეფის წინაშე ქალაქის ინტერესების დამცველად გამოვიდა და ამით ხალხს დიდი სამსახური გაუწია.

ახლად აღდგენილ რესპუბლიკაში სავონაროლა საზოგადოების ზნე-ჩვეულების გასწორებას შეუდგა. მისმა ქადაგებამ ხალხზე დიდი გავლენა მოახდინა. განცხრომის მოყვარული

ფლორენტიელები ჩვეულებრივ ვასარობებზე უარს ამბობდენ, სცდილობდენ ცხოვრებაში ზომიერება დაეცვათ, საღად ჩაეცვა-დაეხურათ და სხვ. 1497 წელს ყველიერის მხიარულიდ გა-ტარების მაგიერ ახალგაზრდობამ ფუქსავატი შინაარსის წონები, სურათები, ნილაბები, ტანსაცმელი და „ფუქსავატობის სხვა ნაწარმოები“ შეჰქრიბა და დასწვა. მაგრამ სავონაროლა მეტს მოითხოვდა და გადამეტებულმა დისკიპლინამ საზოგადოებას ჩქარა მოახერხა თავი და ფლორენციაში მალე რეაქციამ იჩინა თავი. სავონაროლას მიმდევრების, ე.წ. „მოზარეების“ (piagnoni) წინააღმდეგ უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, საზოგადოე-ბის იმ ნაწილმა გაილაშქრა, რომელიც სიამოვნებითა და თა-ვისუფლად ცხოვრებას იყო მიჩვეული. ამათ ხელს უწყობდენ აგრეთვე მედიჩების ტირანის მომხრენიც, რომელნიც ფარუ-ლად ამხედრებდნენ ხალხს სავონაროლას წინააღმდეგ, რადგა-ნაც სავონაროლაში თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგება ია მტერს ხედავდენ. მათი აზრით, სავონაროლას დამარცხება და-მარცხება იქნებოდა რესპუბლიკანური პარტიისა და მაშასადამე ტირანის გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნებოდა. ამავე დროს სამღვდელოებაცა და რომის კურიაც უკმაყოფილო იყო სავონაროლას მოქმედებით, რადგან ის ეკლესიის ცხო-ვრებაში რეფორმების გატარებას მოითხოვდა.

სავონაროლა მორწმუნე კათოლიკე იყო, და დოგმატიუ-რი საკითხების თავისებური გაშუქება მას აზრადაც არ მოსდი-ოდა, მაგრამ ეკლესიის დაქვეითებას ის მაინც ვერ ურიგდე-ბოდა და მქადაგებლის კათედრიდან სამღვდელოებასა და თვით პაპსაც ალმქსანლე მე-IV ბორჯისა ამხილებდა და ჰკიცხავდა. ამგვარად, მას მრავალი მტერი გაუჩნდა. ამათი აგულიანებით ერთმა ფრანცისკინელმა ბერმა სავონაროლა „ღვთის სამარ-თალში“ გამოაწვია; მოწინააღმდეგეთ ანთებულ კოცონზე უნ-და გავევლოთ; იგინი ფიქრობდენ, რომ ამ ცდას მართალი უვნებლად გადაურჩებოდა, ხოლო ცოდვილი უთუოდ დაი-დუბებოდა. სავონაროლას მაგიერ გამოკლა ერთმა მისმა მო-

მხრეთაგანმა იდვა თავს, ფლორენციის ერთ დღიდ მოქდანზე  
ცეცხლი დაანთეს, ხალხი უკვე შეკრებილი იყო, როდესაც  
ფრანცისკანელ ბერებს შიში შეეპარათ და მათ საქმე ჩაშალეს;  
მაგრამ ხალხი მაინც სავონაროლას სდებდა ბრალს, რატომ  
პირადად არ მიიღო მონაწილეობა ღვთის სამართალში.

ხალხის ამგვარი განწყობილებით მტრებმა ისარგებლეს და  
სავონაროლა საპატიმროში ჩასვეს. აქ ათასგვარი საშვალება  
იხმარეს, რათა ისეთი რამ ეთქმევინებინათ სავონაროლას-  
თვის, რაც შემდევ ში გასამართლების დროს გამოადგებოდათ.  
მაგრამ სავონაროლა ურყევი იყო და თავის აზრებსა და შე-  
ხედულებაზე უარს არ ამბობდა. თავები ბერის გასასამარ-  
თლებლად პაპმა ფლორენციაში თავისი კომისარი გამოგზავნა;  
სასტიკი იყო პაპის განკარგულება: სავონაროლა უნდა დაესა-  
ჯათ „თუნდ იგი მეორე ითანე ნათლისმცემელიც ყოფილიყო“.  
ორ თავის მიმდევართან ერთად ის ჩამოახრჩეს 1498 წელს.

## თ ა ვ ი II.

ლიტერატურა, ხელოვნება და მეცნიერება.

**ეკლესია** კათოლიკური ეკლესია საერისკაცო სა-  
**და** ზოგადოებაზეც გამატონებას ესწრაფოდა.

**ლიტერატურა.** მისი პოლიტიკის წინააღმდევ საშუალო  
საუკუნეების მეორე ნახევარში ჩისახული ეროვნული სახელ-  
მწიფოები წავიდენ; თვითონ ეკლესიაში ისეთი პირები აღმო-  
ჩნდენ, რომლებიც სასულიერო და საერისკაცო ცნებების არევ-  
დარევაში ყოველივე ბოროტების ბუდესა და სამღვდელოების  
გახრწილების მიზეზს ხედავდენ. მაგრამ საერისკაცო უფლე-  
ბისაცენ მისწრაფება მჭიდროდ იყო დაკავშირებული საშუალო  
საუკუნეების მეორე იდეასთან — რწმენასთან, რომ საერისკაცო  
ცხოვრება და კაცის ბუნება ცოდვებისა და ბიწიერების ჭურ-  
ჭელია; რომ ამიტომ ადამიანი თავის ბუნებას უნდა ებრძო-

დეს, ხოლო საერისკაცო საზოგადოება სამღვდელოების ხელმძღვანელობის უნდა დაემორჩილოს. ზნეობის იდეალიად სკუტიზმითი შეიქმნა, აზროვნების ხელმძღვანელობა კი სქოლისტიკამ იდვა თავს. მაგრამ, როგორც ნაციონალური სახელმწიფოების განვითარების შეჩერება და პაპების მსოფლიოს მარძანებლებიდ გადაქცევა არ შეიძლებოდა, ისე არ შეიძლებოდა ადამიანში ბუნებრივი მოთხოვნილების, საერისკაცო ინტერესის ჩახშობა და მეცნიერებისა და ლიტერატურაში ადამიანის აზროვნების მოქმედების შეჩერება. თანდათან იზრდებოდა კეთილმდგომარეობა, ცოცხლდებოდა ადამიანთა შორის ერთობა, უკეთესდებოდა პოლიტიკური წეს-წყობილება, გროვდებოდა ცოდნა, ფეხს იკიდებდა და მაგრდებოდა მეცნიერული გამოკვლევა, საეკლესიო რეფორმატორები საღვთო წერილის თავისუფალ შესწავლას მოითხოვდენ, ხოლო ლიტერატურნი, ხელოვანნი და შეცნიერნი ეკლესიის მხრუნველობისაგან აზროვნებისა და ზნეობის განთავისუფლებას. კაცის პიროვნება დამონებული ჰყავდა ეკლესიას, და იმ პიროვნების ამ მონბირგან განთავისუფლებისაკენ მიისწრაფოდნენ პირველნიცა და მეორენიც. პირველი ბრძოლა აზროვნების დარგში დაიწყო.

**დანტე.** იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ გველფებსა და პიბელლინებს შორის ბრძოლა სწარმოებდა, ფლორენციიში საშუალო სეუკუნოების უშესანიშნავესი მგოლანი — დანტე ალიგიერი (1256) დაიბადა. ის საშუალო შეძლების ოჯახის შვილი იყო, და სამშობლო ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას იღებდა: ის ფარულად მხარს უჭერდა პიბელლინების პარტიას და 1302 წელს თანამოაზრებთან ერთად თავისი სამშობლოდან გაძევებულ იქმნა. ამის შემდეგ დანტე ნაცხადებად გადავიდა პიბელლინების მხარეზე: იტალიისა და ქრისტიანობის ინას დანტე იმპერატორობისაგან მოელოდა, ამიტომ ის ალფრონგანებით მიესალმა ჰენრის მე-VII ლიუქსენბურგელს, როდესაც ამ უკანასკნელმა პოპენშტაუფენების

პოლიტიკა განაახლა. მაგრამ დანტეს არ აუსრულდა ოცნება ბევრი ხეტიალის შემდეგ ის 1821 წელს რავენაში გარდაიცვალა.

დანტემ ბევრი შესანიშნავი თხზულება დასწერა, სხვათა შორის, წიგნი მონარქიის შესახებ, რომელშიდაც ის ამტკიცებს, რომ რომის იმპერატორი მთელი მსოფლიოს მპრძანებელი უნდა იყოს. მაგრამ უკვდავი სახელი მან „ღვთაებრივი კომედიით“ მოიხვეჭა. ეს პოემა დაწერილია ლექსალ, იტალიანურ ენაზე; იქ დანტე გვიამბობს, თუ როგორ შეასრულა მან არაჩვეულებრივი მოგზაურობა 1300 წლის გაზაფხულზე. ჯერ ვირგილიუსთან ერთად ჯოვოხეთი დაათვალიერა; და, ბოლოს, დანტეს გარდაცვლილმა სატრფომ ბეატრიჩემ მას სამოთხეც აჩვენა. ეს სასწაულებრივი მოგზაურობა საშუალებას აძლევს მგოსანს შეუდარებელი სიძლიერითა და სინათლით გამოჰქატოს იტალიის და მსოფლიოს ისტორიის მოღვაწეები, რომელთა სულებიც მან ჯოვოხეთში და სამოთხეში ნახა; დანტე ამასთანავე იმ საკითხების შესახებაც მსჯელობს, რომ ლებიც იმ დროს მოწინავე ელემენტების ყურადღებას იპყრობდა, მაგრამ ის მიტომ კი არა სწერდა, რომ ამა თუ იმ საკითხის შესახებ მარტო თავისი აზრი გამოეთქვა; არა, მისი პოემა მე-XIV საუკუნის დასაწყისის ყველა მთავარი იდეებისა და ცნობების ენციკლოპედია არის. დანტეს მიზანი ზნეობრივი და სარწმუნოებრივი ხასიათის იყო. თავისი აზრები მან ხელოვნურ ნაწარმოებში გამოხატა. მისი ხელოვნური, შემოქმედებითი ძალა იმდენად ძლიერი იყო, რომ მისგან შექმნილი ნაკვთები და სახეები თითქოს ჩვენ წინ ცოცხლები დგანან.

პოემაში დანტე მუდამ იგავებით და ალეგორიული გამოთქმებით სარგებლობს, ე. ი. სახეებითა და მოთხრობებით, რომლებსაც პირდაპირ მნიშვნელობას გარდა სხვა უფრო ღრმა და საზოგადო ხასიათის მნიშვნელობაც აქვთ, მაგალითად, დანტე აგვიშერს თავის მდგომარეობას მოგზაურობის დაწყების წინ: როდესაც ცხოვრების გზის შუა ადგილს მივიღა, დაბუ-

რულ ტყეში გზა დაპკარგა და მას გარს შემოეხვივნენ მხე-  
ცები—ლომი, ძუ მგელი და ვეფხი. მშველელად მგოსნის  
ვირგილიუსის აჩრდილი მოევლინა. მასთან იწყებს დანტე თა-  
ვის მოგზაურობას საიქიოსავენ.

ყველაფერი ეს ნამბობია, როგორც ნამდვილი თავვადა-  
სავალი, მაგრამ ადვილი შესამჩნევია, რომ ნაამბობს დაფარუ-  
ლი აზრი აქვს. აქ ლაპარაკია კაცის ბედის ცვალებადობაზე,  
რომელსაც გზა ცხოვრებაში აებნა; მხეცები იმ ბიწიერებასა  
და ცდუნებას ნიშვავენ, რომელიც კაცს გარს ახვევია. დანტეს  
საშველად ძველი რომის უშესანიშნავესი მგოსანი ვირგილიუსი  
მოდის, რომელიც აზრისა და ცოდნის განსახიერებად უნდა  
ჩაითვალოს. მაგრამ არც ვირგილიუსის ძალა არის საკმაო,  
რომ დანტე სამოთხეში შეიყვანოს: წმიდანების ნეტარებას  
მგზავრი მხოლოდ ბერტრიჩეს დახმარებით ხედავს; ბერტრიჩე  
კი წმინდა, ამამაღლებელი სიყვარულისა და ზეციური ეკ-  
ლესის ადამიანისადმი მფარველობის სიმბოლოდ არის დასა-  
ხული.

თავის პოემაში დანტე კათოლიკური ეკლესის მო-  
ძღვრების წინააღმდეგ როდი მიდის; ის ამ მხრივ საშუალო  
საუკუნეების ნიაღაზე სდგას. მაგრამ ამ პოემაშივე არის რამ-  
დენიმე ხაზი, რომელიც კათოლიკობისადმი მტრული მოძრა-  
ობის დაწყების ნიშანს წარმოადგენს.

დანტე მიუთითებს იმ ანორმალურ მდგომარეობაზე, რო-  
მელიც შექმნილია მით, რომ იმპერატორებმა დაპკარგეს თა-  
ვისი უფლებები, ხოლო პაპებმა ამ უფლებათა ხელში ჩადეგდა  
მოინდომეს, რაც მათ სრულიად არ ეკუთვნისთ. მის მაგიერ,  
რომ ქვეყანა იმპერატორის მზრუნველობის ქვეშ კეთილმდგო-  
მარეობდეს, იგი უბედურებასა და აუგ-დარევას განიცდის;  
ეკლესია სულიერ აღზრდის მაგიერ ხალხს გაუმაძლრობის და  
უფლებამოყვარეობის მაგალითს უჩვენებს. დანტეს აზრები მი-  
თაც აიხსნება, რომ ის უეგნებული ჰიბელლინი და რომის იმ-  
პერიის მომხრეა; მაგრამ ის საეკლესიო წყობილებისა და პა-

პობის მოქმედების მხილებაში ისე შორს მიღის, რომ ძირიან-ფესვიანად არყევს კათოლიკურ წეს-წყობრლების საფუძველს. საგულისხმოა, რომ მან ერთი პაპიც არ მოათხვსა სამოთხეში: ეკლესიის ვერცხლ-მოყვარეობისაგან გასათავისუფლებელ სა-შუალებად დანტეს ეკლესიის მიერ ყოველივე ქონებაზე უარის თქმა მიაჩნია. აღსანიშნავია ისიც, რომ დანტე ერისკაცი იყო და არავითარი უფლება არ ჰქონდა ოფიციალურად ეკლესიის სახელით ელაპარაკნა.

ამგვარად დანტე პირველი კაცი იყო, რომელმაც ქვეყანას საკუთარი თვალით შეხედა, რომელმაც ძველი საეკლესიო ავტორიტეტები უარპყო და დამოუკიდებელი აზროვნება დაიწყო. მან უარყო ლათინური ენის აუცილებლობა და თავისი პოემა სამშობლო ენაზე დასწერა.

### თ ა ვ ი . III.

### ჰ უ ა ნ ი ს ტ ვ ბ ი .

**ჰუანიზმის** ცხოვრების პირობები ევროპაში თანდათან  
**წარმოშობება.** უმჯობესდებოდა; ხალხის ნიჭი და ცოდნა  
 ვითარდებოდა, და ამასთანავე ბოლო ეღებოდა იმ შეხედულე-  
 ბებსა და ცნობებს, რომლებიც საშუალო საუკუნეებში იყვ-  
 ნენ გაბატონებული. ეკლესია, ასკეტიური ზე, სქოლასტიური  
 მეცნიერება, რომლებიც დილხანს სარგებლობდნენ გავლენით,  
 ეხლა ტვირთად გარდაიქნენ და უკმაყოფილებასა და პრო-  
 ტესტს იწვევდენ. ქონებრივი კეთილდღეობა და აზროვნებაში  
 წარმატება შევნიერ იტალიაში უფრო აჩქარებით ვითარდებო-  
 და, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში; სწორედ იტალიაში იჩინა  
 თავი ახალმა მიმართულებამ, რომელიც საშუალო საუკუნეო  
 მიმდინარეობაში გაბატონებულ ცნებებს შეებრძოლა. ამ მი-  
 მართულების მიმდევრები თავის ფრენებს სარქიო ცხოვრებაზე  
 კი არ ამყარებდენ; ისინი ქვეყნიური ცხოვრებით იყვნენ და-

ინტერესებულნი; ბუნებრივ მოთხოვნილებების წინააღმდეგ ბრძოლის მაგიერ მათს განვითარებასა და დაკმაყოფილებას უწყობდენ ხელს და ქვეყნიური დიდების, სიმღიდრისა და ბატონობის არამც თუ არ ეშინოდათ, პირიქით ყველა ამას ცხოვრების უდიდეს სიკეთედ თვლიდენ.

ისინი ადამიანის უფლებასა და ღირსებას იცავდენ და ამიტომ ჰუმანისტების (Human — ადამიანი) სახელი დაიმსახურეს. საშუალო საუკუნოებში მსოფლიოზე გავრცელებული აზრის, სქოლასტიკისა და ასკეტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჰუმანისტებმა ერთი იმ იარაღთაგანით ისარგებლეს, რომლითაც წინად თვით ეკლესია სარგებლობდა. ეკლესის გამარჯვება საშუალო საუკუნეებში სხვათა შორის კლასიკური განათლების სარგებლობითაც აიხსნება. ჰუმანისტებმაც კლასიკურ სიძველეს მიმართეს, მაგრამ მათ სხვა მხარეს მიაქციეს ყურადღება. კლასიკური სიძველე აღჭროოვანებულ თანაგრძობას იწვევდა ჰუმანისტებისას, მიტომ რომ იქ ეკლესის გავლენისაგან თავისუფალი საერთო კულტურა იპოვეს; ის გამსქვალული იყო პირადი სიმწნის, ადამიანის სილამაზისა და ქვეყნიური ბედნიერების იდეალებით.

**პეტრარკა.** პირველი გამოჩენილი ჰუმანისტი ფლორენციელი ფრანჩესკო პეტრარკა იყო (1304—1374). დანტე-სავით მასაც ბევრი ხეტიალი მოუხდა. მას ერთი ფრიად შემოსავლიანი საექლესიო თანამდებობა ეჭირა, ოუმცა სულითა და საქმით ნაძღვალი ერისკაცი იყო. პეტრარკამ სენიორა ლაურას ვატივსაცმლად იტალიური ლექსების შეკრებით, კლასიკური ავტორების კვლევა-ძიებით და იმდროინ ფელ გამოჩენილ მოღვაწეებთან პირადი მიწერ-მოწერით გაითქვა სახელი.

პეტრარკას სატრაფი, ლაურა, მგოსანზე აღზე გარდაიცვალა. მგოსნის სიყვარული ისევე იდეალური და ზეციური იყო, როგორც დანტესი. ამ სიყვარულმა მას ის შვენიერი ლექსები შოაგონა, საღაც ყოველი უბრალო შემთხვევით სარგებლობს, რათა თავისი გრძნობები თვალწარმტაც ფერადებში

გამოხატოს და ლაურა ასე აღიდოს. ლაურა არ იყო ბეა-  
ტრიჩეს მსგავსი ალექსანდრიული სახე; პირიქით მგოსანს რეა-  
ლურ პიროვნებასთან ჰქონდა საქმე.

პეტრარკას მიწერ-მოწერიდგან მისი საქმიანობისა და ინ-  
ტერესების მრავალფეროვანება სჩანს. ავტორი ზიხლით ეპურო-  
ბა იმ დროის სასკოლო მეცნიერებას, ღვთისმეტყველებას,  
უფლებას, მეღიცინას. სამაგიეროდ სინამდვილეში ის ყოველ  
ნაბიჯზე საინტერესოსა და საგულისხმოს პოულობს: მას პო-  
ლიტიკური საკითხები აინტერესებს და მუდამ იტალიის გაერ-  
თანებაზე, პაპის რომში დაბრუნებაზე და რომის რესპუბლი-  
კის აღდგენაზე ოცნებობს. მაგრამ ყველაფერზე უფრო საგუ-  
ლისხმო მისთვის ადამიანი და ადამიანის სულიერი ცხოვრე-  
ბაა.

ძველ მწერლებში იგი ბევრს საგულისხმოს პოულობს;  
მათი მდიდარი ლიტერატურა მოკრძალებას იწვევს მის არსე-  
ბაში. ის ეძებს ხელონაწერებს, იძნებს და ავრცელებს. მაგრამ  
ყველაზე უფრო პოეტს ციცერონი უყვარს. ბერძნული მან  
თითქმის არ იცოდა და ამიტომ იძულებული იყო რომის მწერ-  
ლების შესწავლით დაკმაყოფილებულიყო. პეტრარკა არამც  
თუ სწავლობდა, კიდევაც ეჯიბრებოდა მათ; მის კალამს ერ  
თხ ლათინური პოემა ეკუთვნის, რომელშიც სციპიონ აფრი-  
კელის მოღვაწეობაა აწერილი.

პეტრარკა ღრმად წვდა თავისი დროის სულიერ მისწრა-  
ფებას და მას შესაფერისი გამოხატულება მოუპოვა, ამიტომ  
მას ისეთი სახელი და ღიღება ხვდა წილად, რომლის მაგვა-  
რიც ძეირად იცის ისტორიამ. მეფეები, თავადები, ეპისკოპო-  
სები, ქალაქის რესპუბლიკები ყველანი მის სიამოვნებას ცდი-  
ლობდენ. კაპიტოლიუმში დაფნის გვირგვინი მიართვეს და  
სანახავად ხალბი ყოველი მხრიდან მიღიოდა. ეს გარემოება  
ჰუმანიზმის გამარჯვებას მოასწავებდა, ეს იყო ნიმუში პიროვ-  
ნების გამოღვიძების და მისი მნიშვნელობისა და ღირსების  
ცნობის.

**ბოკაჩიო.** მეორე ფლორენციელი ჰუმანისტი, პეტრარკას უძრავისი თამედროვე, **ბოკაჩიო** იყო. სქოლისტიკის სიძულვილი, პიროვნების პატივისცემა და ძველი ქვეყნების ლიტერატურის სიყვარული ბოკაჩიოს პეტრარკაზე ნაკლები არ ჰქონია. მაგრამ მთავარ მის ღვაწლს „დეკამერონი“ შეადგენს. ეს თხზულება იტალიის ცხოვრებიდგან აღებულ მოთხრობათაგან შესდგება, სადაც ხელოვნურად არიან დახასიათებული საზოგადოების სხვა და სხვა წრეები. საზოგადოდ კი ეს არის პროტესტი სასტიკი ასკეტიზმის წინააღმდეგ მიმართული.

### ჰუმანიზმის გავრცელება.

ჰუმანისტების რიცხვი იტალიაში თანდათან მატულობდა: ისინი მეფეებისა წარჩინებული პირების მფარველობით სარგებლობდენ; სადაც ლიტერატურის ცოდნა და უნარი იყო საჭირო — პროფესორობდენ, დიპლომატიის აგენტობას კისრულობდენ, პაპების მდივნობას, მეფეების კარის მგოსნობას და სხვას კისრულობდენ. თვით პაპები ნიკოლოზ მე-V და პიუს მე-II შესანიშნავი ჰუმანისტები იყვნენ. მეორე მხრივ, იტალიის მთავრები არ კმაყოფილდებოდნენ ჰუმანიზმის მფარველობით და ლიტერატორების როლში თვითონ გამოდიოდენ. ამათ შორის ყველაზე შესანიშნავი ლორენცი მედიჩი იყო. მე-XV საუკუნეში ჰუმანიზმი სხვა ქვეყნებში გავრცელება იწყო, განსაკუთრებით გერმანიასა და საფრანგეთში.

**ფილოსოფია.** კლასიკიზმის თაყვანისცემას ზოგიერთი მოღვაწე წარმართობით გატაცებამდე და ქრისტიანობისადმი ზიზლის გამოცხადებამდე მიჰყავდა. უფრო სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა ძველი ბერძნული ფილოსოფიის აღორძინების ცდას და მის გამოყენებას სარწმუნოებრივი შეხედულებების გადასახალისებლად. ეს მოძრაობა ბერძნული ენისა და ლიტერატურის შესწავლისთან იყო დაკავშირებული, რაც მე-XIV საუკუნეში დაიწყო. ფლორენციის კრების დროს, და

განსაკუთრებით კონსტანტინევოლის დამხობის შემდეგ, იტალიაში სწავლულმა ბერძნებმა მოავლად მოიყარეს თავი. მათ თან მოიტანეს ძვირფასი ხელოთნაწერები, ისინი ასწავლიდენ ბერძნულ ენას და ხელი შეუწყვეს იტალიელების გალაშქრებას არისტოტელის სქოლასტიური შესწავლის წინააღმდეგ. იტალიაში დაარსდა სკოლა, სადაც პლატონს სწავლობდენ. ფლორენციაში პლატონის სახელობის აკადემია დაწესდა, რომლის წევრებიც იკრიბებოდნენ და ფილოსოფიურსა და ლიტერატურულ საკითხების შესახებ კითხულობდნენ და მსჯელობდნენ. სხდომაში პლატონის დაბადების დღე დღის ზემით იდლესისწაული.

**მაკიაველი.** კლასიციზმის აღორძინებას არც პოლიტიკური მეცნიერებისათვის ჩაუვლია უქმდ. მე-XV საუკუნის დასასრულს აღმოჩნდა კაცი, რომელმაც თავისი დროის პოლიტიკურ შეხედულებათ თავი მოუყარა და მთლიანი ოეორიის სახით გამოაქვეყნა იგი მის თხზულებათა შორის. ეს კაცი ფლორენციელი მაკიაველი იყო. პირველი აღვილი II Principe-ს უკავია (ტრაქტატი „ხელმწიფებელ“). ავტორი ძეგლი სახელმწიფოებრივი იდეით არის გამსჭვალული. სახელმწიფო მისთვის ზე-დაწესებულება არის; კერძო პირი სახელმწიფოს უნდა ემსახურებოდეს, თავის ინტერესებს მას უნდა სწირავდეს და თავის პირად ბეჭნიერებას სახელმწიფოს ბეჭნიერებასა და სახელში უნდა ხედავდეს. ყველაფერი ბოროტებაა, რაც ხელს უშლის სახელმწიფოს განვითარებასა და გაძლიერებას; ამიტომ ეკლესიას, რომელიც ებრძოდა და რომელმაც დიდი ზიანიც მიაყენა სახელმწიფოს, მაკიაველი მტრულიდ ეპირობა. როგორც ჰეშმარიტი მამულიშვილი, მაკიაველი იტალიის გაერთიანებასა, უცხოელების გადევნასა და მშობლიურ ნიადაგზე ძლიერი წეს-წყობილებისა და მთავრობის უექმნაზედ ოცნებობს. მაგრამ ყველაფერი ეს, რაც ასე საჭიროა სამშობლოსათვის, რესპუბლიკანური წეს-წყობილებისათვის შეუძლებელია; ამისთვის უფრო ტირანის ნიჭი, ენერ-

გია და ეგოიზმი გამოდგება. ამიტომ იგი ტირაიას უჭერს მხარს. მთავარი დებულება მაკიაველისა ასეთია; ვინც მალი მიზნისაკენ მიისწრაფვის, მისთვის ყოველი საშუალება მისაღვბია. ზეობრივი შეხედულებები პოლიტიკაშიარ გამოიგება: „ხელმწიფე”, საჭიროების მიხედვით, უნდა იყოს მკაცრი და ცბიერი, მიტომ რომ მას ყოველ ნაბიჯზე შიში მოელის; პატიოსნება, სიმშვიდე და თავდაბლობა მას ვერ უშველის. საგულისხმოა, პოლიტიკურ საქმეებში მაკიაველი ნიმუშად ილექსანდრე მე-IV შვილს, კეისარ ბორჯას, სთვლის, რომელმაც არარაობიდგან დაიწყო, მაგრამ ენერგიით, მოხერხებით, ღალატით და სისასტიკით ძლიერი სამთავრო შეჰქმნა.

**ხელოვნება.** ლიტერატურაზე ნაკლები ცვლილებები არც ხელოვნებაში ხდებოდა. იხალმა სულიერმა განწყობილებამ და ძველი ნიმუშების შესწავლამ მთელი გადატრიალება მოახდინა ხუროთმოძღვრებაში. ეკლესიების მაგიერ, სასახლეების აშენებას მიჰყვეს ხელი; თუ კი ააგებდნენ ეკლესიისათვის შენობას, მათაც სასახლეების გარეგნობას აძლევდნენ. პოტიური სტილი დაეცა; იტალიელმა ხუროთმოძღვრებმა კვლავ აღადგინეს სწორკუთხიანი ფორმა, რომელიც ძველი რომის შენობებს მოგვაგონებს. დიდ ყურადღებას აქცევდნენ აგრეთვე ორნამენტაციასაც. ალორძინების ხანის ხუროთმოძღვრების საუკეთესო წარმომადგენლებად ბრუნელლესკო და ალბერტი ითვლებიან.

ბუნებისა და ძველი ნიმუშების შესწავლამ დიდი სარგებლობა მოუტანა ქანდაკებას; დონატელლოს ანდრიანტები სილამაზით და პარმონიით, მართალია, ბერძნების მოქანდაკების ნაწარმოებებთან შედარებით დაბლა დგანან, მაგრამ მათი გამოხატულობის სინათლე შეუდარებელია. მეორე მოქანდაკემ, ჰიბერტიმ ფლორენციის ეკლესიის ბრინჯაოს ალაყაფის კარებზე ბარელიეფები გააკეთა; და უნდა ითქვას, რომ ხელოვნების ამ დარგში მას სწორი არა ჰყავს.

ხელოვნების ყველა დარგიდან განსაკუთრებით მხატვრობა შეიქმნა იმ ღროს პოპულიარული და ძალიანაც განვითარ-

და. პირველი გამოჩენილი მხატვარი ფლორენციელი **ჯიოტო** იყო. ის მე-XIII საუკუნის ბოლოსა და მე-XIV საუკუნის და-საწყისში ცხოვრობდა. შესრულების მხრივ იგი ბიძანტიურ ნიმუშებს ბაძვდა, ხოლო სიუჟეტს რეალური სინამდვილიდან იღებდა. ჯიოტოს მეთოდი ზერქლე და უხეშია, მას კიდევ ვერ დაუძლევია გარეგნული დაბრკოლებები, მაგრამ მის სურათებში სიცოცხლე და ბუნების ცოდნა გამოსჭვივის. მისმა მიმდევრებმა ტეხნიკაც გააუმჯობესეს და ბუნების შესწავლაც განაგრძეს. მე-XV საუკუნის მხატვარი ბერი ფრა-ანჯელიკო მეორე მიმართულებას იწყებს მხატვრობაში: სარწმუნოებრივი მიზანი მისთვის პირველ ადგილზე დგას. მისი წმიდანები და ანგელოზები ძველებურად საზეიმოდ გამოიყურებიან, სამაგიეროდ სარწმუნოებრივი გრძნობის ზენეტარებისა და ციური შვენიერების გამოსახვაშა მას ბადალი არა ჰყავს.

რაც შეეხება საბუნებისმეტყველოსა და ზედმიწევნითი მეცნიერების დარგებს, უნდა ითქვას, რომ აქ ასეთი მოძრაობა არა სჩანს. მავრამ ცოტა რამ აქაც კუთდებოდა. ყოველ შემთხვევაში სქოლასტიკამ თავისი დრო მოსჭამა და განყენებული აზროვნების ადგილი დაკვირვებამა და ცდამ დაიკავა. პარველად ამ მიმართულებით არაბი მეცნიერნი ამოძრავდენ, ხოლო მე-XIII საუკუნის გასულს ინგლისელი როჯერ ბეკონი იყო, რომელიც ემპირიული მეცნიერების სასარგებლოდ სქოლასტიკას შეებრძოლა. ბევრი მისი მოსაზრება და გეგმა ფანტაზია აღმოჩნდა, მაგრამ საერთო მიმართულება ბეკონის აზროვნებისა ნაყოფიერი აღმოჩნდა დასავლეთი ევროპისათვის. ბეკონს რამოდენიმე კერძო ხასიათის აღმოჩენაც კი ჰქონდა; მაგალითად მან იცოდა ოპტიკურ მინათა თვისება, იცნობდა სინათლის გადატეხის მოვლენას და პრიზმას, იცნობდა აგრეთვე თოფის წიმლის თვისებებსაც.

თავი გვ-IV

გამოგონებასი და აღმოჩენასი.

თოფის გონებრივი დამოუკიდებლობა და წინმსვლელამი. რომელსაც აღორძინების ხანაში ჰქონდა ადგილი, არ შეიძლება მარტო ლიტერატურული დარგით, წმინდა ხელოვნებითა და თეორეტიული მეცნიერებით დაკმაყოფილებულიყო. ამას უთუოდ მეორე მოძრაობა უნდა მოჰყოლოდა თან: ადამიანი უთუოდ უნდა ცდილოყო — ბუნების ძალები დაემორჩილებია და თვის სასგებლოდ გამოვყენებია. ეს ასეც მოხდა და მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებასთან ერთად თავი იჩინა მიმდინარეობამ, რომელიც მიზად სხვადასხვა პრაკტიკული მნიშვნელობის გამოგონებასა და აღმოჩენას ისახავდა.

მე-XIII საუკუნის გასულს როჯერ ბეკონმა თოფის წამალი აღმოაჩინა, მაგრამ მისი აღმოჩენით არავის არ უსარგებლებია, მე-XIV საუკუნის ნახევარში გერმანელი ფრანცისკანელი ბერტოლდ შვარცი მეორედ წააწყდა ამ აღმოჩენას.

მხოლოდ ეხლა მიხვდენ, თუ რა საშიში იარაღი უნდა ყოფილიყო უბრალო ლითონის მილი, საიდანაც აფეთქებული წამლის ძალით ტყვიის გამოტყორცნა იქნებოდა შესაძლებელი, და მალე თოფის და ზარბაზნების მზადება დაიწყეს. რა თქმა უნდა პირველ ხანებში მათ პრიმიტიული ხასიათი ჰქონდათ, მაგრამ ესეც საკმარისი იყო, რათა სამხედრო საქმე ერთბაშად უკულმა გადატრიალებულიყო. ჩვენ ვიცით, რომ ასწლოვანი ომის დროს მუდმივის, გაშროვნილი ჯარის მნიშვნელობა ყველასათვის თვალსაჩინო შეიქმნა. ეხლა ხშარებაში რთული ცეცხლის მფრქვეველი იარაღი შემოვიდა. როგორ უნდა გამკლავებოდენ არტილერიის რაინდთა ცხენოსანი რაზე მები, ან როგორ უნდა გაძლოლოდენ ამ საქმეს ფეოდალები, როდესაც არტილერიის შექმნისათვის დიდი სიმდიდრე იყო.

საჭირო, და ამისი ძალა მარტო მეფეებს თუ ექნებოდათ. ამას-  
თანავე წინად ფეოდალები აღვილად უწევდნენ წინააღმდე-  
გობას თავისი კოშკებიდან ძლიერ მეზობლებსაც კი; მაგრამ  
ეხლა მათი კოშკების კედლები არტილერიის ცეცხლს ვე-  
ლარ უმაგრდებოდა. ამგვარად, ასაფეთქებელი მასალის გამო-  
გონებამ დიდი სამსახური გაუწია მეფეებს, ხოლო ფეოდალურ  
არისტოკრატიას მახვილი ჩასცა. ქვეითა ჯარის შესადგენად  
მეომართა დიდი რიცხვი შეიქმნა საჭირო. ყველგან სდგებოდა  
რაზმები, რომელიც გამოქცეული გლეხების, ხელოსნებისა და  
წვრილი მოქალაქეებისაგან ივსებოდა. ამ ჯარს გერმანიაში  
**ლანდსკნეხტებს** ეძახდნენ. მას საგანგებოდ სწვრთნიდენ, ია-  
რალის ხმარებას ასწავლიდენ და საჭიროების მიხედვით ერთი  
ბრძოლის ველიდან მეორეზე გადაჰყავდათ. ლანდსკნეხტებს  
გარდა სახელი გაითქვეს **შვეიცარიელებმაც**, რომელნიც იმ-  
დროინდელი უფლება მოყვარული მეფეების ხელში საშიშ ძა-  
ლას წარმოადგენდენ. ამგვარად ფეოდალების ბატონობის  
დღეებს ბოლო ეღდებოდა; იწყებოდა ახალი ხანა მეფეების  
ერთულებიანობისა: მონარქიის განმტკიცება და განვითარება  
უზრუნველყოფილი იყო.

### ს ტ ა მ ბ ა .

ალორძინების ხანის მეორე გამოგონებას უფრო მეტი  
კერილი და სასარგებლო შედეგი მოჰყვა. 1450 წელს მაინც ში  
პირველი დაბეჭდილი წიგნი გამოვიდა. წიგნის ბეჭდვის გამო-  
გონება ერთბაშათ არ მომხდარა. უკვე მე-X საუკუნეში ჩინე-  
ლები, ერთი ტექსტი რომ რამდენჯერმე არ გადაეწერათ, ამო-  
სჭრიდნენ ხის ფიცარზე შებრუნებულ ასოებს, წაუსვამდნენ  
მას ლაქას და შემდეგ მათ მიადებდნენ ფურცელს ან ქსოვილს.  
ამ საშუალებას პირველად პოლანდიელებმა მიმართეს მე-XV  
საუკუნის დასაწყისში. ასე გადმოჰქონდათ ლოცვები და ახსნე-  
ბი, რაც წმიდანების გამოხატულებაზე იყო მოთავსებული და

უამრავი რიცხვი საღდებოდა ძალიან იაფად. მე-XV საუკუნის  
დასაწყისში ერთი პოლანდიელი მივადა იმ დატკინამდე, რომ  
პირველი ნაბიჯი ჩინელებმა გადადგეს (X საუკ.), რომელნიც  
საბეჭდავად ფიცარზე უკუღმა ამოქრილი ტექსტით სარგებ-  
ლობდენ. ევროპაში ეს ხერხი პირველად პოლანდიელებმა შე-  
მოიღეს (XV საუკ.), რომლებმაც მალე ერთი ნაბიჯი კიდევ  
გადადგეს წინ. ისინი მიხვდენ, რომ ფიცარზე ამოქრილი ტე-  
ქსტის მაგიერ უფრო ხელისყრელი იქნებოდა, თუ ცალ ცალკე  
ასოებს ამოსჭრიდენ და მას მრავლად დამზადებდენ, რათა  
შემდეგ ოვითონ ტექსტის მიხედვით საჭიროების დროს ესა-  
თუ ის სიტყვა შეეზავებიათ და ამით საქმე გაეაღვილებიათ.  
სულ მალე უკანასკნელი ნაბიჯიც იქნა გადადგმული. 1436  
წელს მაინცის მოქალაქე ივანე გუტენბერგმა ლითონის ან-  
ბანი ჩამოასხა და ნაბეჭდის დასამზადებლად პრესი მოაწყო.  
1450 წელს მან ლათინური ბიბლია გამოსცა. ბეჭდვას გამო-  
გონება ზედშეწონილი იყო იმ ხანისათვის, როდესაც ლიტე-  
რატურული ნაწარმოებებისადმი ინტერესი ძალზე გაიზარდა.  
წიგნების ფასი სწრაფად დაიცა: წიგნი ლარიბთათვისაც ხელ-  
მისაწდომი გახდა და ძალიან ბევრიც ვრცელდებოდა.

**ინდოეთის გზა.** მე-XV საუკუნის ხალხის წინ მისწრაფება  
— მარტო გამოვინებებში არ გამოხატულა —  
ის ახალ გზებსაც ეძებდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელო-  
ბით და უკვე ცნობილი ქვეყნების წრის გაფართოებას ცდი-  
ლობდა. კლასიკურმა ლიტერატურამ შთამომავლობას ფინი-  
კიულების გაბეჭულ ეკსპერიების შესახები ცნობები შეუნა-  
ხდა. საშუალო საუკუნეებში ნორმანებმა ისლანდია აღმოა-  
ჩინეს, შემდეგ გრენლანდია და, დაბოლოს, მე-X საუკუნეში  
კანალის ნაპირებს მიაღწიეს, რომელსაც ვილლანდი ანუ ლვი-  
ნის ქვეყანა უწოდეს. მე-XV საუკუნეში ახალი ქვეყნების აღ-  
მოჩენისათვის პორტუგალელები და ისპანელები მოგზაურობ-  
დენ. პორტუგალიის პრინცმა ჰენრიხშა აფრიკის გამოსაკვლე-

ვად ექსპედიციების მთელი რიგი მოაწყო. მთავარი მიზანი აღ-  
მოსავლეთთან უშუამავლო ვაჭრობის წარმოება იყო. ყველა-  
ზე უფრო ინდოეთისაკენ გზის გაკვლევა აინტერესებდათ, რად-  
განაც იქაური საქონელი (სპილოს ძვალი, ძვირფასი ლითო-  
ნები და სხვა) მხოლოდ მაჰმადიან ვაჭრების ხელით მოსტიო-  
დათ. ამგვარად აფრიკის დასავლეთი ნაპირები და ახლო მდე-  
ბარე კუნძულები აღმოაჩინეს. დაბოლოს დიაცმა კეთილი იმე-  
დის კონცხს მიაღწია. 1498 წელს ვასკო-დე-გამამ ამ კონცხს  
შემოუარა. აფრიკის აღმოსავლეთის ნაპირები გაიარა და ინ-  
დოეთის ოკეანე გადასჭრა.

**კოლუმბი.** ცოტა აღრე **ქრისტეფორე კოლუმბმა**  
უფრო შესანიშნავი საქმე გააკეთა. კოლუმბი გენუაში დაიბა-  
და; ის ფეიქრის შვილი იყო და პავის უნივერსიტეტში ცწა-  
ვლობდა. 16 წლისამ სავაჭრო გემებზე ცურვა დაიწყო. მე XV  
საუკუნის 70-ან წლებში ის პორტუგალიაში მოხვდა და პორ-  
ტუგალიელებთან ერთად შათი აფრიკის ახალ შენები შემოიარა. იგი  
ისლანდიაშიც იყო, სადაც ალბად პირველად მოჰკრა ყური ცნო-  
ბას იმ დასავლეთი მატერიკის შესახებ, რომელიც პირველად  
ნორმანებმა აღმოაჩინეს.

ფლორენციელმა ვარსკვლავთმრიცხველმა ტოსკანელლიმ  
პორტუგალიის მეფეს დედამიწის რუკა გამოუგზავნა; რუკას  
თან განმარტება ახლდა, რომლის მიხედვითაც ქვეყანა რვე-  
ლი უნდა იყოს და მაშასადამე ევროპის პირისპირ ატლანტი-  
კის ოკეანის მეორე ნაპირზე ჩინეთი უნდა მდებარეობდეს. კოლუმბმა პირადადაც მიიღო ასეთი განმარტება ტოსკანელი-  
საგან და გადასწყვიტა: ინდოეთის გზა აღმოსავლეთით კიარა,  
უმჯობესია დასავლეთით ეძიოო. ის ფიქრობდა, ევროპას და  
აზიას შორის მანძილი დიდი არ უნდა იყოს, მატერიკის მი-  
საღწევად ოკეანის გადაჭრა უნდა იყოს საკმარისიო. ამ იდეის  
განთორციელების სურვილმა კოლუმბი ერთიანად შეიპყრო.  
მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა ძალიან ძნელი გამოდგა.

კოლუმბი სცდილობდა პორტუგალიაში, საფრანგეთში, ინ-  
გლისში, ნაგრამ ვერსად ვერ იშოვნა საჭირო თანხა გემების  
მოსამზადებლად. მაშინ მან ისპანიის მეფე-დედოფალს-ფერდი-  
ნანდსა და იზაბელლას მიმართა. პირველად აქაც ეჭვით და  
დაცინვით შეხვდენ. მან სალამანის უნივერსიტეტის სწავლუ-  
ლებსაც გაუზიარა თავისი გეგმა-განზრახვა; ეს სწავლულები სა-  
ღვთო წერილიდგან ამოღებული ადგილებით უმკტიცებდენ  
კოლუმბს, რომ ის სასტიკად სცდებოდა. იმედ დიკარგული  
კოლუმბი საფრანგეთში დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ შე-  
მოხვევით ერთი მონასტრის წინამძღვარს შეხვდა; ის თანაგრძნო-  
ბით მოეკიდა კოლუმბის გეგმას, ერთ მდიდარ ვაჭარს მო-  
მზადებია გემი და იზაბელლასთან წერილი გაატანა. 1492 წლის  
შემოდგომაზე კოლუმბი ანდალუზიის ნავთსადგურ პალოსიდ-  
გან უკვე ზღვაში გავიდა. მის განკარგულებაში სამი გემი იყო.  
ეკიპაჟი 90 კაცისაგან შესდგებოდა, რომლის ნაწილი განთა-  
ვისუფლებული ტყვეებიდან შესდგებოდა. ამინდი ხელს უწყობ-  
და მეზღვაურებს, მაგრამ კოლუმბს ბევრი შრომა დასჭირდა,  
რომ საქმე კარგად დაეგვირგვინებია. არა ერთხელ მოინდოეს  
მატროსებმა მისი ზღვაში გადავდება. მაგრამ მათ ის აჩერებ-  
დათ, რომ უხელმძღვანელოდ საშობლოში დაბრუნების იმე-  
დი არა ჰქონდათ. დაბოლოს, 33 დღის გაშლილ ზღვაზე მო-  
გზაურობის შემდეგ, 1492 წლის 12 ოქტომბერს ხმელეთს  
მოჰკერეს თვალი. კოლუმბი ეკიპაჟით პატარა კუნძულზე გა-  
დავიდა, რომელსაც სახელიად **სან-სალვადორი** უწოდა. ამის  
შემდეგ მალე უუბა და ჰაიტი აღმოაჩინეს. კოლუმბის ისპა-  
ნიაში დაბრუნება ნამდვილი ზეიმი იყო; მაგრამ კოლუმბის  
ბეღნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა-მან სამჯერ კიდევ  
იმოგზაურა, რამდენიმე კუნძული აღმოაჩინა და თვით მატე-  
რიკზეც გადავიდა, მაგრამ ისპანიის მთავრობა უკმაყოფილო  
იყო, რომ ექსპედიცია მდიდარისა და განათლებული ჩინეთისა  
და ინდოეთის მაგიერ წითელკანიანი ველურებით დასახლე-  
ბულს პირველ-ყოფილ ადგილებს წააწყდა. მესამე ექსპედიციის

ბოლოს კოლუმბი ბორჯილებ-გაყრილი მოიყვანეს, მაგრამ მან, თუმცა დიდის ვაი-ვაგლახით, თავის გამართლება მოახერხა. მე-IV ექსპედიციის შემდეგ კი იგი უკვე სრულად უყურადღებოდ დატოვეს, ასე რომ უკვდავი კოლუმბი სილარიბესა და გაჭირვებაში გადაიცვალა.

კოლუმბი მუდამ დარწმუნებული იყო, რომ მან მართლა ახალი გზა გაიკვლია აზისაკენ. ნამდვილად კი მან ახალი ქვეყანა ამერიკა აღმოაჩინა, ქვეყანა, რომელმაც ახალ ისტორიაში შესანიშნავი როლი ითამაშა.

— 1 —

II რეზორმაცია. თავი I.

კუმანიზმი გერმანიაში.

**გერმანია** რეფორმაციის დაწყების წინ გერმანიაში ერთი რეფორმა-ძლიერი მთავრობა არ არსებობდა: ხალხზე ბაკის წინ. ტონობა კურფუსტებს, ჰერცოგებს, მთავრებს, ესიკოპოსებს, აბატებს, გრაფებს, რაინდებსა და ქალაქებს შორის იყო განაწილებული. მცხოვრებნი ყოველივე უსამართლობას განიცდიდენ: ყველა იმას ცდილობდა, რომ როგორმე რაც შეიძლება შეტი ფული აეღო ხალხისგან. სასამართლოებში ხალხისათვის გაუგებარი რომაული კანონმდებლობა შემოიდეს, რომლის მცოდნებსაც ხალხში ძლიერ ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი. შველასა და სამართლიანად მოკირობას ხალხი არავისაგან არ მოელოდა. ამიტომ იგი ხშირად ამბოხებას აწყობდა და ცდილობდა იმგვარ თავისუფლების მიპოვებას, როგორიც შვეიცარიელებს ჰქონდათ; მაგრამ მთავრები და რაინდები მეამბოხეებს სასტიკად სჯიდნენ. ეკლესია კიდევ უფრო უჭირვებდა ხალხს საქმეს; მისი მთავარი წარმომადგენლები თვით იყვნენ მთავრებად და ხალხს ავიწროვებდენ. სამრევლო სამღვდელოება და ბერები გახრწნილებისა

და მოუხეშაობის მაგალითს იძლეოდენ. ორმისა და პაპის გავლენა მათ სასარგებლოდ ხარკის აკრეფაში გამოიხატებოდა; ხალხს ის უფრო აბრაზებდა, ორმ ამდენი სიმღიდრე გაუმაძლარისა და უსინდისო უცხოელების ხელში გადადიოდა.

**ჰუმანიზმი.** ჰუმანისტური განათლება, ორმელიც იტალიაში მე-XIV საუკუნეში გავრცელდა, გერმანიაში მე XV საუკუნეში გადავიდა. სამხრეთის მდიდარს გერმანულ ქალაქებში ჰუმანიზმს უამრავი მიზდევარი აღმოჩნდა. იმპერატორ მაქსიმილიანეს საერო ცოდნა და ხელოვნება ძალიან შეუყვარდა და იკი ჰუმანისტებს დიდ მფარველობას უწევდა. მე-XVI საუკუნის დასაწყისში ჰუმანისტები უკვე იმდენათ ძლიერები იყვნენ, რომ ბევრ უნივერსიტეტში სწავლების საქმე ახალ ნიადაგზე მოაწყვეს, სქოლასტრიკა შეავიწროვეს, ხელი შეუწყვეს ძველი მწერლების შესწავლას და ახალგაზრდობას ხელოვნება და ხელოვნური ლიტერატურა შეაყვარეს. მეცნიერება და ლიტერატურა, ამგვარათ, ლვთისმეტყველების მზრუნველობისაგან თავისუფლდებოდა; კაცის ლირსება, მისი მისწრაფება ქვეყნიური ბედნიერებისა და დიდებისადმი პირველ ადგილს იკავებდა, ხოლო თვითდამცირებისა და უარყოფის იდეალი თავის გავლენას უფრო და უფრო კარგავდა.

**რეიხლინი.** გერმანელ ჰუმანისტთა შორის განსაკუთრებული ალაგი რეიხლინს ეკავა. მან, ოოგორც სწავლულმა ფილოლოგმა და ლათინური ენის მცოდნემ, ლათინური ლექსიკონი შეადგინა. კარგი მცოდნე იყო რეიხლინი ბერძნული ენისა და ლიტერატურისაც. მანვე დაიწყო ებრაული ენის შესწავლაც და მისი გრამატიკა დამუშავა. სწორედ ამ დროს ერთმა მონათლულმა ებრაელმა (ფეფერკორნ), თავისი თანამემამულეთა დიდმა მტერმა, იმპერატორისაგან ნებართვა აიღო ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმართული ყველა ებრაული წიგნი მოქაბლი. ამით ისარგებლეს ფანატიკოსებმა და მთელი ებრაული ლიტერატურის მოსპობა მოითხოვეს. რეიხლინი

გულგრილად ვერ შეხვდებოდა ასეთ ბარბაროსებს და საქმეში ჩაერია. იგი, როგორც ებრაულის მცოდნე, ამტკიცებდა, რომ ებრაულ ლიტერატურაში ბევრი დაუფასებელი ღირებულებაა დაფარული, რომ განკარგულება მხოლოდ იმ წიგნებს ეხება, სადაც ქრისტიანობის წინააღმდეგ არის ლაპარაკი. ამის გამო თვით რეიხლინი იქმნა გაწვეული საინკვიციაზით საშართალში, როგორც ებრაული აზრების გამავრცელებელი. რეიხლინმა თვითონ პაპს ლეო მე-Х მიმართა და უკანასკნელმა საქმე შეაჩერა.

ამ გარეოებამ დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია საზოგადოებაში. უნივერსიტეტების უმრავლესობა რეიხლინის წინააღმდეგ წავიდა, ჰუმანისტებმა კი მხარი მას დაუჭირეს. რამოდენიმემ მათგანია ფანატიკოსების შესარცხვენად ორივინალური ხერხი გამოიყენა. აიღეს და სქოლასტიკის მიმდევრების სახელით კერძო ბარათების მოელი კრებული შეადგინეს, რომელიც „ბნელი ხალხის ბარათები“-ს სახელით გამოიქვეყნეს (Epistolae virorum obscurorum). ბარათები ისე ხელოვნურად იყვნენ შედგენილი როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ, რომ სქოლასტიკოსებმა იგინი ნამდვილად დასახეს. მით უარესი მათვის, რადგანაც ამით ცხადად მტკიცდებოდა, რომ იგინი თავისად თვლიდენ ყველა იმ სისულელეს, რომელიც წერილების საგანს შეადგენდა.

წერილები სქოლასტიკოსების ბარბაროსელი ლათინურით იყო ნაწერი და სერიოზული სახით სრულიად უმნიშვნელონივთებზე მსჯელობდა: კვერცხი უფრო ადრე გაჩნდა თუ ქათამი, ანგელოზი ნემსი, კურწში გაეტევა თუ ვერა და სხვ. „ბნელი ხალხის ბარათებმა“ სასიკვდილო მახვილი ჩასცეს სქოლასტიკოსების გავლენას.

**ერაზმი.** ყველაზე შესანიშნავი ჰუმანისტი ამ ხანაში ერაზმ როტერდამელი იყო. ბავშვობისას ის მონასტერში მიაბარეს, მაგრამ მონასტერი დასტოვა და სწავლის მისაღებად

პარიზში წავიდა. სწავლა იქ სქოლასტიური იყო. ერაზმა სქოლასტიკა ზედმიწევნით შეისწავლა, მაგრამ ის მდიდარია და ცოცხალ შინაარს ეძებდა და ამიტომ ძველი მწერლები შეიუვარა და სულ მაღლ გამოჩენილი ლათინურის მცოდნე შეიქნა. ბერძნული ენის შესასწავლად ის ინგლისში გაემზავრა. ინგლისელი ჰუმანისტები გატაცებული იყვნენ ძველი ენებით და ფილოსოფიით, მაგრამ ამავე დროს მათ არც ეკლესიის ინტერესები ავიწყდებოდათ და მის ცხოვრების რეფორმებზე ოცნებობდენ. ინგლისელი ჰუმანისტების გავლენის ქვეშ ერაზმის მიმართულება საბოლოოდ გამომუშავდა. სიცოცხლის შეორე ნახევარი ერაზმა გაზელში გაატარა და სალიტერატურო დასამეცნიერო საკითხებში პირველ ავტორიტეტიდ ითვლებოდა.

როგორც ფილოლოგს, ერაზმს ტოლი არ ჰყავდა: ის ლაპარაკობდა და სწერდა ლათინურათ და ბერძნულოთ, ჰოლანდიური და ფრანგული კი სუსტათ იცოდა გონებრივი მუშაობა მას ძალიან გადვილებოდა, და მთელი თავისი სიცოცხლე სწორედ გონებრივ მუშაობას შეაღია.

თანამედროვენი მოწიჭებით ეპყრობოდენ და ქედს იხრიდენ ერაზმის ჭკუამახვილობის, კრიტიკული წინაგრძნობისა და გამჭრიახობის წინაშე. ის ყველასათვის მისაწიდომ ენაზე სწერდა. საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მისმა „სისულელის შესხმამ“<sup>4</sup> გამოიწვია (1511წ.). (Laus stultitiae). სისულელის ღმერთი სიტყვას ამბობს სულელებზე, რომლებით სავსეა ქვეყანა. იქ ლაპარაკია ბევრ ვისჩედმე, მაგალ. გულუბრყვილო ბრბოზე, რომელიც ცხონების ყიდვას წმიდა აღილებში სიარულითა და ინდულგენციებით ფიქრობს, მაგრამ დაცინვის ისარი განსაკუთრებით სქოლასტიკოსებისაკენ არის მიმართული. მათ ბევრი რამ ისეთი იციან, რაზედაც პავლე მოცუქულს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა; იგინი ქვეყნის შექმნაზე მსჯელობენ, თითქოს ღმერთს რჩევა მათვის ეკითხოს, ამაყობენ — ყველაფერი ვიცითო, მაგრამ სახარების ან პა-

ვლე მოციქულის წაკითხვისათვის დრო ვერ მოუნახავთ. უკანასკნელ განსჯის დროს ბერები მარხულობით დაავადმყოფებულ კუჭხე და წვირიან ანაფორაზე მიუთითებენ, მაგრამ მათ ქრისტე წინადაღებას მისცემს მოაწყონ თავისთვის საკეოვრებელი ადგილი, რადგან ისინი სახარების მცნებებს არ ასრულებდენ; პაპები მის მაგიერ, რომ პეტრე მოციქულივით უარი სთქვან ქონებაზე, პეტრე მოციქულის სამფლობელოს გაფართვებაზე ზრუნავენ და სჯულსა და სარწმუნოებას ამახინჯებენ.

ერაზმია სთარგმნა და კომენტარიებით გამოსცა ახალი აღთქმა და წმ. მამათა ნაწერები. მისი მთავარი მიზანი ის იყო, რომ საღვთო წერილი ყველასათვის ხელმისაწილი გაეხადა.

ერაზმი დასციროდა ეკლესიაში და სახელმწიფოში გამეფებულ ბოროტმოქმედებას; ეს გარემოება ბევრს სარწმუნოებისა და საეკლესიო წყობილების დარგებში ძირითადი ცვლილების გამოწვევის გუნებაზე აყენებდა. მაგრამ თვით ერაზმი არაფერ ამის მზგავს არ ფიქრობდა. მას არეულობის ეშინოდა და მხად იყო პაპობასა და ასებულ საეკლესიო წყობილებას შერიგებოდა. მას მაინც იმედი ჰქონდა, რომ ბოლოს და ბოლოს ეკლესია სინდისის საქმეში გარევაზე ხელს აიღებდა. ერაზმი ვერ იყო მებრძოლი და იგი ამ იმედითაც კმაყოფილდებოდა.

### ულრის ფორ ჰუთენი.

განსაკუთრებით საინტერესო პიროვნებას გერმანიის ჰუმანიზმის მესამე წარმომადგენელი რაინდი ულრის ფონ ჰუთენი წირმოადგენდა. ერთურტის უნივერსიტეტში სწავლის დროს იგი ჰუმანისტურმა იღებმა გაიტაცა და იმ დროიდან დაწყებული ულრისი მუდამ ახალი მოძრაობის სათავეში იბრძოდა. იგი ჰუთენიგებელი მტერი იყო კათოლიკური სამღვდელოებისა და ძველი სქოლასტიკის და მათონ საბრძოლველად თავისი სატირიული ნიჭი გამოიყენა: ულრისმა „ბნელი ხალხის წერი-

ლების „შედვენაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო, ამას გარდა კათოლიკური სამღვდელოების წინააღმდეგ სატირა ვადისკუმ ანუ რომის სამება“ გამოქვეყნა, რომელშიც რომის გარევნილებასა და დაქვეითებას ენერგიულად ახასიათებდა. რომი ნაცარცვი სიმღიდრის საწყობია, რომელშიც ზის პაპი, ხრავს ამ სიმღიდრეს და სწოვს სისხლს გერმანელებსო. ნუ თუ გერმანელნი არ აიღებენ იარაღს და კეცხლითა და მახვილით არ გაილაშქრებენ მის წინააღმდეგო? ამბობს ულრიხი.

ულრიხ ფონ ჰერენი ამავე დროს პოლიტიკური მოღვაწე და გატაცებული პატრიოტი იყო, რომელსაც მთელი გერმანიის გაერთიანება და თავისებური დემოკრატიული წესების დამკაიდრება უნდოდა. მაგრამ იგი ამ მიზნის განხორციელებას საშვალო საუკუნეოთა საშვალებებით ფიქრობდა; ამასთანავე მას არ ჰქონდა შეგნებული, რომ დრო და პირობები არ იყო ამ მიზნისთვის შესაფერისი. ამიტომ ულრიხის მოღვაწეობა ამ მხრივ უნაყოფო იღმოჩნდა.

## თ ა ვ ი II.

### რეფორმაცია გერმანიაში.

<b>ლუტერის ბიოგრაფია.</b>	მარტინ ლუტერი დაიბადა 1483 წელს ტიურინგენის ქალაქ ეისლებენში, ის მაღაროს მუშის შვილი იყო და ბავშვობა რომთან.
<b>უთანხმოება რომთან.</b>	სიღარიბეში გაატარა; მშობლები მას ძალიან მკაცრად ეპყრობოდნ. მაგრამ მამამ მაინც მიაბარა სკოლაში და ზრუნავდა მის განათლებაზე — იმედი ჰქონდა, — ჩემი შვილი იურისტი და გავლენიანი პირი გამოვაო. მარტინმა წარმატებით გაათავა სიტყვიერების კურსი, მაგრამ იურიდიულ ფაკულტეტზე არ წავიდა; მამის სურვილის წინააღმდეგ ის აფგუსტინელების მონასტერში ბერად შევიდა.] მარტინი ასკეტი-

ურ ცხოვრებას დაეწაფა, მარხულობდა და მთელი დღეობით  
ლოცულობდა. მაგრამ სულიერი სიმშვიდე მაინც ვერ იპოვა.  
სულ უბრალო შეცდომაც კი სასოწარკვეთილებაში აგდებდა  
ლუტერს: ხსნასა და დახმარებას ის არსაით არ მოელოდა,  
ვინაიდან თვით ქრისტეც მაცხოვრად კი არა, მკაცრ მსაჯუ-  
ლათ ჰყავდა წარმოდგენილი.

ორდენის საქმეების შოსაგვარებლათ ლუტერი რომში  
გაგზავნეს. აქაური სამღვდელოების გარევნილებამ დიდი იღ-  
შფოთება გამოიწვია მასში, მაგრამ ჯერჯერობით ეს გრძნობა  
იმ შთაბეჭდილებამ დაჩრდილა, რომელიც მასზე ქრისტიანო-  
ბის დიდებული დროის ძეგლებმა მოახდინეს (საყდრები, წმი-  
დანების სასაფლავოები). ვერჩანიაში დაბრუნების შემდეგ ლუ-  
ტერი ახლად გახსნილ ვიტტენბერგის უნივერსიტეტში ღვთის-  
მეტყველების პროფესორათ მიიწვიეს. ის განსაკუთრებულ ყუ-  
რადლებას ავგუსტინისა და გერმანელი მისტიკოსების შესწავ-  
ლას აქცევდა. თანამდებობა ის ეჭვები, რომელსაც მარ-  
ტინი მონასტერში განიცდიდა. იმას ეგონა, რომ საუკუნო  
ცხოვრების გასაღები პავლე მოციქულისა და ავგუსტინის მო-  
საზრებაში ჰქოვა: კაცს ვერავითარი პირადი საქმე და ღვა-  
წლი ვერ იხსნის; მას იხსნის მხოლოდ რწმენა, ცხოველი  
რწმენა ქრისტესი, როგორც მაცხოვრისა.

1517 წლამდი ლუტერი კათოლიკური ეკლესიის ერთ-  
გულ შეღლად ითვლებოდა — მითი ამაყობდენ ავგუსტინის ორ-  
დენიდან მისი ამხანაგები, მის ლექციებს უნივერსიტეტში უა-  
მრავი მსმენელი ესწრებოდა. 1517 წელს მოხდა ფაქტი, რო-  
მელმაც ნათლად გამოაშკარავა ის წინააღმდეგობა, რომელიც  
ლუტერის შეხედულებებსა და კათოლიკური ეკლესიის მო-  
ძღვრების ძირითად დებულებათა შორის არსებობდა. პაპს ლეო  
მე-X პეტრე მოციქულის საკრებულო ტაძრის გადასაკეთებ-  
ლათ ფულები დასჭირდა. პაპიმ უბრალო ხერხს მიმართა: მან  
შემოწირულების მოგროვება დაიწყო და რათა მეტი შემოწი-  
რულება შემოსულიყო, შემომწირველთ ცოდვების პატიება

აღუთქვა. რადგანაც ფული ერთბაშად იყო საჭირო, პაპიმ ეს ფული იმდროინდელ ერთ-ერთ დიდ გერმანელს სავაჭრო სახლს გამოართვა და შემდეგ ვალის გასასტუმრებლად ამ სახლის წარმომადგენლებთან ერთად ინდულგენციების საშვალებით ფულის გროვება განავრძო. ეს პატივება გუჯრის სახით (ინ-დულგენცია) რიგდებოდა. სასჯელის შემსუბუქება გადახდილ ფულის რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. ვიტტენბერგის მიდამოებში თავისი ინდულგენციებით ერთ-ერთი ფრანცისკა-ნელი ბერი ტეცელი გაჩნდა. იგი უხეში, ტლანქი პიროვნება იყო, რომელიც მოურიდებლად აქებდა და მოხერხებულ ად ასაღებდა თავის საქონელს. (სხვათა შორის, ტეცელს აწერდენ შემდეგ სიტყვებს: დაიჩხრიალებს თუ არა ფული ყუთში, სუ-ლი მაშინვე ამოხტება განსაწმედელ ადგილიდან-ო). სინანუ-ლისა და ცოდვების მიტევების ამგვარი შეგინების წინააღმდეგ ლუტერმა ვაბედულად გაიღაშქრა. უნივერსიტეტის ჩვეულების თანახმად მან ვიტტენბერგში 95 დებულება გამოჰკიდა, საღაც ინდულგენციებს ჰემობდა და მოუწოდებდა ყველას, ვინც სხვა აზრის იყო, საპატეროდ გამოსულიყო. დანიშნულ დღეს არავინ არ გამოცხადდა, მაგრამ საქმე გახმაურდა, და ლუტე-რის მოქმედებას რომემ ყურადღება მიაქცია. რომიდან ოჯახი წარმოუგზავნეს ლუტერს მოციქულები საქმის ჩასაფუჩქებლად. უკანასკნელად ლუტერმა აღუთქვა რომს სიჩუმე, თუმცა თა-ვის შეხედულებათ სრულიად არ უარყოფდა. პაპის უფლების შესახებ აი რას სწერს იგი ერთ-ერთ თავის მეგობარს: „გე-ტყვი საიდუმლოდ, არ ვიცი, ჩავთვალო პაპი ან ტიქრისტეთ, თუ მის წარმომაღვენლათ“. მაგრამ სიჩუმე დიდხანს არ გაგრძე-ლებულა. ლუტერის მოწინააღმდეგებებმა ლეიპციგში მოაწყვეს კამათი, საღაც ლუტერის წინააღმდეგ ცნობილი მოკამათე ღვთისმეტყველი მკკი გამოვიდა. დიდი ხნის კამათის შემდეგ ლუტერმა განაცხადა, რომ ის არა სთვლის სავალდებულოთ პაპის აფტორიტეტს და ამტკიცებს, რომ კონსტანცის კრების მიერ დაგმობილს ჰუსის მოძღვრებაში ბევრი რამ უცილობელი.

ჭეშმარიტება არისო და სხვათა შორის ის, რომ ჩწმენის ერთად-ერთ უცალობელ საფუძვლად უთუოდ საღვთო წერილი უნდა ჩაითვალოს.

ლეიპციგის კამათმა საბოლოოდ აიძულა ლუტერი უკუეგდო ყოველივე რეევა და რომთან კავშირი გაეწყვიტა. მან სამი მცირე ტანის თხზულება გამოაქვეყნა, სადაც ეკლესის დაქვეითებისა და მისი რეფორმების აუცილებლობის შესახებ ჰქონდა საუბარი. პირველ თხზულებაში („გერმანიის ერის ქრისტიან თავად აზნაურობას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ქრისტიანობის მდგომარეობა“) ლუტერი მიმართავს ერისკაცებს, და განსაკუთრებით იმპერატორს, მთავრებსა და აზნაურებს და ეკლესის გასწორებისაკენ მოუწოდებს, თვითონ სამღვდელოებას თავისი თავის გასწორების უნარი აღარა აქვსო, ამბობს ლუტერი; მას სათავეში პაპი უდგას, რომელიც ზოგს ანგელოზებზე უფრო მაღალ არსებად მიაჩინათ; ამ „ანგელოზს“ რომ რომში უგზო-უკვლო ხალხი ახვევია გარშემო, რომელმაც მრავალი ქვეყნის სიმღიდრე შთანთქა და ეხლა გერმანიას მიჰყო ხელი. ბოლო უნდა მოედოს ამ ძარცვა-გორეჯას: არც ერთი კაპიკი რომს, ყოველგვარი საეკლესიო საქმე გერმანიაშივე უნდა გადაწყდეს; თითოეული საზოგადოება თვითონ უნდა ირჩევდეს წინამდვრათ ერთ-ერთ მორწმუნე მოჭალაქეს, რომელსაც, თუ მოისურვებს, დაქორწინების უფლებაც უნდა ჰქონდეს.

მეორე ტრაქტატი (ეკლესის ბაბილონის ტყვეობაზე) საიდუმლოთა მოძღვრებას ეხება. ლუტერის აზრით მხოლოდ ორი საიდუმლო არსებობს — ზიარება და ნათლისცემა. 5 დანარჩენი სამღვდელოებამ გამოიგონა, რათა ხალხზე უფრო აღვილად გაბატონებულიყო. მღვდლის დანიშნულება კი სამსახურია და არა ბატონობა. დაბოლოს, მესამე ტრაქტატში, ლუტერი ეხება მოძღვრებას კეთილ საქმეთა შესახებ. იგი ამტკიცებს, კეთილი საქეების რაოდენობა კაცს არ აცხონებს; მას იხსნის მხოლოდ იესო ქრისტეს რწმენა. კეთილი საქმეც საჭიროა,

მაგრამ მხოლოდ როგორც შედევი ქრისტეს რწმენისა და მო-  
ყვასის სიყვარულისათვის, ამბობს რეფორმატორი.

ამ წიგნებში გამოთქმული აზრები უკვე საქმაოდ იყვნენ  
მომწიფებულნი საზოგადოების ცნობიერებაში. ყველა გრძნობ-  
და იმას, რასაც აქ ლუტერი ნათლად ლაპარაკობდა. ამიტომ  
გავლენა მისი ტრაქტატებისა ძლიერ დიდი იყო; პაპი, რა თქმა  
უნდა, უყურადღებოდ ვერ დასტოვებდა ლუტერის ასეთს  
ცხად გამოსვლას და მან ბულა გამოაქვეყნა, რომლითაც ლუ-  
ტერს ეკლესიიდან განდევნით ემუქრებოდა. ლუტერმა საპასუ-  
ხოდ იგი თავისი სტუდენტების თვალწინ დასწავა. ამას შემდეგ  
შერიგება უკვე შეუძლებელი იყო.

### კარლოს მე-V. (1519—1555).

მარტო ლუტერი კი არ თხოვდა საერო მთავრობას საე-  
კლესიო საქმეებში ჩარეჭულიყო, ამასვე მოითხოვდა მისგან სა-  
მღვდელოებაც, მაგრამ სულ სხვა მიხნით; მას უნდოდა, რომ  
საერო მთავრობას ყოველი ღონე ეხმარა და ახლად დაწყებუ-  
ლი მოძრაობა ძირშივე ჩაეხსო. ეს გარემოება მით უფრო  
ყურადღები იყო. რომ სწორეთ ამ დროს იმპერიაში უმაღ-  
ლესი უფლებას განახლება მოხდა. მაქსიმილიანე გადაიცვალა  
1519 წელს, და კურფიურსტებმა მემკვიდრეთ მისი შვილის-  
შვილი კარლოსი აირჩიეს. ახლათ არჩეული იმპერატორის  
ხელში უამრავმა სამფლობელომ მოიყარა თავი, თანამედროვე-  
თა თქმით, კარლოსის სამეფოში მზე არასოდეს არ ჩაღიოდა.  
მამით კარლოსი ჰაბსბურგების სახლს ეკუთვნოდა და ავსტრიის,  
კარინტიისა და ტიროლის ჰერცოგი იყო; მისი ბაბუა მაქსი-  
მილიანე კარლოს გამედულის ქალზე მარიაშე იყო ჯვარდა-  
წერილი და მზითვად ნიდერლანდები და ბურგუნდიის აღმო-  
სავლეთი მიწები ერგო (ლოტარინგიის ნაწილი და ფრანგ-  
კონტე). მამა მისს ფილიპეს ისპანიის მეფის ფერდინანდის ქა-  
ლი უანნა ჰესავდა ცოლად, და ამიტომ კარლოსი ისპანიას,  
ნეაპოლს, სიცილიას და სარდინიას დაემკვიდრა. როგორც ის-

ჰანის მეფეს, მასვე ეკუთვნოდა ახალი ქვეყანაც, სადაც კო-  
ლუმბის შემდეგ ისპანელებმა ბევრი ადგილი აღმოაჩინეს და  
დაიპყრეს; დასასრულ კარლოსი, როგორც იმპერატორი გერ-  
მანის სათავეში მოექცა და ამით ჩრდილოეთსა და შუა იტა-  
ლიაში ზოვი უზენაესი უფლებები მოიპოვა. მაგრამ კარლოსის  
მონარქიის მრავალი სუსტი მხარე ჰქონდა: ჯერ ერთი ისა,  
რომ სახელმწიფო მრავალი სხვადასხვა ერთა და სრულიად  
განცალკევებული ოლქებისგან შესდგებოდა, რომელთაც საერ-  
თო სრულიად არაფერი არ გააჩნდათ. ეს შინაგანი სხვადასხვა-  
ობა იმთავითვე ღრღნიდა კარლოსის მონარქიის მთლიანობას  
და ასუსტებდა მას.

მეორე კიდევ ისა, რომ თითოეული ქვეყნის ძელი ჩვე-  
ულება და წესები, რომელნიც ახალი მდგომარეობისათვის შე-  
უფერებელი იყვნენ, მაგრამ რომლებზეც ხალხი ხეოს არ იღებ-  
და, ძალზე ასუსტებდა მეფის ძალაუფლებას.

მაგრამ კარლოსი მაინც დიდი წარმოდგენის იყო თავის  
სამეფოზე. ის თავის თავს მთელი საქრისტიანოს პატრიონადა  
და შთარველად თვლიდა. კარლოსი აუჩქარებელი და გულჩა-  
ხვეული კაცი იყო. ის მოხერხებულად სარგებლობდა თავისი  
ქვეშევრდომების ინტერესთა სხვადასხვაობით; არც ერთს მათ-  
განს არ ეყრდნობოდა თავისი მეფობის დროს და ამგვარად  
არც ერთს არ უახლოოფდებოდა.

კარლოსის შსოფლიო გეგმების განხორციელებას ხელს  
უშლიდა პატარა, მაგრამ სამშობლოს მოყვარული და ძლიერი  
მთავრობის პატრიონი, საფრანგეთი. კარლოსმა საფრანგეთთან  
ქიშიბა მემკვიდრეობით მიიღო. საფრანგეთის მეფებ ლუდო-  
ვიკმა ფეოდალები დაიმორჩილა; მისმა შვილმა კარლოს მე-VIII  
საგარეო პოლიტიკის საწარმოებლათ საფრანგეთის სიმდიდრი-  
თა და ძალებით ისარგებლა და დანაწილებული და დასუსტე-  
ბული იტალია მიზანში ამოიღო. მან ნეაპოლი დაპყრო და  
კიდევ ახალ მიწებზე დაიწყო ფიქრი; მაგრამ მის წინააღმდეგ  
იტალიის ყველა სახელმწიფო შეერთდა და, ისპანის მეფის

ფერდინანდის დახმარებით, კარლოსი იტალიის სახლვრებიდან გამოაძევეს. კარლოს მე-VIII მემკვიდრემ, ლუდოვიკო მე-XII თავისი წინამოადგილის პოლიტიკა ისევ განაახლა: მართალია ის ნეაპოლში დამარცხდა, მაგრამ სამაგიეროდ მიღანი აიღო. პაპმა იულიუს II მის წინააღმდეგ სასწრაფოდ დიდი კოალი-ცია შეჰქმნა, რომელშიც სხვათა შორის იმპერატორი მაქსიმი-ლიანეც რეგუდა მონაწილეობას, და ლუდოვიკო მიღანიდან განდევნა. მაგრამ კოალიციაში ერთსულოვანობა არ იყო, და ამიტომ ნამდვილად იტალია თავისი საკუთარი ძალების ამარა იყო მიტოვებული. როდესაც ლუდოვიკო XII მემკვიდრე-ფრანც I იტალიას შეესია, რე დაქირავებული შვეიცარიელი რაზე-ბის შეტი ვერავინ ნახა. მართალია შვეიცარიელთ უძლეველთა სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი, მაგრამ მარინიანოსთან გამარ-თულ ბრძოლაში გამარჯვება ფრანგებს ხვდათ წილად. ამ გა-მარჯვებით ფრანც I დიდი სახელი მოიხვეჭა. ფრანგებმა მი-ღანი ხელმეორედ დაიკავეს. ფრანც I იმპერატორობა მოი-ნდობა მაქსიმილიანეს სიკვდილის შემდეგ კარლოს ჰაბსბურგე-ლის წინააღმდეგ. მან თავისი კანდიდატურა წამოაყენა. ფრანც-მა ვერ გაიმარჯვა, მაგრამ ცხადი გახდა, რომ ამ ორ პიროვ-ნების შორის პირველობის შესახებ ატებილი დავა იარაღს უნდა გადაეწყვიტა. კარლოსმა იცოდა, რომ საფრანგეთთან ომს ვერ იცილებდა, და ისიც თადარიგს შეუდგა. პაპის სა-ქმეში ჩარევას დიდი გავლენის მოხდენა შეეძლო სამხედრო მო-ქმედების მსვლელობაზე. ეს იულიუს მე-II მაგალითით და-მტკიცდა. ამიტომ პაპზე გავლენის მოსახდენად კარლოსი ყო-ველივე საშუალებას ხმარობდა. ეს სწორედ ის დრო იყო, როდესაც გერმანიაში ლუტერის ძლიერება მოძრაობაშ იჩინა თავი. ცხადად სჩანდა, ვის მხარეს დაიჭერდა ახალი იმპერა-ტორი: პაპისას თუ ლუტრისას?

სეიმი მორავში (1521). ლუტერანობის დასაწყისი.

ახალ იმპერატორს დიდი იჩედებით მოელოდა გერმანელი ხალხი—მისგან მოელოდენ გასაჭირის შემსუბუქებას და პოლიტიკურისა და საეკლესიო წყობილების ნაკლის გასწორებას. კარლოს მე-V, სურვილიც რომ ჰქონოდა, ყველას დაკმაყოფილებას მიინც ვერ მოახერხებდა; მაგრამ გას სულ სხვა ფიქრი ჰქონდა: ის საფრანგეთთან ოშს მოელოდა და გერმანია მხოლოდ იმდენათ აინტერესებდა მას, რამდენადაც საჭირო სამხედრო ძალას იშვიალა. აირჩიეს თუ არა იმპერატორი მყის გერმანიას გაემგზავრა. აქ ქ. ვორმსში ყრილობა იყო დანიზული (1521), რომელზეც თავი მოიყარეს კურფუურსტებმა, მთავრების უმეტესმა ნაწილმა და ქალაქების მრავალმა დეპუტაციამ. იმპერატორმა წარადგინა პროექტი მართველობის, სასამართლოს, ფინანსებისა და ჯარის გაუმჯობესების შესახებ. მაგრამ ყრილობის წევრებს საეკლესიო საქმეები უფრო აინტერესებდათ, ამიტომ პროექტს ულაზათოდა და უგულოდ არჩევდენ. ყრილობის სურვილის თანახმად იმპერატორმა ლუტერი ვორმსში გამოიწვა. პაპი ამ დროს საბოლოოდ გათავიდა კარლოს მე-V მხარეზე, და ამიტომ უკანასკნელიც ცდილობდა მხარი დაეჭირა პაპის საეკლესიო ავტორიტეტისათვის. ლუტერი სიხარულით გამოცხადდა — ის ფიქრობდა, საშვალება მომეცემა ჩემი აზრები გამოვთქვა და დავიცვაო; მაგრამ იმედი არ გაუმართლდა. მას მხოლოდ ერთი კითხვა მისცეს: უარს ამბობს თუ არა იმ აზრებზე, რომელიც ეკლესიამ დაპერდო. მაღალი ყრილობის არაჩვეულებრივმა სახემ ლუტერი შეაკრთო და პასუხის მოფიქრებისათვის. ვადა ითხოვა. ლუტერმა მოიკრიბა ძალა და მეორე დღეს კრებას განუცხადა, რომ იგი არაფერზე უარს არ ამბობდა. მართალია ლუტერი არ დაუტუსალებიათ, მაგრამ იმპერატორმა განაცხადა, რომ იგი ეკლესიისა და ძველი სარწმუნოების შერყევის მსურველთა მოქმედებას ვერასდროს ვერ შეურიგდებოდა, და ამ

აზრით შეადგენია ბრძანება ლუტერის მოძღვრების წინააღმდეგ.

რეფორმის მომხრეთა საბერი იეროდ იმპერატორს არ ეცალა თავისი მუქარა სისრულეში მოყვანა, რაგანაც სწორედ ამ დროს საფრანგეთთან ომი დაიწყო და კარლოს მე-V მთელი ყურადღებაც აქეთვენ იყო მიინართული.

საქსონიის კურფურსტმა ფრიდრიხმა ლუტერის სისარგებლოდ ზომები მიიღო. მისი ბანანების თანახმად მარტინი მალულად ვარტბურგის კოშკში გაგზავნეს. ამ კოშკში რეფორმატორი მთელ წერიწადს ცხოვრობდა (რაინდის ტანსაცმელში გამოწყობილი). ის ძალიან ბევრს მუშაობდა — ათეულებით გზავნიდა ბროშურებს გერმანიის ქალაქებსა და დაბებში. მაგრამ უმთავრესი ის იყო, რომ ლუტერმა აქ ბიბლიის გერმანულად თარგმნა დაიწყო. ის კარგად იცნობდა გერმანულ კალოკავებს და მასთანავე საუცხოვო შემოქმედებითი ნიჭით იყო დაჯილდოვებული. ლუტერმა თავისი საქმე ათავსულებრივი აღფროოვანებით და ხელოვნებით შეასრულა. მისმა თარგმანმა მთელი ხანა შეჰქმნა როგორც გერმანელი ერის ჩელიგიაში, ისე მისს ლიტერატურულ ენასა და ნაციონალურ თვითშეგნებაში.

ბოლოს ლუტერი იძულებული შეიქმნა მუშაობა შეეწყვიტა, რადგანაც მის ყურამდე ცნობებმა მიაწია მის მომხრეთა შორის ამტყდარ არეულობის შესახებ. არევ-დარევის მიზეზი გამოურკვევლობა იყო: ხალხი ერთ ორგანიზაციის ჩამოშორდა, მაგრამ ახალი ორგანიზაცია ჯერ კიდევ არსებობდა. ლუტერმა ვარტბურგი დასტოვა და ვიტტენბერგში პირველი ლუტერანული საზოგადოების დაარსება სუადა, მორწმუნებმა აირჩიეს პასტორი; ღვთისმსახურებიდან განდევნეს ჩვეულებები, რომელიც საიდუმლოებთან იყო დაკავშირებული: მთავრი მნიშვნელობა ქადაგებასა და გალობას დაეთმო. ლუტერი თავის სიტყვაში ყოველთვის იმ აზრს ატარებდა, რომ ზედმეტ სისასტიკეს მხოლოდ პირფერობა და გარყვნილება მოაქვს;

ახალ საზოგადოებაში ბერობა აკრძალული იყო; ლუტერანიც  
დატოვა ბერობა და ნამონაზნარი შეირთო ცოლად. დიდი ყუ-  
რადლება მიაქციეს საშუალო სკოლებში სწავლების საქმესაც.  
ამ დარგში ცნობილი ფილიპე მელანქონი მუშაობდა. ყველა  
ეს ცვლილება ქალაქის მთავრობის დახმარებით ხდებოდა, და  
ამჩინებით ვიტტენბერგი ახალი საეკლესიო ორგანიზაციის ცენ-  
ტრად იქცეოდა, რომელიც თანდათანობით მთელ გერმანიაში  
იკიდებდა ფეხს.

## ლუტერანობის გამოცემების შედეგები.

**უკიდურესი კათოლიკიზმის მოწინააღმდეგეთა  
მიმართულებანი.** უმრავლესობას ლუტერის ჩეფორმები  
ძალიან ზომიერიდ მოეჩვენათ. ახალი მოძღვრების შიმდევრების  
ერთგულება ხშირად ხატებისა და ქანდაკებების მტვრევაში,  
საკურთხევლების დანგრევასა და საეკლესიო ჩვეულებების შე-  
გინებაში გამოიხატებოდა. ამას გარდა, ის აზრი, რომ საღვთო  
წერილი სარწმუნოების ერთაუ-ერთი უცილობელი საფუძვე-  
ლია, საშიში გამოდგა: ღვთის სიტყვას ერთნი ისე ჰქსნიდენ,  
მეორენი სხვანაირად. წინად ეკლესია იძლეოდა ახსნა-განმარ-  
ტებებს, ეხლა აღარც ვიტტენბერგის „მასწავლებელს უჯერო-  
დენ, და ყველა საკუთარ ახსნა-განმარტებას იძლეოდა. გაჩნდა  
„ანაბაბტისტების“ მწვალებლობა, რომელიც პირად დარწმუ-  
ნებას დიდ როლს ანიჭებდა და მოითხოვდა ნათვლის იმდროს  
შესრულებას, როდესაც კაცს შეგნებულათ შეუძლია ესა თუ  
ის რელიგია იორჩიოს. ზოგიერთი კიდევ უფრო შორს მიდი-  
ოდა, საღვთო წერილს საქმარისად არ სთვლიდა, და ღმერ-  
თისგან უშუამავლო ხელმძღვანელობას მოელოდა, რაც, მა-  
თის აზრით, ექსტაზში მხილდებოდა. ექსტაზის უმწვერვალეს  
საფეხურად წინასწარმეტყველებითი შთაგონება ითვლებოდა.  
სარწმუნოებრივი საკითხების გამოურკვევლობით გამოშვე-  
ულ ჯანყს გარდა გერმანიაში სოციალური ხასიათის მოძრაო-

ბაც მწიფდებოდა. ლუტერს სახარების საფუძველზე საეკლესიო რეფორმის გატარება უნდოდა, მაგრამ მისმა მიმდევრებმა სახარების მიხედვით ეკლესიის გარდა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი რეფორმებს მოხდენაც განიზრახეს. როგორც კი დაიწყო ლუტერმა ეკლესიის წინააღმდეგ ქადაგება, ყველა უკმაყოფილობ და შეურაცხყოფილმა წამოჰყო თავი: ყველას ეგონა, რომ დადგა დრო საუკუნო ბოროტების გასწორებისათვის. უკმაყოფილოთა შორის რაინდებს პირველი ადგილი ეკავათ. ისინი შერის თვალით შესცემოდენ მთავრებს, რომლებიც ხელმწიფებად გარდაიქცენ, — ეზიზლებოდათ მოქალაქეები და გამდიდრებული მდაბიო ხალხი, რომლებიც მათზე უფრო მდიდრულათ ცხოვრობდენ. ამასთანავე იგინი ხდავდენ, რომ დიდი ომებისთვის რაინდები არ გამოუვარებოდენ, რადგან ბრძოლის ბედს ქვეითა ჯარი-ლანდსკნებტები სწყვეტდენ. ლიტერატურაში რაინდობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ცნობილი ჰქონისტი ულრიხ ფონ-ჰუტენი იყო. ის მთელ ევროპაში დაეხეტებოდა, სამხედრო ნაწილებში მსახურობდა და დიპლომატიურ დავალებებს ასრულებდა; მან თითქმის ყველა უნივერსიტეტი შემოიარა, შეითვისა ჰქონისტების შეხელულებები, იმპერატორ მაქსიმილიანესაგან მგონილის გვირგვინი მიიღო და მრავალი სამხილებელი წიგნაკები და ლექსები დასწერა გერმანელ მთავრობის, პაპის, ფრანგების და სქოლისტების წინააღმდეგ. ის აღფრთვანებით შეხვდა ლუტერის გამოსვლას, მაგრამ რეფორმაცია თავისებურად ესმოდა. ვორმსის სეიმის შემდევ ხსნას ის მხოლოდ რაინდების აჯანყებაში ხედავდა, ოცნებობდა იმპერატორის ხელქვეით ეროვნულ გაერთიანებაზე და მთელ იმედს სამპერიო რაინდ ფონ-სიკინგენზე ამყარებდა, რომელიც არა მარტო თავისი ავაზაკობით იყო ცნობილი, არამედ იმითაც რომ მთავრების პოლიტიკაში ერთდა და მათზე გავლენას ახდენდა. სიკინგენი მოულოდნელად დაეცა ტრირს, მაგრამ აქაურმა არქიეპისკოპოსმა ის უკუაგდო. ტრირის არქიეპისკოპოსს რამდენიმე მეზობელი მთავარი მიე-

შევლა და შეერთებული ძალით ჯერ ციხეები წაართვეს და  
მერმე თვით სიკინგენიც შეიპყრეს. ის სასიკვდილოდ დაიჭრა  
და მტრების თვალ წინ გარდაიცვალა. ერთი წლის შემდეგ  
ჰუტენიც მოკვდა. **V.**

**გლეხების 1525 წელს გლეხების აჯანყება დაიწყო.** აჯან-  
ამბოხება. ყებულებმა 12 მუხლით დაწერილი მოთხოვნე  
ბი წამოაყენეს. საქმე ბატონყმობის მოსპობას, გადასახადების  
შემცირებას, დანაშაულობისათვის სასჯელის. განსაზღვრას და  
მღვდლების საზოგადოებისაგან ამორჩევის შეეხებოდა. ამბოხე-  
ბა რეინის მხარესა და ტურინგიისაც მოედო. რეინის მხარეში  
რაინდი გეცი-ფონ ბერლინინგენი ჩაუყენეს სათავეში აჯან-  
ყებულებს. ტურინგიაში სახელი გაითქვა მქადაგებელმა **თომა**  
**მიუნცერმა.** ის ღარიბებს მდიდრების გაულეტისაკენ მოუწო-  
დებდა, თავისი თავი წინასწარმეტყველად გამოაცხადა და მი-  
მდევრებს ღმერთისაგან სასწაულებრივი დახმარება აღუთქვა. ის  
ვინც ამგვარ ბელადებს მიჰყებოდა, 12 მუხლით იღარ კმაყო-  
ფილდებოდა და მოითხოვდა საკუთრების განაწილებას, სწვავდა  
კოშკებს, აწამებდა და ელეტდა რაინდებს, რომლებიც ხელში  
ჩაუვარდებოდა. გერმანიის საზოგადოების უმაღლესმა წრეებმა  
იგრძნო, რომ მოძრაობა საერთოდ ყველას ინტერესებს ემუ-  
ქრებოდა, — კათოლიკები და პროტესტანტები შეერთდენ  
აჯანყებულების წინააღმდეგ. ლუტერს ეშინოდა რეფორმა-  
ცია რევოლუციად არ გარდაქცეულიყო, და ამიტომ აჯანყე-  
ბულების წინააღმდეგ სწერდა და ჰქონდავობდა. ლანდსკნეცებს,  
რა თქმა უნდა, უდისციპლინო და უწესრიგო მეამბოხეთა  
ბრძოები ვერ გაუმკლავდებოდენ და სულ მცირე ხნის განმა-  
ვლობაში ისინი იძულებულნი იყვნენ იარაღი დაეყარათ. საში-  
ნელი იყო მათი ბედი, მეამბოხეთ ათასობითა შეუბრალებლად  
ულეტდენ.

აჯანყების ჩაქრობის 8 წლის შემდეგ ერთხელ კიდევ იჯგ-  
ოქა უკმაყოფილებამ. ქალაქ მიუნსტერში მკერავმა იანემ თა-

ვისი თავი მესიად გამოატადა და ოჯანყებულებს სათავეში ჩა-  
უდგა; მან, თომა მიუნსტერის არ იყოს, მიუნსტერში თავისე-  
ბური კომუნისტური წესწყობილების განხორციელება სცადა.  
მაგრამ მიუნსტერი სუსტი იყო და მეზობელი მთავრების ჯარ-  
მა იგი იდვილად აიღო.

■

იდვილი გასავებია, რომ ერთგული კათოლიკენი და იმ-  
პერიტორი გულგრილად ვერ შეხვდებოდენ მოძრაობას, რო-  
მელიც არსებულ წყობილებას წილევას უქადდა, ამიტომ მწვა-  
ლებლობის წინააღმდეგ „საიმპერიო“ საშუალებებს მიმართეს.  
მეორე მხრივ, თვითონ რეფორმატორებიც ცდილობდენ მო-  
ძრაობა კანონიერ კალაპოტში ჩაეყენებიათ და ამიტომ მოწა-  
ლინებული იყვნენ რეფორმის საქმე მთავრობას მიეღო თავის  
თავზე. ორმა შემთხვევამ იქონია გავლენა ახლობელ წლების  
ისტორიის მსვლელობაზე: საიმპერიო მთავრობა კაი ხნით მო-  
კლებული იყო საშვალებას რეფორმაციის წინააღმდეგ აკტიუ-  
რად გამოსულიყო და გერმანიის მთავართა უშრავლესობა რე-  
ფორმაციას მიემზრო, ზოგი გულწრფელი რწმენით და ზოგიც  
კიდევ პოლიტიკურ-დიპლომატიური მოსაზრებით.

### გლეხთა მოთხოვნილებანი:

1. თითოეული თემი თავისოვის მოძღვარს თვითონ ირჩევს.
2. სამღვდელოების სასარვებლოდ მოხავლის მეათედი უნდა  
გადაიდგას. დანარჩენი გადასახადი, რომელიც სამღვდელო-  
ების სასარვებლოდ მიღიოდა, უნდა მოისპოს.
3. გლეხები პირადად თავისუფალნიარიან; ბატონყმობა ისპობა.
4. ყველას უფლება აქვს, სადაც უნდა იქ ინაღიროს და აა-  
დაც უნდა იქ ითევზაოს.
5. შეშის მოჭრა ყოველ ტყეში შეიძლება.
6. მემამულეების სასარვებლოდ გლეხი მარტო იმდენს მუშა-  
ობს, რამდენიც ჟელად იყო მიღებული.
7. მეტი სამუშაოსათვის გლეხი განსაკუთრებულ გასამრჯელოს  
იღებს.

8. მიწაზე გადასახადი სამართლიანი უნდა იყოს მიწის ფასის მიხედვით.
9. დანაშაულთათვის სასჯელი მტკიცედ უნდა იყოს განსაზღვრული.
10. სათემო მიწები თემებს უნდა დაუბრუნდეს.
11. მემაძულის უფლება გარდაცვლილი გლების მემკვიდრისაგან საუკეთესო საქონლის ან სხვა ამგვარის მიღების ისპობა.
12. თუ დამტკიცდა, რომ აქ ჩამოთვლილ მუხლებში რამე ეწინააღმდეგება საღვთო წერილს ან სამართალს, ასეთი დადგენილება ჰკარგავს ძალას.

## Վ ՀԱԽԼՈՒՍ ԹԵ-Վ ԹՈՒԻ ՇԱԿԱԾԱՑՄԱՆ ՌԱՅԱՆ.

Հռոմեաց ծմანება յարլուս მე-V ցրთი Ռյուտիთաց առ Հազո՞վ պահպան მაგრამ սაფრաნგეთან მძიმე ომის წარმოება მოუხდა, და ამიტომ მისი სისრულეში მოყვანა უკეთესი დროისათვის უნდა გადაედო. 1525 წელს ფრანგები სასტიკად დამარცხდენ; პაցიასთან ბრძოლაში გერმანელებს თვით ფრանც I ჩაუვარდათ ტყვეთ ხელში. მაგრამ ფრანგების დამარცხებამ იტალიელები შეაშინა, და პაპმა კლიმენტ მე-VII յարլուս սაჭინააღმდეგო კოალიციაზე დაიწყო ზრუნვა. იმპერატორის ჯաრმა, რომელու սანახევროდ ლუტ్րენარებისაგან შესდგებოდა, პაპის დასამორჩილებლიდ პირი რომისაკენ იბრუნა, აიღო იგი, დაარბია და შეურაცყოფა მიაყენა ეკლესიას და სამღვდელოებას. პაპი იძულებული შეიქმნა յարლოւის მტრობაზე ხელი აეღლო. თვით ფრაնც I-იც დასთანხმდა յարლოւის ზავის პირობებს, მაგრამ ეს თანხმობა გულწრფელი առ აღმოჩნდა: მას უნდოდა ტყეებიდან განთავისუფლებულიყო, რომა ომი განეახლებია, და მალე ასეც მოიქცა. მაგრამ ახლა პირობები ფრანცის სასარგებლოდ მოეწყო. სწორედ ამ დროს გერმანიას აღმოსავლეთით საშინელი მტერი გაუჩნდა: ռსმალთა სულთანმა

სულეიმანშა ბელგრადი აიღო, მოგაჩესთან უნგრებისა და ჩე-  
ხების ჯარი გაანადგურა, დაიკავა უნგრეთი და ვენას მიადგა.  
მართალია ვენა ვერ აიღო, მაგრამ ამის შემდეგ ავსტრიისა და  
გერმანიის სამფლობელოები მუდმივ შიშს ქვეშ ჰყოვდა. ოსმა-  
ლოებმა უნგრეთში მაგრათ მოიკიდეს ფეხი; კარლოსი და ფერ-  
დინანდი იმას-ლა ცდილობდენ, რომ თურქები როგორმე ამადგი-  
ლებში მაინც შეეჩერებინათ. ფრანცმა ამ პირობებით შოხერხე-  
ბულად ისარგებლა: დაუშეგობრდა სულეიმანს და ყოველგვარ  
დამარებას უწევდა მას იმპერატორთან ბრძოლაში; ეხმარებო-  
და მაჰმადიან მეკობრებსაც, რომელნიც ხმელთაშუა ზღვაზე  
ქრისტიანების გემებს ძარცვავდენ და იტალიისა და ისპანიის  
სანაპიროებს არბევდენ. თვითონ კი თავის მხრივ თავს ესხმი-  
და იტალიას, რათა კარლოსი საბოლოოდ შეევიწროებია. მა-  
გრამ კარლოსი ყოჩაღად იბრძოდა; სამაგიეროდ ვერმანიის ში-  
ნაური საქმეები უყურადღებოდ ჰქონდა მიტოვებული.

ამით რეფორმაცია მოვებული დარჩა. საზოგადოებრივი  
აზრი რეფორმის სასარგებლოვ იყო განწყობილი; ეს გარემო-  
ება კი გავლენას ახდენდა როგორც კერძო პირებზე, ისე მთა-  
ვრებზეც; ვერმანიის მთავრობებისათვის რეფორმაციის მიღებას  
დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო. უმეტეს შემთხვევაში  
საეკლესიო ქონების სეკულიარიზაცია, ე. ი. მისი მთავრობის  
ხელში გადასცლა ჰქიდებოდა; სასულიერო მთავრებიც კი (ეპის-  
კოპოსები, აბბატები) სარგებლობას ჰქიდავდენ სარწმუნოების  
გამოცვლაში, რადგანაც ამით ისინი მემკვიდრეობითი იძენდენ  
იმ ქონებას, რომლითაც წინად სარგებლობდენ მხოლოდ რო-  
გორც ეკლესიის წარმომადგენლები. ამას გარდა კათოლიკური  
ეკლესია იმდენიც ძლიერი იყო, რომ მისი გამკლავება წვრილ  
მთავრებს სათითაოდ არ შეეძლო, ამიტომ ნათელია, თუ რა-  
ტომ უნდა მიმხრობოდა ლუტერანობას გერმანიის მთავრების  
უმრავლესობა. პირველად ლუტერანობა ოფიციალურად საქ-  
სონიის კურფიურსტმა და ჰესენის ლანდგრაფმა შემოიღეს  
თავის სამფლობელოებში; და როდესაც შპეიერის რეიხსტაგში

იმპერატორი და კათოლიკები ვორმსის ელიქტით დაემუქრენ ლუტერანებს, 5 მთავარმა და 14 ქალაქმა გამბედაობა იქონიეს და ამგვარი ზომის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს. მათ „პროტესტანტები“ უწოდეს და შემდეგ ეს სახელი რეფორმაციის ყველა მიმდევარზე გავრცელდა. 1530 წელს აუგსბურგის რეისტაგში იმპერატორმა კვლავ ლუტერანების წინააღმდეგ გაილაშქრა; მან მოითხოვა, რომ ლუტერანებს მოკლედ წარმოედგინად მისთვის თავისი შეხედულებათა ძირითადი დებულებანი ფილიპე მელანხონმა შეადგინა ლუტერანების სარწმუნოების მოკლე ახსნა, რომელიც წარუდგინეს მას „აუგსბურგის სარწმუნოების აღსარების“ სახელით. ამავე დროს ლუტერანებმა საობარი მზადებაც დაიწყეს: **შმალკალდენში** კავშირი შეჰქრეს და საერო-ჯარი შეადგინეს. მაგრამ ოშალეთთან ომი დაიწყო და კარლოსი იძულებული შეიქმნა ლუტერანებისათვის თავი დაენებებია.

მხოლოდ 1544 წელს დაამთავრა ომი იმპერატორმა, რომ მელიც მას ხელს უშლიდა გერმანიის საქმეების მოგვარებაში. ინგლისელების დახმარებით კარლოსმა საფრანგეთის საზღვრები გადალახა და თითქმის პარიზს მიახწია. ფრანც I იძულებული შეიქმნა ზავზე დათანხმებულიყო. კარლოს მეხუთემ ახლა პროტესტანტიზმის მოსპობა გადასწყვიტა; მაგრამ მას კათოლიკური ეკლესიის გასწორებაც საჭიროდ მიაჩნდა. მიტომ მან დაჯინებით მოითხოვა **ტრიდენტში** საეკლესიო კრება მოეწვიათ. პროტესტანტები მუდამ კრების მომხრე იყვნენ, მაგრამ ტრიდენტის კრების ცნობაზე უარი გააცხადეს, რადგანაც იგი პაპმა მოიწვია და სხდომებსაც პაპის ლეგატები თავმჯდომარეობდენ. ისინი მიხვდენ, რომ საქმე იარაღს უნდა გადაეწყვიტა, და ჰესისენის ლანცვგრაფი პირველი დაესხა თავს ავსტრიის ჯარებს. მაგრამ პროტესტანტებს შორის საქმაო თანხმობა არ იყო, და კარლოსმა შმალკალდენის მოკავშირეთა შორის გათიშვის შეტანა მოახერხა. პირველად მან საქონიის ახალგაზდა ჰერცოგი მორიცი მიიმხრო, და როდესაც იმპერატორმა მთავარი თა-

ვისი მოწინააღმდეგე, საქსონის კურფიურსტი დაბარცხა და დაატყვევა, მაშინ ჰესენის ლანდგრაფიც დანებდა მას. მოხუც ლუტერს არ უცოცხლია თავის ეოთმორწმუნება დაბარცხება-მდი. ის 1546 წელს გარდაიცვალა.

კარლოსი ოთხი წლის განმავლობაში გერმანიას ისე გა- ნაგებდა, როგორც დაპყრობილ მთარეს: მარტო სამხრეთ გერ- მანიადან იქმნა განლევნილი 400-დე პასტორი. იმპერატორის მოქმედებით აღშფოთებულნი იყვნენ პროტესტანტებს გარდა კათოლიკებიც. ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ის კანონებს არღვევდა და თვითმპყრობელობის განმტკრცებას აპირებდა. წინააღმდეგობის სული დატრიალდა ყველგან — ბელადი ლა იყო საჭირო.

საქმეს ისევ იმ მორიც საქსონელმა მოჰკიდა ხელი, რო- მელმაც შმალკალდენის ომის დროს თავის თანიმორწმუნებებს უღალატა. ის ჭიკიანი, გაბედული და ვერაგი კაცი იყო; რის- თვისაც ხალხმა მას იუდა უწოდა, კარლოსი მორიცს ყველა- ფერში ენდობოდა: ის დარწმუნებული იყო, რომ ჰერცოგმა პროტესტანტებთან კავშირი საბოლოოდ გასწყვიტა. მორიცმა კი პირიქით ეს კავშირი ხელახლა იღადგინა; შეჰკრიბა დიდ- ძალი ჯარი და ფრანგების მეფეს ჰენრის მე-II პირობით შეე- კრა, რომლის ძალით ფრანგები იმპერიას უნდა შემოსეოდენ და კარლოსის ყურადღება მიეპყროთ; ამისთვის ისინი მეცს, ტულსა და ვერდენს მიიღებდენ. მოლაპარაკება და მზადება საიდუმლოდა და დიდის ხელოვნებით სწარმოებდა, და როდე- საც ფრანც I მემკვიდრე ბურგუნდიის მხარეში შეიჭრა, მო- რიცი მსწრაფლ გაეშურა სამხრეთ გერმანიას, სადაც იმპერა- ტორის მცირე რიცხოვანი ჯარი იმყოფებოდა და გაპფნტა იგი; ხოლო იმპერატორმა გაქცევით უშველა თავს. ამის შე- მდეგ კარლოსის ბედი უკულმა დატრიალდა. იგი თავს მოხუ- ცად და მოქანცულად გრძნობდა, და ამიტომ აღარ ჰქონდა საკმაო ძალა ბრძოლის განახლებისათვის. ამიტომ მან პოლი- ტიკურ მოღვაწეობაზე უარის გაცხადება გადასწყვიტა. ისპანია,

ნიდერლანდები და ახალი ქვეყანა მან თავის შვილს ფილი-  
პეს გადასცა, იმპერია და ჰაბსბურგების მიწები კი — თავის ძმას  
ფერდინანდს. თვითონ ისპანიას წავიდა და წმიდა იუსტის მო-  
ნასტერში შევიდა. კარლოსმა მონასტერში ორი წელი კიდევ  
იცოცხლა; ამ ხნის განმავლობაში ის კაცის ნახვას გაუჩბო-  
და, მაგრამ შვილთან და ძმასთან მიწერ-მოწერას მუდამ აწარ-  
მოებდა. ჭ.

**აუგსბურგის კარლოს ვე V ჯერ კიდევ თავის იდგილ-**  
**ზაგი.** ზე იყო, როდესაც ფერდინანდი პროტეს-  
ტანტებს შეუთანხმდა. 1555 წელს ჩამოვარდა ზავი კათოლი-  
კებსა და პროტესტანტებს შორის; ამ ზავის მთავარი დებუ-  
ლება შემდეგ სიტყვებში გამოიხატებოდა: cuius regio, ejus  
religio (ვისიც ქვეყანაა, სარწმუნოებაც მისია), ესე იგი ყო-  
ველი ცალკე ქვეყნის მთავრობას შედლება ჰქონდა თავი-  
სუფლად აერჩია სარწმუნოება, ქვეშევრდომები კი მის არ-  
ჩევანს უნდა დამორჩილებოდენ. ამგვარად სარწმუნოების  
თავისუფლება მხოლოდ მთავრებს მიენიჭათ; ხოლო ხალხი  
ქველ მდგომარეობაში დარჩა, რაღანაც იგი მოვალე იყო  
უთუოდ თავისი მთავრის სარწმუნოებას გაყოლოდა.

რეფორმაციას სარწმუნოებრივ შედევებს გარდა, პოლი-  
ტიკური შედევებიც მოჰყავა. იმპერატორის ივორიტეტი და  
გავლენა საგრძნობლად შეილახა; იმპერატორის, რაინდებისა და  
ქალაქების ხარჯზე მთავრები გაძლიერდენ; პოლიტიკურ უფ-  
ლებისთან ერთად მთავრებმა ხელში ჩაიგდეს საკულესიო სა-  
ქმედის გამგებლობაც; გერმანიის დამქასქველ პირობებს ერთი  
კიდევ მიემატა — ის პროტესტანტი და კათოლიკურ ბანაკებათ  
გაიყო.

დიდი გავლენა მთახდინა რეფორმაციამ საზოგადოდ ევ-  
როპის სულიერ ცხოვრების განვითარებაზეც. იმ დროს, რო-  
დესაც ჰუმანიზმის გავლენა მოწინავე ელემენტების ვიწრო  
წრიო განისაზღვრებოდა, რეფორმაციამ თვით ხალხში შეიტა-

ნა ახალი იდეები; პუმანისტები სწავლულები და ლიტერატორები იყვნენ, რეფორმაციამ სარწმუნოებრივი გრძნობა გააღვივა. ინდივიდუალიზმი და თავისუფლება განსაკუთრებით პროტესტანტების ქვეყნებში განვითარდა, თუმცა ვერც კათოლიკურმა ქვეყნებშია აიშორა სრულიად ეს „საფრანგე“. მეცნიერებამ თავისუფლად იგრძნო თავი; საერო ინტერესები ყველან პირველ ადგილზე დადგა. თვით კათოლიკურმა ეკლესიამ დაინახა საჭიროთ თავისი ყოფა-ცხოვრების შემოწმება და უკანონობა. რამდენათ მეტი დრო ვადიოდა, ახალი უროკერთობის შექმნისაკენ მიმართული მოძრაობა იმდენად უტრო ძლიერდებოდა.

### თავი III.

## რეფორმაცია უვეიცარიაზი.

**ცვინგლი.** შვეიცარიის ფედერატიული სახელმწიფო მეცნიერება საუკუნის ბოლოს (1291 წ.) ჩაისახა; მაგრამ მთელი ორი საუკუნის განმავლობაში მას სასტიკი ბრძოლა უხდებოდა თავის მეზობელ ბურგუნდელებთანა და ჰაბსბურგებთან. ამ ბრძოლის დროს შვეიცარიელებმა დიდი სიმტკიცე და სიმამაცე გამოიჩინეს, რამაც შვეიცარიის სახელი და განსაკუთრებული მდგომარეობა მიანიჭა. შვეიცარიის ქვევითა ჯარი ევროპაში სანიმუშოდ ითვლებოდა. მას ჰერიაობდენ და დიდ სასყიდელ-საც აძლევდენ როგორც იმპერატორი, ისე ფრანგების მეფე და იტალიის მმართველებიც. ეს გარემოება კი შვეიცარიელებს ზეობრივიდ ძველითებდა, მათ ანგარებას უღვიძებდა და ძარცვა-გლეჯას აჩვევდა. ამას გარდა მეორე ბოროტებაც იყო შვეიცარიაში. თუმცა შვეიცარია ერთი მთლიანი სახელმწიფო იყო, მაგრამ თითოეული კანტონი თავის საქმეს დამოუკიდებლად იწარმოებდა, საზოგადო საქმეებს კი კანტონების წარმომადგენლებისაგან შემდგარი საბჭო განავებდა. კანტონების

კავშირში მთავარი მნიშვნელობა ბერნს, გლორიუსს და 5 ტყის კანტონს (ური, შვიც, უნტერვალდენ, ლუცერნე, ცუზ) ჰქონდათ. სამაგიეროდ სხვები ნაკლები უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, მათ შორის უკმაყოფილებასა და არევ-დარევას იწვევდა. ამგვარად ნიადაგი ახალი მოძრაობისათვის მხად იყო; იგი ორივე მ მოძროებას უნდა შეხებოდა; ეს ასეც მოხდა, ხოლო თვით მოძრაობა სარწმუნოების ნიადაგზე დაიწყო. ახალი მოძრაობის მეთაური ციურიხისელი მღვდელი ცვინგლი იყო. ის ჩამომავთობით გლეხი იყო, მაგრამ, რადგან მზობლები შეძლებულები ჰყავდა, სივიწროვეს არას დროს არ განიცდიდა. ცვინგლი ჰუმანიზმა გაიტაცა, უნივერსიტეტის კურსი მან ვენაში დაასრულა და განსაკუთრებითი გულმოდგინებით ჰომეროსსა და პლატონს სწავლობდა. იგი ფხიზელი, გამჭრიახი და პრაქტიკული ხასიათის კაცი იყო, რომელსაც სულიერი ბრძოლის სიმწვავე არასრუოს არ განუცდია. ცვინგლიმ თანდათანობით შეიმუშავა თვითი სარწმუნოებრივი და საზოგადოებრივი შეხედულებანი, როდესაც იგი ჯერ კიდევ სოფლის ღვდლად იყო. ბოლოს იგი ციურიხში მიიწვიეს. მისი სურვილის თანახმად ციურიხის ქალაქის საბჭომ მოაწყო კამათი, სადაც ცვინგლი ინდუსტრიების, ბერლინის და საეკლესიო ცრუმორწმუნოების (ჩვეულებების) წინააღმდეგ გამოვიდა. აქ მან თვითი მ7 თეზისი წამოაყენა, რომელშიც მოელო თვითი პროგრამა გამოხატა. ქალაქის საბჭომ მისი შეხედულებები გაიზიარა და საეკლესიო ცხოვრების მოწყობა მას მიანდო. ამგვარად პირველად ციურიხში განხორციელდა ცვინგლის სარეფორმაციო აზრები. მან იქ ღვთისმსახურება მოაწყო, რომელიც გალობით და ქადაგებით განისაზღვრებოდა; სასულიერო კორპორაციებს ქონება ჩამოართვა; მთავრობა და პასტორები სასტიკ თვალყურს ადევნებდენ, რომ ხალხს მთავრობისაგან აღიარებულ სარწმუნოებრივ აზრებისათვის გვერდი არ აეხვია. სასჯელი მოელოდა იმასაც კი, ვინც ცვინგლის მოძრაობასა და ქრისტიანულ ზნეობას თდ.

ნავ მაინც გადაუხვევდა. ცვინგლის რეფორმა შვეიცარიაში და  
სამხრეთ გერმანიაში გავრცელდა. გერმანიის ქალაქებში ერთ-  
მანეთს ხვდებოდა კათოლიკურ ეკლესიისაგან გამოყოფილი  
ორი ახალი მოძღვრება — ცვინგლისა და ლუტერის; იმიტომ  
თავის თავად იბადებოდა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი  
განწყობილება უნდა დამყარებულიყო მათ შორის. ორივე მო-  
ძღვრების მიმდევრებს იმპერატორისა და კათოლიკე მთავრე-  
ბისაგან ლევნა მოელოდა; მეორე მხრით მათ შორის განსხვა-  
ვება არც კი არსებობდა, თუ მხედველობაში არ მივიღებო  
იმას, რომ ლუტერი ძველ ჩვეულებათა და შეხელულებათაგან  
უარპყოფდა მარტო მას, რაც საღვთო წერილს ეწინააღმდე-  
გებოდა, ხოლო ცვინგლი — ყველაფერს, რასაც საღვთო წე-  
რილი პირდაპირ არ მოითხოვდა. ამ ორი მოძღვრების შეერ-  
თება მოსალოდნელიც იყო და სისურველიც. ლუტერისა და  
ცვინგლის შეხვედრა მარტურგში მოხდა. უთანხმოების განსა-  
კუთრებით საიდუმლო ზიარება იწვევდა. მასში ცვინგლი საი-  
დუმლო სერობის უბრალო მოგონებას ხედავდა, ხოლო ლუ-  
ტერი ამტკიცებდა, რომ ქრისტეს სიტყვები: „ესე არს ხორცი  
ჩემი, ესე არს სისხლი ჩემი“ — სიტყვა-სიტყვით უნდა გავიგო-  
თო, და მაშასადამე მორწმუნე მართლა ეზიარება ქრისტეს  
ნამდვილ ხორცსა და სისხლს. ტრემლ მორეული ცვინგლი  
ლუტერს სთხოვდა, ეცნო ძმური ურთიერთობა ორ მოძღვრე-  
ბის შორის, მაგრამ ლუტერმა გადაჭრით უარი განაცხადა.

ცვინგლის მიმდევრებს ისე, როგორც ლუტერანებს,  
რაღით მოუხდაო რწმენის დაცვა. რეფორმაცია ორმა უძლი-  
ერესმა კანტონმა — ციურიხმა და ბერნმა მიიღო. მათ ზოგი-  
ერთი სხვაც შეუერთდა. მაგრამ ტყის კანტონები მტკიცეთ  
იცავდენ კატოლიკიზმს. უბრალო შემთხვევა საკმაო ძლმოჩნდა  
ომის დაწყებისათვის; ტყის კანტონების ჯარი ციურიხისაკენ  
დაიძრა, რომელიც მოუმზადებელი იყო. კაპელასთან შეტაკე-  
ბა მოხდა და ბრძოლაში ცვინგლი მოჰკლეს. ბოლოს საქმე  
იშით გათავდა, რომ ყოველ კანტონს სარწმუნოების საქმეში

დამოუკიდებლად მოქმედების უფლება მიენიჭა, მაშასადამე  
პრინციპი: cuius regio, ejus religio აქაც დაცული იქნა;  
განსხვავება ჩხოლოდ იმაში იყო, რომ გერმანიაში სარწმუნო-  
ების საკითხს მთავრები სწყვეტდენ, ხოლო შვეიცარიაში სარეს-  
პუბლიკო მთავრობები.

**კალვინი.** ახალმა მოძრაობამ თანდათანობით იწყო გა-  
ვრცელება ფრანგებით დასახლებულ ადგილებშიაც. ხალხისაგან  
არჩეულმა საბჭოებმა, რომელიც ქალაქს განავებდა, ქალაქში  
რეფორმის მოსახლენად ფრანგ მქადაგებლებს მოუწოდა. ერთი  
მოწვეულთაგანი ითანე კალვინი იყო, რომელიც შთამომა-  
ვლობით ჩრდილოეთ საფრანგეთიდან იყო. კალვინი განათლე-  
ბით იურისტი იყო. მაგრამ სარწმუნოების ახალი მიმართულე-  
ბის გავლენა უნივერსიტეტში ყოფნის დროსავე განიცადა და  
ბოლოს პროტესტანტიზმს მიემხრო. რადგანაც ამის შემდეგ  
საფრანგეთში დარჩენა საშიში იყო, ამიტომ კალვინი შვეიცა-  
რიაში გაემგზავრა, სადაც ის სხვა მქადაგებლებთან ერთად ჟე-  
ნევაში მიიწვიეს. ამ დროს კალვინი სულ 25 წლის ახალგაზდა  
იყო, მაგრამ მან თავისი მტკიცე ხასიათით, ძლიერი სიტყვით,  
ჰქუმანიზმითა და ხალხზე გავლენით მაღე საერთო ყუ-  
რადლება მიიქცია. ახალი მასწავლებლები რეფორმისა და ზნე-  
ობის გასწორების საქმეს ძალიან ფიცხად მოეკიდენ. თავისი  
ზედმეტი სიმკაცრით ხალხს ჩქარა მოაბეზრეს თავი. კალვინი  
იძულებული შეიქმნა უენევა დატოვებინა; რამდენიმე წელი  
მან სამხრეთ გერმანიაში გაატარა. მაგრამ მაღე უკანვე გაი-  
წვიეს, და ამის შემდეგ ის სიკვდილამდე უენეველების ზნეო-  
ბრივ ხელმძღვანელად დარჩა.

კალვინი რეფორმაციას იმ დროს მიემხრო, რადესაც მი-  
სი მთვარი დებულებები უკვე ჩამოყალიბებული იყო. ამიტომ  
მისი პირველი თხზულება სისტემატიური ხასიათის იყო:  
*Institutio religionis christianaæ* (1536) საუკეთესო თხზულე-  
ბაა მოელი მეთექვსმეტე საუკუნის პროტესტანტულის სალვონის-

შეტყველო მწერლობიდან. კალვინის აზრით ღმერთმა ერთხელ  
და საბოლოოდ გამოაშარავა თავისი ნება საღვთო წერილში,  
ამიტომ სარწმუნოების წყარო მის შეტი არაფერი არ არის.  
ყველაფერი, როვორც კერძო ისე საზოგადო ცხოვრება ამ  
ღვთიურ ნებისკოფას უნდა შეეფერებოდეს; ამიტომ საეკლე-  
სიოც და საზოგადოებრივი ცხოვრებაც სახარების მიხედვით  
უნდა მოეწყოს. მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას კალვინი  
„ბედისწერის“ შესახებ მოძღვრებას აქცევდა. ლუტერი ამტკი-  
ცებდა, კაცს სარწმუნოება აცხონებს და არა პირადი დამსა-  
ხურებაო. კალვინმა ეს აზრი უკიდურესობამდი განვითარა;  
მისი აზრით, ღმერთმა წინდაწინ გაჭყო ხალხი ორ ნაწილად:  
ერთი ნაწილი წინასწირ განამშადა ცხონებისა და ნეტარები-  
სათვის, ხოლო მეორე დაცემისა და წარწყმედისათვის. პირველ-  
ნი შეაღვენებ ღვთის ცკლესის, დანარჩენები, გარეგნულად  
რომ კიდევაც მისდევდენ ქრისტეს, წარმართებზე უკეთესნი/  
მაინც არ არიან. არავის არ შეუძლია იკოდეს, არჩეულია იგი  
თუ უარყოფილი ღვთისაგან; ამიტომ თავის თავს ყველა ჭეშ-  
მარიტი ცკლესის წევრად უნდა თვლიდეს და უნდა ცდილობ-  
დეს თავისი ყოფაქცევრო მართლა საცხონებლად არჩეულს  
ჰვავდეს. კალვინის მიმდევრები თავის თავს ღვთის ხალხად  
სთვლიდენ, მოწინააღმდევებებს ცოდვილსა და უკანონო ფი-  
ლისტიმელებად სახავდენ და მათ ულმობელი სიმკაკრია ეპირო-  
ბოდენ. კალვინი ცდილობდა უენევა „ღვთის“ ქალაქიდ გარ-  
დაეჭკია; პასტორები, კონსისტორია, საღაც პასტორების გარ-  
და საზოგადოებისაგან არჩეული უხუცესებიც იღებდენ მონა-  
წილეობას, და საერთ მთავრობის წარმომადგენლები თვალ-  
ყურს აღევნებდენ მცხოვრებლებს, სდევნიდენ აზრების მცირე  
გსნსხვავებისათვის, დაცინვისა და მოუფიქრებელი სიტყვისა-  
თვის; სჯიდენ უზნეობის და მხიარულებისათვის. სასჯელი მა-  
ცრი იყო; ოთხი წლის განმავლობაში უენევის 15000 მცხოვ-  
რებიდან 900-დე საპატიმროში ჩასვეს, 70 კაცზე მეტი სა-  
მშობლოდან გააძევეს, 60 კი სიკვდილით დასაჯეს. კალვინი

განსაკუთრებით ვერ ურიგდებოდა სხვა აზრის ხალხს; ისპანელმა, **სერეეტმა**, რომელიც ბურგუნდიაში ცხოვრობდა, კალვინთან მიწერ-მოწერა გამართა და ამტკიციბდა მოძღვრება სამების შესახებ სიცრუეაო. კალვინმა მას ფრანგების საინკვიზიციო სასამართლოში უჩივლა, და ამასთანავე სერვეტის წერილებიც წარიდგინა, სერვეტს გაქცევა მოუხდა, და გზად უენეგაში გაიარა. ის დაუყონებლივ დააპატიმრეს და პასუხისმგებაში მისცეს; შედევი სერვეტის დაწვა იყო. საზოგადოდ შკაცრი ცხოვრების დამყარების გამო, ბევრი სტოვებდა უენევას სამუდამოდ, მაგრამ სამაგიეროდ იქ სხვა ქვეყნებში დევნილი პროტესტანტები მიღიოდენ. პროტესტანტების საზოგადოებები შვეიცარიაში უენევის გარშემო იყრიდენ თავს; კალვინმა „უენევის შეთანხმება“ მოახერხა, რომელმაც კალვინისა და ცვინგლის მიმღევრები ეგრეშოდებულ „რეფორმატების“ ეკლესიად შეაერთა. დასავლეთ ევროპის პროტესტანტიზმისთვის ამ დროს უენევა მართლა რომ „ლვითი ქალაქი“ იყო; ის იყო სკოლა, საიდანაც გაბმული იყო ძაფები საფრანგეთს, გერმანიას, პოლანდიასა და ინგლის შორის.

---

#### თავი IV.

#### რეფორმატია ინგლისში.

**ჰენრის VIII.** ინგლისში რეფორმაცია, გერმანიასთან და შვეიცარიასთან შედარებით, სხვა ნიადაგზე მოხდა. რომის კურიის სასარგებლოთ გადასახადების ძლევა, ბერების მუქთახორიბა და პირფერობა, სამღვდელოების მდგომარეობის განსაკუთრებულობა, რომელიც ინგლისში ცხოვრობდა და პაპს კი ექვემდებარებოდა, ყველა ეს დიდ უკმაყოფილებას იშვევდა ინგლისელებში. ოუმცა მათ შორის ისეთებიც მოიპოვებოდენ, რომელთაც საეკლესიო ზნეობის გასწორება სურდათ საღვთო წერილის მიხედვით, მაგრამ საზოგადოთ ინგლისში პროტესტან-

ტიზმს მცირე მიმდევრები აღმოუჩნდა. თვით მეფე, ჰენრიხ  
მე-VIII (1509—1547) ლუტერის მოძღვრების წინააღმდეგ  
სთხავდა და მის მიმდევრებს შეუბრილებლათ სდევნილა (სწვავ-  
და). მაგრამ პოლიტიკურმა მიზეზებმა აიძულა იგი პაპთან და  
კათოლიკურ ეკლესიასთან კავშირი გაეწყვიტა. თავის მეფო-  
ბის დასაწყისში ჰენრიხ მე-VIII ისპანიასთან და იმპერიასთან  
ერთად საფრანგეთის წინააღმდეგ მოქმედებდა. ეს კავშირი იმით  
აიხსნება, რომ ინგლისის მეფემ ცოლად ფერდინანდისა და  
იზაბელლის ქალი (კარლოსის V დედის და) ეკატერინე არა-  
გონელი შეირთო. როდესაც ჰენრიხ მე-VIII ისპანიასთან კავ-  
შირმა თავი მოაგეზრა, მან გადასწყვიტა—ეკატერინეს გაყრო-  
და. მან გაიხსენა, რომ ეკატერინე მისი ძმის ქვრივი იყო, და  
ამიტომ პაპს მოსთხოვა გაეშორებია ცოლ-ქმარი. მაგრამ უარი  
მიიღო. მაშინ ჰენრიხმა პაპისა და ეკლესიის წინააღმდეგ მო-  
ძრაობას გზა გაუხსენა: პარლამენტმა ანნატები მოსპო, აკრძალა  
საეკლესიო საქმეების რომში გადატანა და საეკლესიო საქმე-  
ების მეთაურობა მეფეს გადასცა, რომელმაც 1534 წლიდან  
ინგლისის ეკლესიის მეთაურის სახელწოდება მიიღო. პარ-  
ლამენტმა მეფე-დედოფალი გაჰყარა, და ჰენრიხმა ყოფილ დე-  
დოფლის სეფე-ქალი შვენიერი ანა ბოლეინი ცოლად შეი-  
რთო. ეკლესიის შეყობილებაში ლრმა ცვლილებები იქმნა შე-  
ტანილი, მაგრამ დოგმები და ჩვეულებები თითქმის ხელუხლე-  
ბელი დარჩა, და ლუტერანებსაც ძველებურათ დევნილენ. ახა-  
ლი მხოლოდ ის იყო, რომ პაპის მომხრეთაც დევნა დაუ-  
წყებს. ყოფილ კანცლერს მორს თავი მოჰკვეთეს მიტომ, რომ  
მან ანა ბოლეინის ჰენრიხ მე-VIII-ს კანონიერ ცოლად ცნო-  
ბაზე უარი განაცხადა.

პაპების უფლების მოსპობას მონასტრების გაუქმებაც მო-  
ჰყა თან. მონასტრების მდგომარეობისათვის შექმნილმა კომი-  
სიამ მოხსენებაში აღნიშნა, რომ ბერების ორი შესამედი გა-  
ხრწნილ ცხოვრებას ატარებდა. მონასტრები დაიხურა, და მის-  
გან ჩამორითმეული უმდიდრესი და უამრავ ქონების ნაწილი

ხაზინის ხელში გადავიდა, ხოლო ნაწილი საქველმოქულო და  
სამოსწავლო დაწესებულებებსა და მემამულეებს გადაეცათ.  
ეკლესიასთან მჭიდროდ დაკავშირებულ უნივერსიტეტში სწავ-  
ლების წესი შეიცვალა და სქოლასტიკის აღვილი საღვთო წე-  
რილის, ბერძნულის, ლათინურისა და ებრაული ენების შე-  
სწავლამ დაიკავა. სამღვდელოებას სამღვთო წერილის ეკლესი-  
ებში კითხვა და ახსნა-განმარტება დაევალო, მთავრობა კი თა-  
ვის მხრივ ბიბლიის ინგლისურ ენაზე გვრცელების ცდილობ-  
და.

ყველა ამ ზომას მეფის გავლენის ქვეშ იმუშავებდენ: მი-  
ნისტრები ადგენდენ და პარლამენტი იმტკიცებდა. ამგვარად  
ინგლისში რეფორმაცია სამოქალაქო მთავრობის ზეგავლენით  
ხორციელდებოდა და მას მთავარ შედეგად სწორედ ამ მთავ-  
რობის გაძლიერება მოჰყავა. რეფორმაციის კალაპოტი მთავრო  
ბის სურვილის მიხედვით გამოიჭრა და ვინც ამ კალაპოტს გა-  
დასცდებოდა, ის სასჯელს კერ აშორდებოდა. რეფორმაციის  
მთავარი ხელმძღვანელი ტომას კრომველი ბოლოს გამოუხა-  
დეგრად იქმნა ცნობილი, როგორც ოდიკალი, და მეფეშ მისი  
დასჯა ბრძანა. საზოგადოდ ჰენრიხ მე-VIII ბოროტად იყენებ-  
და სასამართლოს, ყველა თავისთვის არა სისიამოვნო პირებს  
იშორებდა თავიდან (მათ შორის ორი თავისი ცოლი. ის ექვს-  
ჯერ დაქორწინდა და ორი ცოლი დასჯა, ორს კი გაეყარა.  
ერთი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, უკანასკნელი კი  
ჰენრიხის შემდეგ ცოცხალი დარჩა). პარლამენტი და მსაჯულე-  
ბი ხმის შეუბრუნებლად ასრულებდენ მეფის სურვილებს.

**ანგლიკანიზმი.** ჰენრიხი I 547 წელს გადაიცვალა. ინგლი-  
სის ეკლესია არსებითად ჯერ კიდევ საესებით კათოლიკური  
იყო. განსხვავება ის იყო, რომ ეკლესის პაპის მაგიერ მეფე  
მეთაურობდა. ჰენრიხის მცირეშორვანი მემკვიდრის ედუარდ VI  
დროს ინგლისის ეკლესია შევნებულიდ პროტესტანტიზმის  
გზის დაადგა, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც მას სათავეში  
კენტერბერის არქიეპისკოპოსი კრანბერი ჩაუდგა. კრანბერი

ანგლიკანური ეკლესიის სარწმუნოების მოკლე აღსარება შეადგინა და ამით მას პროტესტანტიზმსა და კათოლიკობას შორის საშუალო ადგილი მიუჩინა, ეკლესიის თავად მეფის გამოცხადებისა და საღვთო წერილის სარწმუნოებისათვის უცნობელ წყაროდ აღიარების გარდა, ანგლიკანურ ეკლესიაში შემოღებულ იქმნა ზიარება პურისა და ლვინის სახით, სამღვდელო პირებს ცოლის შერთვის ნება დართეს და მიღების მოძღვრება სარწმუნოების წყალობით ცხონების შესახებ; მაგრამ ამავე დროს ეპისკოპოსობა და მრავალი სხვა კათოლიკური ჩვეულება ხელშეღებელი დასტოვეს. ასეთი იყო რეფორმაცია ინგლისში.

## თავი V.

ჩავთხმავია სკანდინავიის სახელმწიფოები.

მე-XIV საუკუნის ბოლოში (1397 წ.) სამი მეზობელი სახელმწიფო დანელების მეთაურობით ერთ სამეფოდ შეერთდა, მაგრამ კალმარის უნია ძაფზე ეკიდა. შვედელ აზნაურობის დამოუკიდებლობის მოსასპობად, ქრისტიანე მე-II მისი წარმომადგენლები სტოკჰოლმში მოიწვია საღარბაზოდ და ცველანი გამოიწვინა (სტოკჰოლმის სისხლის აბანო). მაგრამ ამგვარი ზომები მხოლოდ გაბოროტებას იწვევდა, და ქრისტიანე მე-II თავისი უფლების გასაძლიერებლად რეფორმაციის გამოყენება მოიწარინა: მან აკრძალა რომში საქმეების გარჩევის გაზატანა და სამღვდელოებას დაქორწინების ნება მისცა. მაგრამ ამან საქმეს ორ უშველა, და ქრისტიანეს ყველა ქვეშვერლომი ქვეყანა აჯანყდა. მეფემ გაქცევით უშველა თავს. დანიაში ფრიდრიხ I-იც ქრისტიანეს კვალს დაადვა: ის მიხვდა, თუ რამდენად ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო რეფორმაცია მისთვის, და ამიტომ პროტესტანტიზმის გვარცელებას ყოველი მხრით ეხმარებოდა. 1527 წელს ოდენზეში სეიმმა ყველა სარწმუ-

ნოების სწორუფლებიანობა სცნო, და მეფეს ყველა ის უფლებები მიანიჭა, რომელიც წინად პაპს ეკუთვნოდა. ქრისტიანე II ტახტიდან ჩამოვდების დროს შვეციაში ხალხს გუსტავ ვაზა მეოაურობდა. სეიმმა ის მეფედ ამოირჩია; იმან მთელი მხარე გასწინდა დანელებისაგან და დაულალავათ შეუდგა თავის უფლების გაძლიერებისა და გაფართოვების საქმეს. ამ მხრივ მთავარ საშუალებად ისევ ლუტერანიზმის მიღება, საეკლესიო მამულების კონფისკაცია და ეკლესიის უფროსობის მეფის ხელში გადასვლა მიიჩნია. ვესტეროსის (მელარის ტბაზე) სეიმმა (1527 წ.) შვეციაში ლუტერანიზმი შემოილო. მაგრამ ხალხი ახალ წესწყობილებას ვერ ურიგდებოდა. გუსტავ ვაზა სასტიკი ბრძა. ნებელი აღმოჩნდა: მან მოურიდებლად გაავრცელა თავის სამფლობელოში ლუტერანობა და ამგვარად დაანახა ხალხს, რომ იგი ვალდებული იყო მეფის სარწმუნოება მიეღლო.

## თავი VI.

### კათოლიკური რეაქცია.

სულ 25 წელიწადი იყო საჭირო, რომ რეფორმაცია მთელ დასავლეთ ევროპაში გავრცელებულიყო. გერმანიაში, შვეიცარიაში, ინგლისში, დანიაში და შვეციაში მას მთავრობამ დაუჭირა მხარი; სამაგიეროდ თავის მხრივ რეფორმაციამაც დიდი სამსახური გაუწია მთავრობას. საფრანგეთში, ისპანიასა და პოლონეთში მთავრობა, პირიქით, ახალი მიმართულების ჩაქრიბას ცდილობდა. მაგრამ ცოტათ თუ ბევრათ იგი მაინც ვრცელდებოდა ხალხში და მოძრაობას იწვევდა. დიდი განსაცდელის მოლოდინმა კათოლიკური ეკლესია გამოალვიძა, და ისიც ბრძოლისათვის ძალების მოკრებას შეუდგა. როგორც წინად, ეხლაც ამ საქმისათვის ახალი ორდენი დააარსეს: ეს იყო ცნობილი

იეზუიტთა ეს ორდენი ისპანელმა აზნაურმა ეგნატე ლოროდენი. იოლამ დააარსა. ის სამხედრო სამსახურში იყო

და ორაჩეულებრივ გმირობას იჩენდა. ფრანგების თავდასხმისა-  
გან ერთი ციხის დაცვის დროს მას ზარბაზნის ყუშბარა მო-  
ხვდა ფეხში; სანამ ჭრილობა მოუტჩებოდა, რამდენიმე თვე  
საწოლში წოლა მოუხდა. ამ დროს ის ბევრს ჰკითხულობდა.  
წაიკითხა წმიდანებისა და მოწამეების ცხოვრება და კეთილ-  
მსახურებაზე, წარმართების მოქცევასა და მოწამებრივ სიკვდილ-  
ზე დაიწყო ოცნებობა. ცოტა. გამომრთელების შემდეგ ის  
მონასტერში დასახლდა და თავის თავს ყოველგვარ შეწუხებას  
აყენებდა. ხშირათ მას სასოწარკვეთილება და წაწყმედის შიში  
იპყრობდა, მაგრამ შემდეგ მას ქრისტი და მაცხოვარი ეცხა-  
დებოდა და ამით იჯი წყნარდებოდა. ლოიოლა ქრისტიანობის  
გასავრცელებლად პალესტინას გაემგზავრა, მაგრამ, რაღაც აც  
საჭირო მომზადება აკლდა და მასთანავე ძალიან ფიცხიც იყო,  
კათოლიკურმა სამღვდელოებამ ის უკანვე გამოისტუმრა. ევ-  
როვაში დაბრუნების შემდეგ ლოიოლამ თავისი ცოდნის ნა-  
კლის შევსება განიზრახა, და ოცდა ცამეტი წლის კაცმა თორ-  
მეტწლიან ბავშვებთან ერთად დაიწყო სკოლაში სიარული.  
ჯერ კიდევ არ ჰქონდა გათავებული უნივერსიტეტის საღვთის-  
მეტყველო კურსი, რომ ქუჩებში ქადაგება დაიწყო, ამიტომ  
იგი საინკვიზიციო სამართალში იქმნა მიცემული. ის გაათავი-  
სუფლეს და ლვოისმეტყველების საფუძვლიანად შესწავლა ურ-  
ჩიეს. ლოიოლა ამის შემდეგ საღვთისმეტყველო მეცნიერების  
კურსის გასავლელად პარიზს გაემგზავრა. აქ მან პატარა წრე  
შეაღვინა, რომელსაც პირველად მიზნად პალესტინაში მოღვა-  
წეობა ჰქონდა დასახული, მაგრამ მაღლ წრემ მიზანი გამოცვა-  
ლა და პაპისა და კათოლიკობის ავტორიტეტის განსამტკიცებ-  
ლოდ დაიწყო მუშაობა. ამ მიზნით დააარსეს საზოგადოება,  
რომლის წესდებაც პაპს წარუდგინეს. 1540 წ. წესდება დაა-  
მტკიცეს და თვით საზოგადოებამ „იეზუიტების ორდენის“ სა-  
ხელი მიიღო.

ახალმა ორდენმა მიზნად ურწმუნოებისა და მწვალებლო-  
ბის წინააღმდეგ ბრძოლა დაისახა. როგორც ყოფილ მეომარს,

ლოიოლას კარგათ ესმოდა, რომ ბრძოლის ყველა დარგში  
დისციპლინა აუცილებელი რამ არის. ამიტომ მისი საზოგა-  
დოება ნამდვილ „რაზმ“ (compagnia) წარმოადგენდა, რომ-  
ლის მეთაურიც „გენერლად“ იწოდებოდა და წევრებს თავის  
მთავარ ილთქმად სრული, უსიტყვო მორჩილება ჰქონდათ და-  
დვბული. ორდენის წევრი, ანუ იეზუიტი უარს აცხადებდა  
თავის ნებაზე, ემსგავსებოდა უსულო გვამს, ან კვერთხს, რო-  
მელსაც პატრონი სურვილისამებრ ხმარობს. ჩვეულებრივი სა-  
მონასტრო წესებისაგან იეზუიტები განთავისუფლებული იყვ-  
ნენ. ლოიოლას ჩერვით იეზუიტებს მონასტრულ ცხოვრები-  
სათვის ნაკლები ყურადღება უნდა მიექციათ, რადგანაც ორ-  
დენის დანიშნულებას სოფლად მოღვაწეობა, საზოგადოებაზე  
გავლენის მოხდენა შეჯდება, ამისთვის კი ჯანმრთელი, ძლი-  
ერი და მარდი ხალხი იყო საჭირო. იეზუიტების მოქმედების  
მთავარი იარაღი ხალხის აღზრდა და აღსარება იყო. იეზუი-  
ტების სკოლებმა ჩქარი გაითქვა სახელი ხელოვნური გადაცე-  
მითა და მოწაფეთა ყურადღების დაპყრობის უნარით. სკო-  
ლაზე ნაკლები მნიშვნელობა არც სულიერ ხელმძღვანელობას  
აქვს; და მაშინ ეს ხელმძღვანელობაც იეზუიტების ხელში იყო,  
რადგანაც გაჭირვების დროს ხალხი დარიგებისათვის ყოველ-  
თვის მათ მიმართავდა ხოლმე. იეზუიტები ზედმეტად თვლი-  
დენ გადაჭრებულ სიმკაცრეს, თავის მოქმედებას სულიერ  
შვილების მდგომარეობასა და სისუსტეს უფარდებდენ, და ზნე-  
ობრივი საკითხების გადაჭრის დროს თითქმის მარტო სინდი-  
სის დაწყნარების სურვილით ხელმძღვანელობდენ; ამით, რა-  
თქმა უნდა, მათი გავლენა დღითი დღე იზრდებოდა. განსაკუ-  
თრებით მათ საზოგადოების უმაღლესი წრეების დამორჩილე-  
ბა აინტერესებდათ. ორდენის გამარჯვება არაჩვეულებრივი იყო.  
კიდევ პირველი გენერლის, ლოიოლას, დროს ორდენშა მოედ-  
დასავლეთ ევროპაში მონასტრები და სკოლები დააარსა და  
ამერიკას, ინდოეთსა და ჩინეთს მისიონერები დააგზავნა. ამ-

გვარი წარმატება არ აიხსნება შარტო ძლიერი ორგანიზაციით  
და ხელმძღვანელების უნარით. ორდენი ასწელიდა, რომ მი-  
ზანი ყოველგვარ საშუალებას ამართლებს. ამიტომ ხშირად  
უზნეო საშუალებითაც სარგებლობდა,— მას იდეალური მიზნე-  
ბი ჰქონდა დასახული, რასაც ორდენის წევრები გატაცებითა  
და თავდავიწყებით ემსახურებოდენ. ორდენმა საზოგადოე-  
ბას პოლიტიკოსებისა და კაზუისტების გარდა გმირები და მო-  
წამენიც მისცა.

### ტრილენტის საეპლესიო პრეზენტაცია.

თავგამოტებული კათოლიკები ფიქრობდენ, რომ რეფორ-  
მაციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭიროა ჯერ თვით კათო-  
ლიკურ ეკლესიაში მოისპოს ბოროტმოქმედება, რადგანაც  
ახალ მოძრაობას სწორედ ამ ბოროტმოქმედებამ მისცა ძალა  
და გავლენა. როგორც ვიცით, კარლოს შე-V სწორედ ამ მიზ-  
ნისთვის ტრილენტში კრების მოწვევა მოითხოვა. პაპიმ პავლე  
მე III დასთმო, მაგრამ ზომები მიიღო, რომ კრებას რადიკა-  
ლური რეფორმები არ მოეხდინა. მან ლაურენტით მოითხოვა,  
რომ ხმის უფლება თითოეულ მონაწილეს და არა თითოეულ  
ერს ჰქონდა დათმობილი, როგორც ეს კონსტანტიანე და ბა-  
ზელში მოხდა; ეს გარემოება კრებაზე ძალთა განწყობილებას  
საგრძნობლათ ცვლიდა, რადგანაც უმრავლესობა რეფორმე-  
ბის მოწინააღმდევე იტალიელების მხარეზე იქნებოდა. შეეხ-  
ბოდა თუ არა კრება არასასურველ საკითხებს, პაპი მაშინვე  
შეაჩერებდა სხდომებს და გაგრძელებას სხვა ქალაქებშიც კი  
ნიშნავდა. სხდომები 1545 წელს დაიწყო, მაგრამ რამდენჯერ-  
მე მოხდა მოეკითხ წლებით მისი შეწყვერა, და კრებამ თავისი  
მოქმედება მხოლოდ 1564 წელს დაასრულა. კრებამ კათო-  
ლიკური მრწამსის გარკვევით დაიწყო მუშაობა და ამ მხრივ  
პროტესტანტებს არაფერი არ დაუთმო. ამას გარდა პაპის უფ-

ლების უზენაესობა ხელახლა იქნა აღსარებული და თვით ბოროტმოქმედებანიც ხელუხლებელი დარჩენ. ასე რომ ახალი ტრიდენტის კრებას არაფერი არ შეუქმნია. მაგრამ სამაგიეროდ მან ძველი დაკანონი, კათოლიკური ეკლესიის დოგმატები საბოლოოდ ჩამოაყალიბა და კათოლიკურ ეკლესიის ერთი მთლიანი სახე მისცა. ამის შემდეგ თვით კათოლიკურ ეკლესიაში უთანხმოებას საფუძველი გამოეთხარა და პროტესტანტობასთან გაბედული ბრძოლა შესაძლებელი შეიქნა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კრების იმ გადაწყვეტილებასაც, რომლის ძალითაც თითოეულ ეპარქიაში მღვდლების მოსამზადებელი სემინარიები გახსნეს.

კათოლიკური რეაჩივის მძიმეარება ისპანიაში.

„პონევისტადორები“.

კათოლიკური ეკლესია თან და თან იკრებდა ძალას და ახლდებოდა. მაგრამ მთავარ იმედებს პაპობა მაინც საერთო მთავრობების ერთგულებასა და მწვალებლოთა სისხლის დალვრაზე ამყარებდა. იტალიას მწვალებლობა ოდნავ შეეხო; სულ მცირე ხნის ბრძოლა იღმოჩნდა საკმაო, რათა აქ რეფორმაცია საბოლოოდ მოესპოოთ; ეს გასაგებიც არის: მოელი წარსული იტალიისა და მოელი მისი აწმყოს ინტერესებიც რომთან იყო დაკავშირებული; და როგორ უნდა გაყოლოდა ხალხი იმ მოძრაობას, რომელიც ამ კავშირს სპობდა. სულ სხვა იყო ისპანია. მე-XVI საუკუნეში იგი მოელ ევროპაში უძლიერეს სახელმწიფოთ ითვლებოდა. ფერდინანდ კათოლიკები და კარლოს მე-V ტამალლეს საფეხურამდე აიყვანეს მეფობის უფლების ძლიერება და ისპანელები კმაყოფილი უყვნენ მათი მართვა-გამგეობით. ხალხის მამულიშვილობა და სიამაყე მიმართული იყო მეზობელი ერების დაპყრობისა და ახალი მიწების აღმოჩენისაკენ. ისპანელებმა სახელი გაითქვეს სიმამაცით, სიმტკიცით და ყოველივე დანაკლისისა და გაჭირვების ატანის

უნარით, მაგრამ იმავე დროს ისინი სიმკაცრით, სიამაყითა და გაუმაძლრობითაც განთქმულნი იყვნენ. მათ შრომა არ უყვარდათ; ამ ხალხს მარტო თავგადასავლესა და ნადავლისადმი მიღრეკილება ამოქმედდებდა. სარწმუნოებრივ საკითხებში ისპანელებს ეჭვები არ ეპარებოდათ; სარწმუნოება მათთვის ძლიერ ღუზას წარმოადგენდა, და გატაცებული რწმენა სხვა სარწმუნოებასთან შეხვედრის დროს სისხლის მსმელი მოუთმენლობით იმსჭვალებოდა. Autu da fé — მწვალებლების სახეიმოდასჯა — ხალხისთვის საყვარელ სანახაობას წარმოადგენდა.

უძლეველთა სახელი, რომლითაც წინად შვეიცარიელები სარგებლობდენ. ახლა ისპანიის ქვეითა ლაშქარმა მოიპოვა. მაგრამ გაცილებით მეტი სახელი ხვდა წილად ისპანელებს ახალი ქვეყნების აღმოჩენის საქმეში. ისე წელიწადი არ გავიდოდა, რომ ახალ ქვეყანაში „კონკვისტადორების“ (დამპყრობელები) ბრძოები არ გამგზავრებულიყო, რომლებიც ამერიკის ახალ-ახალი მხარის აღმოჩენაში დად უნარს იჩენდენ 1520 წელს ისპანელების სამსახურში მყოფმა პორტუგალელმა მაგელანმა კოლუმბის აზრი დასავლეთის გზით აზიის სანაპიროების მიხწევის შესახებ განახორციელა. ის გაჰყავა ამერიკის სამხრეთ ნაპირებს, ზამთარი პატაგონიაში გაატარა, დიდი გაჭირვებით შემოუარა მატერიკს სრუტით, რომელიც ეხლა მისი სახელით არის ცნობილი, გადაჭრა შენარი ოკეანე და ფილიპეს კუნძულებისკენ გავიდა. ოვითონ მაგელანი აღგილობრივ ხალხთან შეტაკების დროს დაიღუპა, მაგრამ ისპანიიდან წასვლის სამი წლის შემდევ ექსპედიცია საბრუნდა და თან მისი ცხედარიც მოასვენა. ეს პირველი მოგზაურობა იყო ქვეყნის გარშემო.

მაგელანის მოგზაურობის ხანაში შესრულებულ იქმნა ლაშქრობა, რომელმაც დიდი ნივთიერი სარგებლობა მოიტანა. ყუბის გუბერნატორმა თავისი ქვეშვერდომი კორტესი გაგზავნა მექსიკას; კორტესს თან ახლდა 550 ქვეითა ჯარის კაცი და 16 მხედარი 14 ზარბაზნით; მის თვალ წინ გადაი-

შალა საუკეთეოთ დამუშავებული ქვეყანა მრავალრიცხოვანი მცხოვრებლებით; უკანასკნელნი ამუშავებდენ ლითონებს, აშენებდენ მდიდარ სახლებს და ამშვენებდენ მათ თავისებური გამოხატულებებით. ეს იყო სახელმწიფო არლანტიისა და წყნარ ოკეანეებს შუა მდებარე, რომელიც აცტეკების ტომს ექვემდებარებოდა. ისპანელებმა ხელოვნურათ ისარგებლეს დაპყრობილი ერების აცტეკებისადმი მტრული განწყობილებით და იმ ცრუმორწმუნოებრივი შიშით, რომელსაც მათში ტყვიის სასროლი იარაღი და ცხენები იწვევდენ. მათ დაიპყრეს აცტეკების სატახტო ქალაქი მექსიკა, რომელიც დიდი ტბის ერთ პატარა კუნძულზე იმყოფებოდა.

ისპანელების ლაშქრობის წყალობით გაფართოვდა ევროპიულების მსოფლმხედველობა, აღმოჩნდა ახალი სახალშენო აღგილები და ვაჭრობის საქმეში მთელი რევოლუცია მოხდა. მაგრამ აღგილობრივი მცხოვრებლებისათვის ეს გარემოება სასიკეთო არ აღმოჩნდა. ახლად მოსულები მათ ცხოველებსავით ეცყრობოდენ, ძალატანებით აკეთებინებდენ მათვის უჩვეულო საქმეს, ხრწნიდენ და ულეტიდენ მათ. აღგილობრივი ხალხი გადაშენების გზას დაადგა, და მათ მაგიერ ევროპიულებმა მონურ სამუშევრისათვის აფრიკისან ნუკლემს ზიდვა იწყეს. ახლად შეძენილ აღგილებს არც ისპანელებისათვის მოუტანია დიდი სიკეთე. მართალია უამრავმა ოქრო-ვერცხლმა მოიყარა თვი ისპანიაში, მაგრამ ამას არც მიწადმოქმედებისთვის და არც მრეწველობის განვითარებისათვის ხელი არ შეუწყვია. ისპანელებს კიდევ უფრო შეძულდათ შრომა; ოქრო და ვერცხლი კი ომებსა და ფუფუნებაზე იხარჯებოდა ან და უცხოელების ხელში გადადიოდა, რომელთაგანაც ისპანია ჰუჩს, ქსოვილებსა და იარაღს იძენდა. ლითონის დაგროვებას ევროპისათვის საზოგადოთ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ფულის ნიშნების რიცხვი გამრავლდა და სავაჭრო ნივთების გაცვლა-გამოცვლა გაადვილდა. ისპანიამ ამ მოვლენების მხოლოდ უარყოფითი მხარეები განიცადა. ფასებმა უველავერზე

აიწია, და მცხოვრებთა ის ნაშილი, რომელსაც ჯიბეების ნა-  
დავლოთ გავსების შეძლება არ ჰქონდა, სიძვირის გამო დოდ  
გაჭირვებაში იყო.

### ისპანიის მეფე ფილიპე მე-II. (1555—1598).

ისპანიის მთავრობა საგარეო გაშარჯვებითა და ოქროს  
სიუხვით პირველ ხანებში მარც მოგებული დარჩა; იგი ამე-  
რიკიდან ოქროს დატვირთული გემებით ეზიდებოდა და პო-  
ლიტიკური მიზნების განხორციელებისთვის ხარჯავდა. კარლოს  
მე-V შემდეგ ისპანია, სამხრეთი იტალია, ნიდერლანდები  
და ამერიკის ახალშენები ფილიპე მე-II მფლობელობაში გა-  
დავიდა. პირველი ცოლის სიკვდილის შემდეგ ფილიპე ინგლი-  
სის მეფის ჰენრის მე-VIII ქალზე მარიამზე დაქორწინდა. თა-  
ვის მეფობის უკანისკენ წლებში მან პორტუგალიის ტახტზე  
თავისი უფლებები წამოაყენა. დედა მისი პორტუგალიიდან  
იყო, და ფილიპე მე II მოელი პორტუგალია ყველა მისი აზი-  
სა და ავრიკის მდიდარი ახალშენებით შემოიერთა. ფილიპე  
სულითა და გულით ისპანელი იყო: მას მის სკიპეტრ ქვეშ  
შეერთებული პრავალფეროვანი სახელმწიფოების ინტერესები  
როდი იტაცებდა: მისოვის ისპანია იყო ქვაკუთხედი, ხოლო  
დანარჩენები — მარტო ზედნაშენი. ფილიპე უთავაზიანო, ჩუმი  
და შეუბრალებელი კაცი იყო; ერთხელ არჩეულ მიზნისაკენ  
ფილიპე არახელულებრივი სიჯიუტით მიექანებოდა და არავი-  
თარ დაბრკოლებას ყურადღებას არ აქცევდა. ფილიპეს მეფო-  
ბის პირველი წლები იმდენათ ბედნიერი გამოდგა, რომ ის  
დიდი წარმოდგენი, შეიქმნა თავის თავზე და ისპანიის სიძლი-  
ერები მისმა მთავარსარდლებმა ჰენრის მე-II ჯარები დაამარ-  
ცეს, ხოლო მისმა ნათესავმა დონ-უუან ავსტრიელმა ლე-  
პანტოსთან თავის თავზე და ისპანიის სიძლი-  
ერები მისმა მთავარსარდლების ფლოტი გაანადგურა. მით უფრო  
შეუბრალებელი იყო ფილიპე შინაურ მართველობაში: საკუ-  
თარი შვილი დონ-კარლოსი ურჩობისათვის საპატიმროში ჩა-

სვა და ოვით მკვლელობამდე მიიყვანა. მიუხედავათ იმისა, რომ  
ის დიდი მომჩრე იყო კათოლიკური სარწმუნოებისა, ყოველ-  
თვის ცდილობდა, -ისპანიის საკულტოს საქაფებში პაპი რაც  
შეიძლება იშვიათად ჩარეოდა. სარწმუნოებრივ საკითხებში  
აზრთა სხვადასხვაობას იგი ვერასღროს ვერ ურიგდებოდა: ან-  
დალუბის შრომისმოყვარე და მშვიდობიანი მცხოვრები — **მო-  
რისკები** — დაპყრობილი ზანგების ჩამომავლები-გაულეტილ იქმ-  
ნენ მხოლოთ იმიტომ, რომ არაბულ ენაზე ლაპარაკსა და  
აღმოსავლეთურ ტანსაცმელის ტარებას განაგრძობდენ. პრო-  
ტესტანტიზმის წინააღმდეგ, რომელმაც სევილიები იჩინა თა-  
ვი, სასტიკი ზომები იქმნა მიღებული: უბრალო ეჭვის მიტანა  
საკმაო იყო, რომ კაცი ცაცხლში დაეწვათ. მაგრამ ფილიპეს  
სამფლობელოს ერთს ნაწილში — სახელდობრ ნიდერლანდში  
— ახალმა გოძრაობამ ლრმად გაიდგა ფესვები.

## ნიდერლანდელების ბრძოლა ფილიპე მე-II წილადადებ.

✓ ნიდერლანდელები იმპერიას მაქსიმილიანე I დროს შეუ-  
ერთდა. იგი შეიდი ოლქი იგან შესდგებოდა; მცხოვრებლების  
ნაწილი გერმანულ ენაზე ლაპარაკობდა (ჰოლანდელები, ფლა-  
მანდელები), ნაწილი კი ფრანგულ ენაზე (ვალლონები). **გენ-**  
**ტი** და **ბრუგგე** საშვალო საუკუნოებში მთელის ჩრდილოეთი  
ევროპის საუკეთესო სავაჭრო ქალაქებათ ითვლებოდენ; ეს ამ  
ქვეყნის მცხოვრებთა ენერგიითა და შრომისმოყვარებით აი-  
სნება. როდესაც ისპანიამ ახალ ქვეყანაში ახალ შენები მოა-  
წყო და ვაჭრობა განაცხოველა, ამით ნიდერლანდელებმა ისარ-  
გებლეს და თავის ქვეყანა კიდევ უფრო გაამდიდრეს და აა-  
ყვავეს. ამის შემდეგ პირველი იდგილი სავაჭრო პუნქტებს შო-  
რის ანტვერპენმა დაიკავა. კარლოს მე-V ნიდერლანდიდან  
ოთხჯერ მეტ შემოსავალს იღებდა, ვიდრე ისპანიიდან, სადაც  
ოქრო-ვერცხლი უამრავი იყო. ნიდერლანდელებმა ძველი  
დროიდან თავისებური წყობილება შეინარჩუნეს, თითოეული

პროვინცია საკმაოდ ფართო თვითმართველობით საჩვებლობდა, ყველანი ერთად კი კარლოს მე-V მოერ მოწყობილს გენერალურ შტატებში დეპუტატებს იგივნიდენ. ასეთი წესწყობილება საუკეთესო ნიადაგი შეიქმნა პროტესტანტობის განვითარებისათვის და ოფორმაციამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ნიდერლანდში მალე გაიდგა ფესტები. ფილიპე მე-II ნიდერლანდის მართველს ჰერცოგინა მარგარიტა პარმელს მისწერა, რომ მისი სახელით სასტიკი ზომები მიეღო პროტესტანტების წინააღმდეგ. ნიდერლანდში ინკვიზიცია ამუშავდა. ამ ვარმოებამ ხალხში უკმაყოფილება გამოიწვა: ქალაქის მცხოვრებლები და გლეხები ათასობით იკრიბებოდენ მოედნებსა და მინდვრებზე და ახალი მოძღვრების მქადაგებლებს ჩვეულებრივზე მეტი გულმოლგინებით უსმენდენ. აზნაურობის უშეტესმა ნაწილმა ბრუსელში ინკვიზიციის წინააღმდეგ ბრძოლისა და თავისუფლების შენარჩუნებისა საზოგადოება შეადგინა. ზან პეტიციაც კი მიართვა მარგარიტა პარმელს და მწვალებლობის წინააღმდეგ გამოცემულ ბრძანებათა შემსუბუქება მოითხოვა. მოძრაობას სათავეში სამი გამოჩენილი პირი ჩაუდგა: გერმანელი თავადი ვილჰელმ ორანელი, რომელსაც დიდი ადგილ-მამული ჰქონდა ნიდერლანდში, ფრანგებთან ომის დროს სახელ განთქმული გრაფი ეგმონტი და აღმირალი გრაფი ჰორნი. მარგარიტა საკმაო მოხერხებითა და ენერგიით აწარმოებდა ბრძოლის უკმაყოფილოთა წინააღმდეგ, მაგრამ ფილიპე მე-II შეხედულებით, იგი ძალზე გაუბედავი და კეთილი ბუნების აღმიანი იყო და ამიტომ საჭირო იყო მის დასახმარებლად მკაცრი და შეუბრალებელი ჰერცოგი ალბა საფოელი გაგზავნილიყო. ალბამ მოსვლისთანავე წარჩინებულ პირებს მიჰყო ხელი: ეგმონტი და ჰორნი მუხანათურათ იქმენ მოკლულნი. მწვალებლობის საჭირო გასარჩევათ შედგენილ იქმნა კომისია, რომლის წევრებათ უსასტიკესი კათოლიკენი დაინიშნენ. ეს კიდევ ლმობიერათ მოეჩვენა აღმას, და ამიტომ მან მთელი ეს საქმე ერთ ისპანელს მიანდო, რომელიც არც

ხალხს იცნობდა და არც მის ენას, მაგრამ ეს „არ უშლიდა“ მას საქმის გრჩევასა და ბრალდებულის გასამართლებას. უცელა ამის შედეგი ის იყო, რომ უკმაყოფილება აჯანყებათ გადაიჭირა. ვილჰელმ ორანელი და მისი ძმა ნიდერლანდიაში შეიჭრენ, მაგრამ ალბას გამკლავება ძალიან მნელი იყო. მისი გამობრძედილი მეომრები აჯანყებულებს ამარცებდენ და მათ ქალაქებს ცეცხლს აძლევდენ. ოდესალაც აყვავებული ნიდერლანდია სისხლით მოირწყო, მაგრამ წინააღმდევვნბას მაინც განაგრძობდა. ფილიპე მე-II იძულებული შეიქმნა შეეცვალა თავისი პოლიტიკა; მან უფრო ლმობიერათ დაუწყო მოპყრობა ნიდერლანდელებს, მაგრამ გვიან იყო: ისინი ულმობელი სიძულვილით განიმსჭვალენ ისპანელების წინააღმდეგ, და თავისუფლებისათვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ბრძოლა გადასწყვიტეს. ფილიპეს საქმე მხოლოდ მარგარიტა პარმელის შვილმა ალექსანდრე ფარნეზემ გამოაკეთა, რომელიც საუკეთესო სარდალი და მასთანავე შესანიშნავი სახელმწიფოებრივი ნიჭის კაცი იყო. სამხრეთი ოლქები (ებლანდელი ბელგია) კათოლიკობას იცავდენ; ჩრდილოეთის ოლქებმა, გერმანული მოსახლეობით, პროტესტანტობა მიიღეს. ამით ისარგებლა ფარნეზემ და ნიდერლანდის მცხოვრებნი ორ მოწინააღმდეგე ნაწილად გაპყო. კათოლიკური ნაწილის მიმხრობით ალექსანდრემ ნიდერლანდის თავისუფლებისათვის ბრძოლას სასიცელო ლახვარი ჩასცა. სამაგიეროდ მეორე ნაწილი ნიდერლანდებისა კიდევ უფრო შეჯგუფდა და განმტკიცდა. 1579 წ. უტრეხტში კრება მოხდა და ჩრდილოეთის ხუთმა პროვინციამ შჭირორ მუდმივი კავშირი შექრია, რომელსაც მიზნად თავისუფლებისა და სარწმუნოების დაცვა დაევარო. უტრეხტის უნია მაღვ ორი შტატი კიდევ მიემატა, ასე რომ იგი საკმაოთ დიდ ძალას წარმოადგენდა. ალექსანდრეს სიკვდილის შემდევ ისპანია იძულებული შეიქმნა შეერთებულ პროვინციებს დროებით ზავით შეკვროდა.

თავი VII.

ი ნ გ ლ ი ს ში

**დედოფალი** ინგლისში რეფორმატორულ მოძრაობას პირ-  
მარიამი. ვეღ ხანგბში მასსიური ხასიათი არ მიუ-  
ლია, იგი მთავრობის ინიციატივით იქმნა განხორციელებული  
და არც არავითარი არევ-დარევა შეუტანია ცხოვრებაში: ჰენ-  
რიხ მე VIII და ედვარდ მე VI დროს პარლამენტებში და ხალხ-  
მა ახალი საეკლესიო წყობილება უყოფანოდ მიიღეს. მავრამ  
საქმე ამით არ დამთავრებულია. პირიქით ნამდვილი სარწმუ-  
ნოებრივი მოძრაობა სწორედ ამის შემდეგ დაიწყო. 16 წლის  
ედვარდ მე VI გარდაცვალების შემდეგ ინგლისის ტახტზე მი-  
სი უფროსი და, ჰენრიხ მე VII და ეკატერინე არაგონელის  
ქალი, მარიამი ავიდა. ტახტზე ასვლისთანავე იგი კათოლი-  
კურ ეკლესიის აღდგენას შეუდვა. როდესაც დედოფალი მა-  
რიამი ფილიპე ისპანელზე გათხოვდა, ცხადი გახდა, რომ ის  
მთელის არსებით კათოლიკურ ეკლესიის უფლებებს დაიცვ-  
და. პარლამენტმა ჰენრიხ მე VIII და ედვარდ მე VI დროს კრან-  
მერის საეკლესიო წესები ანუ ანგლიკანიზმი მიიღო, მარიამ  
დედოფლის დროს კი, როდესაც მთავრობის შეხედულება გა-  
მოიცვალა, მის მოსპობასა და პაპის უფლების აღდგენას მოა-  
წერა ხელი. ერთი მოთხოვნილება კი იქმნა წარდგენილი მთა-  
ვრობისადმი: მონასტრებისა და ეკლესიებისაგან ჩამორთმეული  
მიწები ახალ მფლობელებს უნდა დარჩენოდათ. რაკი მთავრო-  
ბა და პარლამენტი ამ გზას დაადგა, ეხლა ხალხი ამოძრავდა.  
აღმოჩნდა, რომ კათოლიკურ ეკლესიის წინააღმდეგი ბევრი  
ყოფილიყო. მთავრობამ თავის მხრივ ანგლიკანიზმის მომხრევებს  
მკაცრი დევნა, დაუწყო: ოქსფორდის არქიეპისკოპოს კრანმერ-  
თან და ორ სხვა ეპისკოპოსთან ერთად დასჯილ იქმნა პრო-  
ტესტანტიზმის უამრავი მიმდევარი. მაგრამ, როგორც უკლე-  
ვან და ყოველთვის, რეპრესიებმა მიზანს ვერ მიახწია, პირი-

ქით, ხალხში ანგლიკანიზმის მომხრეობა კიდევ უფრო გავრცელდა და ამასთანავე ახლა რაღიკალური ხასიათიც კი მიიღო.

**დედოფალი 1558 წელს მარიამი გარდაიცვალა, და ტახტ-ელისაბედი.** ზედ ჰენრის მე-VIII და ანა ბოლეინის ქალა ელისაბედი ავიდა. (1558—1603). ახალგაზდობის დროს ელისაბედი დაქვირდა და საბრალო ცხოვრებას ატარებდა. მისდამი მამის მოპყრობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორი განწყობილება არსებობდა მეფე-დედოფალს შორის: ხან დიდ პატივში იყო და ხან სასახლეს აშორებდენ, როგორც უკანონო შვილს. მარიამ დედოფლის დროს ელისაბედის სიკოცხლეს განსაცდელიც კი მოელოდა: ხალხი მის რეფორმაციის გულშემატკიცრად სთვლიდა, დედოფალი და კათოლიკენი კი ამას ვერ ურჩიგდებოდენ, და მის სრულებით თავიდან მოშორებაზედაც კი ლაპარაკობდენ. მაგრამ ელისაბედი თავდაჭრილობაში გადაარჩინა; ის პოლიტიკურ ცხოვრებას სრულებით ჩამოშორდა და ძველი ენებისა და მათებატიკის შესწავლას დაეწაფა. ამ დროს გამოიბრძმედა მისი ძლიერი, უშიშარი და უფლება მოყვარული ხასიათი. გამეფდა თუ არა ელისაბედი, ანგლიკანიზმი აღადგინა და მის განმტკიცებას დიდის ენერგიით შეუდგა. მისი მარჯვენა ხელი მღივან მწიგნობარი ბიორნი იყო. ოფიციალური სარწმუნოების მთავარი დებულებები ვ9 მუხლად იქმნა გამოცხადებული და პარლამენტმაც დაადგინა ღმერთობასახურება მხოლოდ ისე შეესრულებიათ, როგორც ეს ედვარდ მე-IV დროს იყო. მეორე კანონი (აქტი უაღრეს უფლებიანობის შესახებ) ვალდებულს ჰელიდა ყველა იმ პირთ, ვინც საპასუხისმგებლო სახელმწიფო სამსახურში შევიდოდა, ან საუნივერსიტეტო ხარისხს მიიღებდა, მიეღოთ ფიცი, რომ როგორც საერთო, ისე საეკლესიო საქმეებში ერთად ერთ მმართველად დედოფალს სცნობდენ. მაგრამ ელისაბედი ზომიერი პროტესტანტიზმით კმაყოფილდებოდა, ხალხი

კი გაცილებით მეტს მოითხოვდა. ამიტომ ელისაბედს ორ ფრონტზე მოუხდა ბრძოლა: ერთი მხრით კათოლიკიზმის თავ-დასხმა უნდა მოეგერებია და მეორე მხრით პროტესტანტიზმის მიმდევართა რაღიკალური ფრთა უნდა აელაგმა. „პური-ტანები“ (purus — წმინდა) ნამდვილი კალვინისტები იყვნენ და ეკლესიის კათოლიკიზმის ნაშთებისაგან სრულ განწენდას მოითხოვდენ. მთავრობა არაჩვეულებრივი სიმკაცრით ეცყრობოდა მათ: ზოგ მათგანს ყურებს სჭრიდნენ, ზოგს ხელებს და სხვა. მაგრამ პურიტანების დევნა მით ნელდებოდა, რომ დე-დოფალ ელისაბედს ამავე დროს კათოლიკიზმის წინააღმდეგაც უხდებოდა ბრძოლა, და პურიტანების დახმარებას საჭიროებდა.

შოტლანდიის მარიამ სტუარტი საფრანგეთის სამეფო დედოფალი მა- სასახლეში აღიზარდა და შემდევ ფრან-  
რიამ სტუარტი. ცისკ მე-II გაჰყვა ცოლად, ხოლო მამა მისის იაკობ მე-V სიკვლილის შემდევ შოტლანდიის მეფედ შე-  
იქმნა. მისი სისუსტით არისტოკრატიამ ისარგებლა და სარწმუ-  
ნოებრივი გადატრიალება მოახდინა. რეფორმაციის ხელმძღვა-  
ნელობას კალვინისტი ნოქსი ჩაუდგა სათავეში; წირვა მოსპო-  
ბილ იქმნა, ხატები და ქანდაკებები დაამტვრიეს, სამონასტრო  
მამულები არისტოკრატებმა დაიტაცეს. საზოგადოებებმა მქა-  
დაგებლები და საერო უხუცესები აირჩიეს და თითოეულ სა-  
მრევლოში საეკლესიო საქმეები მათ ჩააბარეს. საოლქო კრებებს  
გარდა როულ საკითხების გადასაჭრელად შოტლანდიის ეკ-  
ლესიის სინოდსაც იწვევდენ. მარიამ დედოფლის დედამ, რო-  
მელიც შოტლანდიას მართავდა შეილის იქ არყოფნის დროს,  
პროტესტანტების წინააღმდევ საბრძოლველად საფრანგეთის  
ჯარი მოიწვია. პროტესტანტებმა თავის მხრივ ინგლისის მე-  
ფეს ელისაბედს სთხოვეს დახმარება. თუმცა ელისაბედი ინ-  
გლისში წინააღმდევი იყო რაღიკალური რეფორმაციისა, მაგრამ  
პოლიტიკური ხასიათის მოსაზრებისა გამო მან შოტლანდიის

კალვინისტებს მხარი დაუჭირა, და საქმე პროტესტანტიზმის სასარგებლოდ დამთავრდა. ფრანცისკ მე-II გარდაცვალების შემდეგ მარიამი შოტლანდიაში დაბრუნდა. ბევრი უბედურება მოელოდა მას თავისი უხეში, ტლანქი ქვეშევრდომებისა და გაფანატიკოსებული კალვინისტებისაგან. უკანასკნელნი ვერ შერჩევებოდენ იმ გარემოებას, რომ დედოფალს ფრანგი ნათესავები ეხვიენ გარს და ღროს მხიარულ ცხოვრებაში ატარებდენ. დედოფალი მარიამი საბოლოოდ ერთმა თავგადასავალმა დაღუპა, რომელსაც საჩრდებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია. ქვრივი დედოფალი თავის ბიძის შვილიშვილს გრაფ დარნლეის გაჰყვა ცოლად. იგი უზრდელი და მოუხეშავი კაცი იყო; ცოლს უდიერად დაუწყო მოპყრობა და ერთხელ მდივანი თვალის წინ მოუკლა. მარიამი ქმარს შეურიგდა, მაგრამ იგი მალე გრაფ ბოსუელის შეთქმულების მსხვერპლი შეიქმნა. ამ ბოროტმოქმედებაში ხალხმა ეცვები დედოფალზე მიიტანა და შემდეგ კიდევაც დარწმუნდა ამასში, რაღანაც ბოსუელმა დედოფალზედ ჯვარი დაიწერა. შოტლანდიელები აჯანყდენ და დედოფლის ჯარი დაამარცხეს. რომ ქვეშევრდობებს ტყვედ ხელში არ ჩაგარდნოდა, მარიამი ინგლისში გაიკცა. თავშესაფარის ოლმოჩენის მავირ, ელისაბედმა მარიამ სტუარტი დააპატიმრა: მთელი 18 წელი დაჰყო ტყვეობაში შოტლანდიის საბრალო დედოფალმა. ინგლისის მეფის ელისაბედის არაკეთილშობილურ საქციელს ბევრი მიზეზი ჰქონდა: მრავალი რომანების გმირის მშვენიერი დედოფლის წინააღმდეგ ელისაბედს შურის გარდა პოლიტიკური მოსაზრებანიც ამოქმედებდენ: მას, როგორც ჰქონის მე-VII შვილიშვილს, ინგლისის გვირგვინზე უფლება ჰქონდა და ამგვარად ელისაბედის მეტოქედ ითვლებოდა.

მაგრამ მარიამ სტუარტი ტყვეობაში უფრო საშიში აღმოჩნდა. ინგისლში მოეწყო მთელი რიგი შეთქმულებისა, და მისი ცენტრი მარიამი შეიქმნა. კათოლიკები მთელს თავის იმედებს ტყვე დედოფალზე ამყარებდენ. არც ის ჰქარგავდა სი-

შენ ევეს და ერთს წუთსაც არა სწყვეტდა კავშირს ადგილობრივ უქმაყოფილოებთან და უცხოელებთან. არა ერთხელ ჩავარდნია მთავრობას ხელში მისი მომხრეები, რომლებსაც სასტიკად სჯი-დენ; მაგრამ ამით შეთქმულებებს ბოლო არ ეღებოდა. ეს და-ფარული ბრძოლა მით უფრო მძაფრ ხასიათს იღებდა, რომ სწორედ ამ დროს კათოლიკურ რეაქციასა და პროტესტანტიზმს შორის გაცხოველებული ომი სწარმოებდა. ორი ძალა ერთმა-ნეთს დაუპირდაპირდა: ელისაბედი მხარს უჭერდა ნიდერლან-დელ პროტესტანტებს ფილიპეს წინააღმდეგ, სამაგიეროდ ფი-ლიპემ ბელგიაში ინგლისელ კათოლიკე მღვდლების მოსამზა-დებლად სემინარია გახსნა. ეს მღვდლები კურსის დამთავრე-ბის შემდეგ ინგლისში მიემგზავრებოდენ და იქ, თუმცა ყოველ წუთს სიკვდილით დასჯას მოელოდენ, მაგრამ მაინც გაბედუ-ლად მოქმედებდენ: უსრულებდენ კათოლიკებს ღმერთმსახუ-რებას და პროტესტანტიზმის წინააღმდეგ მკაცრ აგიტაციას ეწეოდენ.

ყველა ამის მიუხედავად, ინგლისის ხალხი თაყვანს ცემ-და, აღმერთებდა თავის დედოფალს და მასში საკუთარ დამო-უკიდებლობისა და სიძლიერის განხორციელებას ხედავდა. პარ-ლამენტმა დაამტკიცა ეგრედ წოდებული „ასსოციაცია“: ინ-გლისის ხალხის ყველა წოდებამ ფიცი დასდვა თავისი მეფე დაეცვა, და თუ მას ვინმე ხელს შეახებდა, სამაგიეროდ მარიამ სტუარტი დაესაჯა. ამის მიუხედავად, იმ დროს, როდესაც ფილიპე მე-II ინგლისში ჯარის გადასასხმელად ემზადებოდა, რამდენიმე ახალგაზრდა კათოლიკემ შეთქმულება მოაწყვეს ელისაბედის წინააღმდეგ. შეთქმულება დროზედ გაიგეს, და ყველა მისი მონაწილე სიკვდილით დასაჯეს; მაგრამ ამით სა-ქე არ გათავებულა: მარიამ სტუარტიც პასუხისმგებაში იქმნა მიკემული. სასამართლომ ბრალდებულს სიკვდილი მიუსაჯა, თუმცა ამისათვის საკმაო საბუთები არ იყო. პარლამენტმა მე-ფეს სთხოვა, განაჩენი სისრულეში მოეყვანა. დიდი რყევის შემდეგ ელისაბედმა განაჩენს ხელი მოაწერა.

## ინგლისის ომი ისპანიასთან.

მეთექვსმეტე საუკუნეში ევროპაში ორი სახელმწიფო იყო, რომელთაც ძლიერი მეტოქეობა ჰქონდათ: ისპანია და ინგლისი. ისპანია მდიდარი იყო თავისი ახალშენებით; ზღვა იმ დროს თითქმის სულ მის ხელში იყო. ამავე დროს ინგლისიც აშკარად დაადგა საახალშენო პოლიტიკის გზას და ზღვაზე გაბატონების სურვილებიც ცხადად ემჩნეოდა. ამ ნიადაგზე ისპანიასა და ინგლისს შორის უთანხმოება აუცილებელი იყო. ამას დაუმატეთ ინგლისის პროტესტანტიზმი და ისპანიის კათოლიკიზმი, და მაშინ ცხადი შეიქნება, რომ ომი ფილიპესა და ელისაბედს შორის აუცილებელი უნდა ყოფილიყო. ფილიპე აშკარად ხედავდა, რომ ნიდერლანდებში კათოლიკიზმის გამარჯვება შეუძლებელი იყო, სანამ პროტესტანტობა ინგლისში არ დაემხობოდა. ის დარწმუნებული იყო აგრედვე, რომ ინგლისი დაუმარცხებლად საახალშენო ვაჭრობაში მეტოქეობაზე უარს არასდროს არ იტყოდა. ინგლისის ახალშენებისაკენ მოძრაობა იმ დროს ძალზე გაიზარდა: ინგლისელი მეზღვაურები დიდ ზიანს აუყენებდენ ისპანელებს მათ ახალშენებსა და ვაჭრობაში. მეკობრეობა ძალიან დიდს სარგებლობას იძლეოდა; მთელი ამხანაგობები სდგებოდა, რომელიც გემებს აწყობდა ისპანელებს გასაძარცვად. თუ რამდენად სარგებლიანი იყო ეს ხელობა, იქიდანაც სჩანს, რომ ექსპედიციების მოწყობაში ოვით ელისაბედი იღებდა მონაწილეობას. ერთმა მეკობრეთაგანმა დრეკმა მაგელლანის შემდეგ პირველად შეასრულა მოგზაურობა ქვეყნის გარშემო, და ამ მოგზაურობის დროს ისპანიის ახალშენები გაძარცვა. 1588 წლის ბოლოს ფილიპე მე-II ინგლისზე გასალაშქრებლად უკვე მზად იყო. მისი „უძლეველი არმადა“ (ფლოტი) 160 დიდი ზომის გემისაგან შესდგებოდა, რომელზედაც 20.000 ჯარის-კაცისაგან შემდგარი ლაშქარი იმყოფებოდა. ფილიპე მე-II აღექსანდრე ფარნეზეს უბძანა ექსპედიციისათვის ხელმძღვანელობა გაეწია;

თვით ფლოტის უფროსად კი პერცოგი მედინა-სილონია და-  
ნიშნა, რომელსაც საზღვაო საქმეების არაფერი არ ესმოდა.  
არაჩვეულებრივმა საფრთხემ ინგლისელებში პატრიოტული აღ-  
ტყინება გამოიწვია; როგორც პროტესტანტებმა, ისე კათო-  
ლიკებმაც იარაღს მოჰკიდეს ხელი; კერძო ინიციატივით შე-  
სდგა საკმაო ძალა, რომელიც ისპანიის ფლოტს ოუ გემების  
რიცხვით არა, ზღაოსნობაში დახელოვნებით მაინც სჯობდა.  
ელისაბედმა აქაც გამოიჩინა თავისი ჩვეულებრივი სიძუნწე, და  
მეომრები საჭირო იარაღის ნაკლულოვანობას განიცდიდენ. მა-  
გრამ ისპანიის ექსპედიციამ ინგლისში დესანტის გადასხმა ვერ  
მოახერხა, რადგანაც ჯერ მოწინააღმდეგის ფლოტილიამ მია-  
ყენა მას ზარალი და შემდეგ, როდესაც ის ფლანდრიის სანა-  
პიროებს დაუპირდაპირდა, ზღვაზე ატეხილმა ქარიშხალმა სა-  
ბოლოოდ დაამსხვრია იგი. ისპანიის ფლოტმა ამგვარად მიზანს  
ვერ მიაღწია; მან შოტლანდიას ჩრდილოეთით მოუარა და  
ირლანდიის მხრიდან ისპანიას დაბრუნდა; გზა-და-გზა მას ინ-  
გლისის ფლოტი და ქარიშხალი მუსრს ავლებდა. ამ გარემო-  
ებამ ელისაბედის პოპულიარობის გაზრდას კიდევ უფრო შეუ-  
წყო ხელი. მისი მეფობის მთავარი მიზანი მიღწეულ იქმნა:  
ინგლისის სარწმუნოებრივ თავისუფლებას რომი ებრძოდა, ხო-  
ლო ეროვნულსა და გკონომიურ დამოუკიდებლობას — ისპანია.  
ფილიპე მე-II ორივე ამ მოპირდაპირე ძალის წარმომადგენელი  
იყო და მისი დამარცხება ინგლისის ეროვნულის, ეკონომიუ-  
რის და სარწმუნოებრივი თავისუფლების გამარჯვება იყო.  
„უძლეველი არმაღის“ დამსხვრევა ამავე დროს ისპანიის სა-  
ზღვაო ძალების მოსპობას ნიშნავდა და ამიტომ ამის შემდეგ  
ინგლისის ზღვაზე გაბატონებას წინ თითქმის აღარავინ უდგა.



თავი VIII.

რეფორმათონული მოძრაობა საცრავეთში.

სარწმუნოებრივი საფრანგეთში განსაკუთრებით რეფორმა-  
ომები. ციის მემარცხენე მიმდინარეობა — კალვი-  
ნიზმი გავრცელდა. ფრანგებს ეს მოძღვრება თავისი ჯასრუ-  
ლებული სახით, სიცხადითა და მეომარი ხასიათით იზიდავდა.  
რაღაც საფრანგეთში მქადაგებლები უმეტეს ნაწილად შვეიცა-  
რიიდან მოდიოდენ, ამიტომ იქ პროტესტანტებს ჰუგენოტებს,  
ე. ი. მოკაფშირეებს, შვეიცარიის კავშირის წევრებს უწო-  
დებდენ\*). საფრანგეთის პროტესტანტების მდგომარეობას პირ-  
ველ ხანებში არა უშავდა რა, რაღაც აც ფრანც I-ისა და პეტ-  
რიხ მე-II დროს საფრანგეთი იმპერიასთან ამებში იყო ჩაბმუ-  
ლი და რეფორმაციისათვის არ ეცალა. ხოლო პენტი მე-II  
შვილების დროს (ფრანცისკ მე-II, კარლოს მე-IX და პენტი  
მე-III) პროტესტანტებისადმი მტრული განწყობილება ისედაც  
შესუსტდა. ისინი მეორეხარისხოვანი პირვენებები იყვნენ,  
მათ გაჭირვების დროს სახელმწიფოს წინ გაძლიერის უნარი არ  
შესწევდათ; ამიტომ მათ დროს სახელმწიფო საქმეებზე დიდი  
გავლენა მათმა დედამ ეკატერინე მედიჩიმ მოიპოვა. ეკატე-  
რინე ცბიერი იტალიელი ქალი იყო, რომელიც თავისი სურ-  
ვილების განსახორციელებლად არავითარ ზომას არ მოერიცე-  
ბოდა. ამ დროს მწვალებლობის მოსპობის მოსურნე ერთგულ  
კათოლიკებს სათავეში პერკოგი გიზები უდგენ. ამ პარტიაშ  
პროტესტანტების წინააღმდეგ ბრძოლაში დასახმარებლად ფი-  
ლიპე მე-II-ს მიმართა. პროტესტანტებს ხელმძღვანელობას ლიუ-  
დოვიკ წმიდანის ჩამომავლობის უფლისწულები ბურბონები  
უწევდენ. ამ ბურბონებს ნავარრას სამეფო ეკუთვნოდათ, მაგ-  
რამ ისპანელებმა მათი სამფლობელოების მეტი ნაწილი ძალით

\*). დამახინჯებული — Eidgenosse (შვეიც. კავშირის წევრი).

შეიტყოს. თუ საფრანგეთის კათოლიკური პარტია ისპანიას სთხოვდა დახმარებას, სამაგიეროდ პროტესტანტები მფარველობას ინგლისს სთხოვდენ.

საფრანგეთში ჩქარა სამოქალაქო ომი გაჩაღდა. მთავრობამ ნება დართო კალვინისტებს თავისუფალი შეკრებისა და ქადაგების მოსმენისა. ამ დათმობამ კათოლიკები ძალზედ გააბრაზა; სოფელ გასსიში შეკრებილ უიარაღო პროტესტანტებს ჰერცოგი გიზი თავს დაესხა და ბევრი მათგანი გაულიტა. ომი ამით დაიწყო: მთელ საფრანგეთს მოედვა საძმათაშორისო სისხლის ღვრა, სისასტიკეს არც ერთი მოპირდაპირე მხარე არ ერიდებოდა. მოწინააღმდეგენი დროებით ერთმანეთს შეურიცდებოდენ, მაგრამ ბრძოლა ისევ ჩქარა ახლდებოდა; ასეთმა მდგომარეობამ მთელს ოცდა თექვსმეტ წელს გასტანა. 1572 წელს კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის ზავი იქნა შეკრული. ეკატერინე მედიჩიმ ერთი ხელის დაკვრით საქმის გათავება გადასწყვიტა. მან შეოქმულება მოაწყო, რომელსაც მიზნად ყველა ჰუგენოტის მოსპობა ჰქონდა დასახული. აგვისტოს 23-ს ღამით მთელ პარიზში ერთბაზად თავს დაესხენ ჰუგენოტებს და შეიქნა საშინელი ქლეტა (ბათლომეს ღამე). პირველ რიგში მოკლულ იქნა ჰუგენოტების საუკეთესო ხელმძღვანელი ადმირალი კოლინი, რომელიც ეკატერინემ განზრახ მოიწვია პარიზში. ამბობენ, რომ კარლოს მე-IX, რომელიც თავიდან შეთქმულების წინააღმდეგი იყო, რაღაც ავადმყოფურ ექსტაზში მოვიდა, და თავისი ფანჯრიდან სროლა დაუწყო საბრალო ჰუგენოტებს, რომლებიც ქუჩებში დარბოდენ და თავშესაფარს ეძებდენ. პარიზსა და პროვინციებში სულ რამდენიმე დღის განმავლობაში ოცდათ ათასამდე ჰუგენტი იქნა გაულეტილი. გახარებულმა რომის პაპმა ბრძანა, მწვალებლების გაულეტის გამო სამადლობელი პარაკლისი გადაეხადათ, მაგრამ კათოლიკებს იმედი არ გაუმართლდათ, რაღაც პროტესტანტებმა უფრო მეტის გააფორებით განაახლეს ომი. სამოქალაქო ომის დასაცხრობად მოწადინებულმა მთა-

ვრობამ პროტესტანტების გულის მოგება მოინდომა, მაგრამ ეს კათოლიკებს არ მოეწონათ და მათ კათოლიკიზმის დასაცავად და პროტესტანტიზმის საწინააღმდევოდ ლიგა შეაღენეს. ამგვარად, საფრანგეთში ორი ახალი მთავრობა შეიქნა: ბორდოს ახლოს ლა-როშელში ჰუგენოტების მთავრობა იყო; პარიზში კი მეფის მთავრობის გვერდით, კათოლიკების ლიგამ დაიწყო მოქმედება, რომელსაც სათავეში ჰერცოგი ჰენრის გიზი უდგა. ლიგის წევრებმა დამოუკიდებლად დაიჭირეს საქმე ფილიპე მე-II-თან და საფრანგეთში უცხოელების ჯარი მოიწვიეს. ჰენრის მე III ჰენრის გიზის პარიზიდან გაძევებას შეეცადა, მაგრამ ხალხი აჯანყდა, და მეფემ გაქცევით და უშველა თავს.

#### მნის მე-IV. (1580—1610).

ჰენრის მე III ჰენრის გიზს მალე უზღვი სამაგიერო; იგი თვალობაქცურად შეურიგდა მას და რაკი ამგვარად თავისთან მოიტყუა, მოაკლევინა იგი. ამის შემდეგ ერთ წელსაც არ გაუცლია, რომ ერთმა ფანატიკოსმა კათოლიკემ 1589 წ. ჰენრის მე III წუთი სოფელს გამოასალმა. მოკლულ მეფეს შვილები არ დარჩენია. საფრანგეთის ტახტის მახლობელ მემკვიდრედ ნავარრის მეფე, კალვინისტების ბელადი, ჰენრის ბურბონი—ითვლებოდა. იგი დაუღალავი და ბრწყინვალე მეომარი და პოლიტიკოსი იყო. ბუნებით მხიარული ჰენრისი ფანატიზმის მტერი და სინდისის თავისუფლების მომხრე იყო. მას სიამოვნებით შეუერთდენ ზომიერი კათოლიკენი, რომელთაც გაუთავებელი ომი, წარჩინებულებისა და ჯარისკაცების თვითნებით და უცხოელების საფრანგეთში პარპაში საკმაოდ მობეზრდათ. მაგრამ ლიგის მწვალებელთან შერიგება არ სურდა და ომს განაგრძობდა. ჰენრის მე-IV ლიგის წევრები დაამარცხა, მაგრამ პარიზშა მას სასტაკი წინააღმდევობა გაუწია. სანამ ალექსანდრე ფარნეზე ცოცხალი იყო, ჰენრის მე IV პარი-

ზის აღება ვერ მოახერხა; მაგრამ ალექსანდრე გადაიცვალა და პარიზის აღება ადვილი შეიქმნა. მაგრამ ჰენრიხ მე-IV პოლოტიკური მოსაზრებების მიხედვით გადამწყვეტი ნაბიჯი გადასდგა; მან კათოლიკობა მიიღო და ამგვარად იმ სარწმუნოებას მიექმნო, რომელსაც ხალხის უმრავლესობა აღიარებდა. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავდა, რომ ჰენრიხ მე-IV ეხლა პროტესტანტებს დაუწყებდა, და ხალხმაც ეს ფაქტი, როგორც მოპირდაპირეთა შერიგებისა და სახელმწიფოში წესიერების აღდგენის მომასწავებელი მოვლენა, შეაფასა. პარიზმა მეფეს კარები გაუღო და იმანაც მოკლე დროში ლიგის ზოგირთ მეორეხარისხოვან წევრების წინააღმდეგობას ბოლო მოუღო. რაკი ჰენრიხი გამეფდა, პირველი მისი საქმე სარწმუნოებრივი უთანხმოების შენელების კლა უნდა ყოფილიყო.

1598 წელს ჰენრიხმა **ნანტის ედიქტი**, გამოსცა, რომლის ძალითაც კალვინისტებს ოვისუფალი ლვდელთშახურების უფლება ენიჭებოდათ. ორივე მოძღვრების მიმდევრები უფლების მხრივ თანსწორდებოდენ; პროტესტანტებს შეეძლოთ ყოველგვარი თანამდებობის აღგილი დაეკავებიაო, თუ კი მათ შორის შესაფერისი კანდიდატი აღმოჩნდებოდა. რომ ყველა ეს პირობა შესრულებული იქმნებოდა, ამის უზრუნველსაყოფად პროტესტანტებს რამდენიმე გამაგრებული პუნქტი გადაეცა, რომელთა შორისაც პირველი აღგილი და-როშელს ეჭირა. ფილიპე მე-II საფრანგეთში ბრძოლის ამგვარი დამთავრებით უკმაყოფილო დარჩა და ამიტომ თავისი ჯარები ისპანიიდან და ნიდერლანდებიდან საფრანგეთისაკენ დასძრა, მაგრამ ვერაფერს გახდა: გამარჯვება ჰენრიხ მე-IV ხვდა წილად.

ამ უკანასკნელი დამცირების შემდეგ ფილიპე მე-II-ს დიდხანს არ უცხოვრია: ის 1598 წელს გარდაიცვალო. ფილიპე II რომ გამეფდა, ისპანია ყოველივე სიმდიდრით იყო აღვისლი, ხოლო ფილიპეს სიკვდილის შემდეგ იგი ლარიბად და გამოფიტულ სახელმწიფოდ დარჩა. სახელმწიფოს ინტერესები ფილიპე მე-II კათოლიკობისა და თავის პირად ინტერესებს

ანაცვალა. ბოროტი კაცი მოსცილდა სამოქმედო ასპარეზს, და ევროპასაც თავისუფლად ამოსუნთქა შეეძლო. თუმცა ისპანიასა და იტალიაში პროტესტანტიზმი მოისპო, მაგრამ ინგლისში და შეერთებულ პროვინციებში იგი გამარჯვებული დარჩა. საფრანგეთი ისპანიის მზრუნველობისაგან განთავისუფლდა; ისპანიის საკუთარი სამფლობელოების სულიერი და ნივთიერი კეთილდღეობა კი „კათოლიკების“ მეფემ საგრძნობლად შერყეული დასტოვა.

## თავი IX.

### პ ლ ლ ო ნ ე თ ი.

**მდგომარეობა რეფორმაციის წინ.** გერმანიის ნამდვილმა მამულიშვილებმა რეფორმაციაში ეროვნული ინტერესების დაცვა დაინახეს, და ამიტომ მისი გავრცელების დროს დიდი სიმტკიცე გამოიჩინეს. პოლონეთსაც იმ დროს მოუსწრო რეფორმაციამ, როდესაც იგი პოლოტიკურს, ეკონომიკურსა და სოციალურ კრიზისს განიკუდიდა. წოდებათა შორის განწყობილება იცვლებოდა. პირველ რიგში საომარ გუნებაზე დამდგარი აზნაურობა-შლიახტა დგებოდა. კანონების გამოცემა და გადასახადების მოქრება დამოკიდებული იყო საოლქო და საზოგადო სეიმებზე, რომლებშიც უმაღლესი არისტოკრატია-პანები და შლიახტა იყვნენ წარმოდგენილი. დანარჩენი წოდებები მოკლებული იყო პოლოტიკურ უფლებებს. მე-XVI საუკუნეში პოლონეთის პურმა დასავლეთ ევროპის ბაზარზე დიდი გასავალი მოიპოვა და შლიახტაც მიწების ხელში ჩაგდებას და უფასო სამუშაო ხელით უზრუნველყოფს შეეცადა. სეიმმა ბატონ-ყმობა დააკანონა, და ამგვარად გლეხობა ბრწყინვალე წოდებას ჩაუგდო ხელში. არც ქალაქის მცხოვრებლები იყვნენ კარგ მდგომარეობაში; იგინი ყოველ-

გვარ შევიწროებას განიცდიდენ, რასაც შედეგად ის მოყვა, რომ მსხვილი ვაჭრობა უცხო ელემენტებმა ჩაიგდეს ხელში, ხოლო წვრილ ვაჭრობაში ებრაელები გაბატონდენ. მოქალაქეებს თანამდებობათა მთელის რიგის დაკავება აეკრძალათ. ამგვარად, ის ელემენტები, რომელზეც დაყრდნობა სახელმწიფოს გულდამშვიდებით შეუძლია, გარიყული დარჩა, ხოლო შლიახტამ განუხომდელი პრივილეგიები მოიპოვა, რაც სახელმწიფოს არსებობისთვისაც კი სახიფათო შეიქმნა. ამ პირობებში თითქმის ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, შესძლებენ თუ არა მეფეები ცხოვრების სადაცის ხელში მაგრად დაჭრას და მით თავის ავტორიტეტის გაძლიერებას. საუბედუროდ კაზიმირ ლიდის (Kasimier Wielki) და კაზიმირ მე-IV შემდეგ მეფეებმა ვერ შეასრულეს მოშენტისაგან წამოყენებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. საგარეო და შუნაური პოლიტიკური ცხოვრება კარისკაცებისა და შლიახტის გავლენისა და მანქანების ქვეშ სწარმოებდა. სიგიზმუნდ I (ზიგმუნდ) სავალოალო შეცდომა დაუშვა: მან ხელი არ შეუშალა ტევტონების ორდენის პრუსიის საპერცოგოდ გარდაქმნას (1525). ყოფილმა გროსმერსტერმა აღბრეხტ ბრანდენბურგელმა პროტესტანტობა მიიღო, ორდენის მამული. საპერცოგოდ გამოაცხადა და უფლებაც მოიპოვა, თუ მისი ღინასტრი მოისპობოდა, საპერცოგოდ ტახტის შემკვიდრედ მისი ნათესავი, ბრანდენბურგელი კურფიურსტები ყოფილიყვნენ, ამით ნემანისა და ვასლის ნაპირებზე ძლიერი სამთავრო ჩნდებოდა, და ეს ძლიერი სამთავრო ბრანდენბურგისაკენ მიიღო. სიგიზმუნდს აღმად არ ესმოდა, რომ ამით პოლონეთს საშიში მტერი ეზრდებოდა.

მთავრობის ავტორიტეტის აღდგენისა და მისი განმტკიცებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი რეფორმაციის გავრცელება იყო.

პოლონელების უმრავლესობას არ მოსწონდა სამღვდელოების გახრწნილება და მოსურნე იყო ზომიერი და საზოგადო საეკლესიო რეფორმები გაეხორციელებიათ. ამის წინააღ-

მჟეგი ორც შლიახტა იყო, რადგანაც თვალი მდიდარ საეკლე-  
სიო და სამონასტრო ქონებისაკენ ეჭირა. გერმანული ელე-  
მენტები საუკეთესო შუამავლები იყვნენ ლუტერანიზმისა და  
კალვინიზმის გასავრცელებლად. მაგრამ მთავრობამ საჭირო  
უნარი ვერც ამ საქმეში გამოიჩინა. კიდევ მეტი, ის სრულიად  
უმწეო გამოდგა, რადგანაც მან ვერც მოძრაობის მოსპობა  
შესძლო, როგორც ეს ისპანიასა და იტალიაში მოხდა, ვერც  
ინგლისის მსგავსად, დამოუკიდებელი ეკლესია შეჯემნა და  
ვერც გერმანიასავით ეკლესიაზე მზრუნველობა იღვა თავს. ამი-  
ტომ რეფორმაცია უსისტემოდა და უთავბოლოდ ხდებოდა და  
ის ანარქია, რომლისაკენაც ბრწყინვალე წოდება სახელმწიფოს  
მიაქანებდა, სარწმუნოებრივ ნიადაგზე ატეხილი დავით კიდევ  
უფრო ძლიერდებოდა. საჭირო გახდა არაჩეულებრივი მო-  
ვლენა, რომელსაც სახელმწიფოს დახსნა აუტანელ მდგომარეო-  
ბისაგან შეეძლო. ამგვარად ძალად პოლონელებს ივანე მრი-  
სხანესთან ამტკიციო ომი მოვლინა, რომელიც მოსკოვის მე-  
ფის ბალტიის მხარის დაპყრობის სურვილით იყო გამოწვეული.  
ამ გარემოებამ პოლონეთის მართველი წრეები ჩატიქრა. შედე-  
გი ის იყო, რომ პოლონეთი და ლიტვა შეერთდენ. 1569  
წლის უნიის ძალით ამ ორ სახელმწიფოს შორის შემდეგი ურ-  
თიერთობა დამყარდა: სეიმი საერთო უნდა ყოფილიყო, მეფე  
შეთანხმებით უნდა აერჩიათ და საგარეო საკითხებშიდაც შე-  
თანხმებულიად უნდა ემოქმედნათ. მაგრამ კანონები და აღმი-  
ნისტრაცია ორივე მხარეს საკუთარი რჩებოდა.

**მეფეები ჰენრიხი 1572 წელს უკანასკნელი იაგელლონი**  
**და სტეფანე** სიგიზმუნდ მე-II გადაიცვალა, და პოლო-  
**ბატორი.** ნელებს ახალი მეფე უნდა აერჩიათ. უზე-  
ნაესობა შლიახტას ხელთ იყო; ამიტომ მეფეს ის ირჩევდა და  
არჩევის დროს ყოველთვის განსაკუთრებულ პირობებს სდებ-  
და, რომელიც მეფეს უნდა აესრულებია, (სახელმწიფოს სა-  
ხელშოდება: „Rzecz Pospolita“ სისრულით გამოხატავდა ო-

სებულ წესწყობილებას). მეფედ საფრანგეთის პრინცი ჰენრიხი აირჩიეს, რომელმაც ფიც ქვეშ აღთქმა დასდვა, რომ ის სინდისის თავისუფლებას დაიცავდა, ორ წელიწადში ერთხელ სეიმს მოიწვევდა და სეიმისა და სენატის ნებადაურთველად საგარეო პოლიტიკას არ აწარმოებდა. მაგრამ ახალი მეფე ჩეზარი (რამდენიმე თვის შემდეგ) საფრანგეთში გაიქცა, რათა იქაურ სამეფოს ტახტზე ასულიყო. ახლა მეფედ უნგრელი სპასალარი სტეფანე ბატორი აირჩიეს. ის საუკეთესო სარდალი და მტკიცე ხსიათის კაცი იყო; და იძღროინდელ პოლონეთისათვის სწორედ ასეთი კაცი იყო საჭირო. მაგრამ სამწუხაროდ მისი ხანმოკლე მეფობა (1575—1586) საგარეო და საშინაო საქმეების მოსაგვარებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. ამ მოკლე ხნის განმავლობაში მან ყველას აგრძნობია, რომ იგი ნამდვილი მეფე იყო. საშინაო ცხოვრებაში შლიახტის ძალიან ცოტა ანგარიშს უწევდა; ხოლო საგარეო საქმეებში რუსებთან ომის დროს ისახელა თავი, რომელსაც იგი გაწვრთნილი ჯარით აწარმოებდა.

კათოლიკური 1586 წელს სტეფანე ბატორი გარდაირეაცია. ცვალა და მის მემკვიდრედ შვედელი პრინცი სიგიზმუნდი აირჩიეს. მამა მისი ოთანე გაზა ლუტერანობას გადაუდგა და შვეციაში კათოლიკობის აღდგენას ცდილობდა. სიგიზმუნდმა განათლება იეზუიტების ხელმძღვანელობის ქვეშ მიიღო, ის ფილიპე მე-II თაყვანისმცემელი იყო და თავის მეფობის მთავარ მიზნად კათოლიკური რეაცია დაისახა. თავის დროზე ტრიდენტის კრებამ პოლონეთის სამღვდელოებაზე გავლენა მოახდინა, და მან ცოტა თავდაჭრილად დაიწყო ცხოვრება. ამასთანავე სიგიზმუნდ I-ის დროს პოლონეთში იეზუიტები მოვიდენ; სტეფანე ბატორის დროს იგინი თანდა თან იკრებდენ გავლენას ხალხზე და ახალთაობის აღზრდის საქმეში გაბატონებას ცდილობდენ. სიგიზმუნდ მე-III, როგორც მოსალოდნელი იყო, მათ დიდ მფარველობას უწევდა;

ამასთანავე იგი კათოლიკებს არავითარ წარჩინებას არ აკლებდა. ეს გარემოება პოლონელ დიდ გვარიანებზე დიდ გავლენას ახდენდა. პანები უარს ამბობდენ პროტესტანტიზმზე და კათოლიკობას იღებდენ, რაღანაც ამ სარწმუნოებასთან ყოველგვარი წარმატება იყო დაკავშირებული. მაგრამ კათოლიკურ ეკლესიას მარტო პროტესტანტობასთან არ უხდებოდა ბრძოლა. ლიტვაში ძლიერ ფესვგადგმული იყო მართლმადიდებლობაც და ამ უკანასკნელის წინააღმდეგ პოლონეთ-ლიტვის მთავრობამ იმავე იარაღით დაიწყო ბრძოლა, როგორითაც ის პროტესტანტობას ებრძოდა. ლიტვაშიც წარჩინებას მხოლოდ ის პანები პოულობდენ, რომელნიც კათოლიკობას მიღებდენ და პოლონურ კულტურას დაექვემდებარებოდენ. ბრესტის უნიის (1596) დანიშნულება მართლმადიდებელ სამღვდელოების გადაბირებაში მდგომარეობდა. უნიატ სამღვდელოებასაც იმავე უპირატესობას ჰპირდებოდენ, რასაც პანებს აძლევდენ. მათ საბოლოოდ გადაგვარებას მხოლოდ კათოლიკურმა სამღვდელოებამ შეუწყო ხელი მით, რომ ის არ სთანხმდებოდა უნიატების გათანასწორებაზე და უნიატ ეპისკოპოსების სენატში შესვლას წინააღმდეგობას უწევდა.

სამაგიეროდ პოლონეთის სახელმწიფოებრივი წესწყობილება უფრო და უფრო ირეოდა. სიგიზმუნდ III დროს დასრულდა ანარქიის გამეფების პროცესი, რომელმაც პოლონეთი საბოლოოდ დალუპა; „ექჩ პოსპოლიტა“ ერისთავების (ვოევოდების) კავშირად გარდაიქცა; თითოეული საერისთავო თითქმის დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაემსგავსა. ორ წელში ერთხელ ექვსი კვირით იკრიბებოდა ამ კავშირის კონგრესის სეიმი. ყოველ საერისთავოში იკრიბებოდა წინ და წინ მცირე სეიმები, სადაც ირჩევდენ დეპუტატებს მთავარ სეიმში გასაგზავნად და თან ინსტრუქციებს ატანდენ. საერთო გადაწყვეტილების მიღება სეიმში მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, თუ ერთსულოვნება იქნებოდა; საკმაო იყო ერთი სიტყვა „nie pozvalam“ (veto), რომ მთელი სეიმის გადაწყვეტილება მო-

ხსნილიყო. რომ სახელმწიფოს აუცილებელი საჭიროებანი და-  
ეკმაყოფილებია, მეფე იძულებული იყო ყოველი ზომა ეხმარა  
(ძალდატანება, მოსყიდვა და სხვა) ერთსულოვნების მისაღწე-  
ვად. დაბოლოს, თუ რომელიმე გავლენიანი პარტიის არ ეთან-  
ხმებოდა მთავრობის მოქმედებას, ის თავისი მიზნების გასა-  
ხორციელებლად „კონფედერაციას“ აწყობდა. იყო შემთხვე-  
ვები, როდესაც რომელიმე კონფედერაცია იარაღს ჰკიდებდა  
ხელს, და ეს ბოროტმოქმედებად არ ითვლებოდა. სახელმწი-  
ფოებრივი უფლების ამგვარ გახრწნას შლიახტა „ოქროს თა-  
ვისუფლებად“ სთვლიდა.

იმ დროის რუსეთში გამეფებულმა არევ-დარევამ (ე. წ.  
смутное время) პოლონელებს საშუალება მისცა მოსკოვის  
სახელმწიფო საქმეებში ჩარეცულიყვნენ. მაგრამ თვით პოლო-  
ნეთი ისე იყო მოშლილი, რომ გარემოებით სარგებლობა ვერ  
მოახერხა. პოლონერი რაზები თვითნებურად, ან საიდუმლო  
ნებართვით, მხარს უჭერდენ რუსეთის ტახტის მაძიებელთ და  
მოსკოვის მიდამოებს არბევდენ. და როდესაც ბოლოს სიგიზ-  
მუნდ მე-III მოსკოვის წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტა,  
მას განახლებული რუსეთი დახვდა და ამიტომ მიზანს ვერ  
მიაღწია.

## თავი X.

### ოცდაათზღიანი ოშის ეპოქა.

**გერმანიის  
მდგომარეობა  
ომის წინ.** აუგსბურგის ზავმა (1555), როგორც მო-  
სალოდნელი იყო, გერმანიაში მშვიდობია-  
ნობა ვერ დაამყარა. მრავალი საკითხი და-  
რჩა გაურკვეველი და ბუნდოვანი, და ეს გარემოება უთანხმო-  
ებასა და არევ-დარევას იწვევდა. გადაუშეკრებელი დარჩა მაგა-  
ლითად, საკითხი კალვინისტების შესახებ; მათი მოძღვრება კი

მთელს გერმანიაში და განსაკუთრებით რეინის მხრის ზემო ნაწილში ვრცელდებოდა. რეინის პფალცგრაფმა, ბრანდენბურგის კურფუურსტმა და ბევრმა საიმპერიო ქალაქმა კალვინიზმი თავის სარწმუნოებად გამოაცხადა; მაგრამ რაღაც პრინციპი „cuius regio, ejus religio“ კალვინისტებზე არ ვრცელდებოდა, მათ არსებული უფლებრივი მდგომარეობის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ახალ მოძრაობას აუგსბურგის ზავის ზოგი სხვა მუხლის გაურკვევლობაც აძლიერებდა. პრინციპ „cuius regio, ejus religio“-ში ორი გამონაკლიისია დაშვებული: ერთი მხრით სასულიერო სამთავროები უთუოდ საეკლესიო უნდა დარჩენილიყვნენ თუნდ იმ შემთხვევაშიც, თუ რომ მათი მფლობელები (ეპისკოპოსები) პროტესტანტობას მიიღებდენ. (ე. წ. reservatum ecclesiasticum); მეორე მხრით ამ სამთავროებში მცხოვრებთ სრული სარწმუნოებრივი თავისუფლება ჰქონდათ იმის მიუხედავად, თუ თვითონ მთავარი რა სარწმუნოების იყო. ზავის ეს მუხლები მუდამ ირღვეოდა: ერთი მხრით, სასულიერო სამთავროების მთელი რიგი პროტესტანტებმა საერო სამფლობელოებად გადაკეთეს; მეორე მხრით კათოლიკური პრელატებიც თავის ქვეშევრდომ პროტესტანტებს ყოველმხრივ ავიწროებდენ. იმპერატორისა და საიმპერატორო დაწესებულებებისაგან დავის გადაწყვეტა არ იყო მოსალოდნელი, რადგან გერმანელი ჰაბსურგები მთელ თავის ყურადღებას ავსტრიელ, ჩეხელ და უნგრეთის სამფლობელოებს და ოსმალურ საფრთხეს აპყრობდენ; ამიტომ საიმპერატორი დაწესებულებებმა ყველამ თავისი ავტორიტეტი დაჭკარგა. რეინსტაგსაც იმპერატორების არჩევისათვის-და ჰქონდა მნიშვნელობა. მდგომარეობა ისეთი შეიქმნა, რომ ყველას თავის თავზე უნდა ეზრუნა. ამიტომ მე-XVII საუკუნის დასაწყისში მთავრობის ორი კაფირი დაარსდა: ერთი იყო კათოლიკების ლიგა მაქსიმილიანე ბავარელის მეთაურობით, და მეორე—პროტესტანტების უნია, რომელიც ფრიდრიხ პფალცცელის ხელმძღვანელობით კალვინისტებმა დაარსეს. ლუტერანი მთავრები კი, თუმცა იგინი

ოფიციალურად არ იყვნენ შეკავშირებულნი, მაგრამ საქონე-  
ლი კურთფიურსტის გარშემო იყრიდენ თავს.

ომი ყოველ დღე მოსალოდნელი შეიქმნა, მით უმეტეს,  
რომ გერმანიის დასავლეთის საზღვრებზე დიდი ხანია სარწმუ-  
ნოებრივი ონები სწარმოებდა. 1610 წელს, ერთი, რეინის მხრის,  
მთავართაგანის სიკვდილის გამო, მისი სამფლობელო, კათო-  
ლიკებით დასახლებული, პროტესტანტ მემკვიდრეთა ხელში  
უნდა გადასულიყო; პრინციპის—cuius regio, ejus religio—  
მიხედვით სამთავროს მცხოვრებთა კაოოლიკურ ნაწილს პრო-  
ტესტანტობა უნდა მიეღო; კათოლიკე მთავრები ამის წინააღ-  
მდეგ წავიდენ. საქმეში იმპერატორი ჩაერია იმ იმედით, რომ  
სადაც ადგილებს ჰაბსბურგებს მიაკუთვნებდა, მაგრამ პროტეს-  
ტანტი მთავრები ამას ვერ შეურიგდენ, ბრძოლა დაიწყეს და  
დახმარება საფრანგეთის მეფეს ჰენრიხ მე-IV სოხოვეს. უკანას-  
კნელმა თავგამოდებით დაუჭირა მხარი პროტესტანტებს, და  
მისი ჯარები მხად იყვნენ საზღვრები გადაელახათ; მაგრამ  
სწორედ ამ დროს ერთმა ფანატიკოსმა იეზუიტების მოწაფემ  
რაგალიაკმა ჰენრიხ IV სასიკვდილოდ დასჭრა, და ომიც დრო-  
ებით შეჩერებულ იქმნა.

### კათოლიკური რეაქცია ავსტრიაში ჰაბსბურგთა სამფლო- ბელოებში მომხდარი ამბების გავლენით დაიწყო რეფორმა-

ცია ავსტრიაშიც ძალზე გავითარდა. მას ფერდინანდ I, მე-  
მკვიდრე მაქსიმილიან მე-II-ისა, დიდ მფარველობას უწევდა.  
შტირია, კარინთია, და განსაკუთრებით ჩეხია, სილეზია და  
მორავია პროტესტანტებით იყო სავსე. კათოლიკურმა სამღვდე-  
ლოებამ მათ წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლა დაიწყო. ამ  
ბრძოლას იეზუიტები ჩაუდგენ სათავეში, და პროტესტანტო-  
ბის გავრცელების შეჩერება მართლაც მოახერხეს. მაგრამ კა-  
თოლიკურმა რეაქციამ საბოლოოდ გაიმარჯვა, როდესაც

მას მხარი საერო მთავრობაშ დაუჭირა. ერცჰერცოგ ფერ-  
დინანდმა, რომელიც იმპერიატორ რუდოლფ მე-II დროს შტი-  
რიისა და კარინთიის მართველად დაინიშნა, ძალას მიმართა:  
კველა პროტესტანტის მიხი სამფლობელოს დატოვება ებრძანა.  
საგანვებო კომისარები სამხედრო რაზმების თანხლებით და-  
დოდენ ქალაქებში, სოფლებსა და კოშკებში იმის შესამოწ-  
მებლიდ, შესრულებული იყო თუ არა ერცჰერცოგის განკარ-  
გულება. მცხოვრებთა სულიერი ხელმძღვანელობა იქნებოდა  
იდვეს თავს. ნახევრიდ შეშლილი რუდოლფ მე-II, რომელიც  
ასტრიოლოგის ჩაკირკიტებდა, მზად იყო ფერდინანდისათვის  
მიებაძა და ჩეხელ პროტესტანტების წინააღმდეგ ზომების მი-  
ღები დაეწყო. მაგრამ მას ენერგიის არაფერი გააჩნდა, ხოლო  
ჩეხებს თავის დაცვის უნარი მეტი ჰქონდათ, ვიდრე სამხრეთ  
საქერცოვოების მცხოვრებლებს. ჩეხელმა წარჩინებულებმა აი-  
ძულეს რუდოლფი, მიეცა მათვას „მიხი დიდებულების გუ-  
ჯარი“, რომელიც სარწმუნოების თავისუფლებას ცხობდა და  
პროტესტანტებს ეკლესიების მოწყობის უფლებას ანიჭებდა.  
მაგრამ რუდოლფის სიკვდილის შემდეგ გვირგვინი ერცჰერცოგ  
ფერდინანდის ხელში უნდა გადასულიყო (რუდოლფია და  
ფერდინანდის შეს რამდენიმე წელი იმედვა რუდოლფის უშვი-  
ლო ძმამ მათებ). ჩეხებს ეშინოდათ, რომ ფერდინანდი ჩეხი-  
აშიც ისე დაიწყებდა მოქმედებას, როგორც შტირიისა და  
კარინთიაში. ამიტომ გრაფ ტურნის ხელმძღვანელობით ჩეხე-  
ლი აზნაურები პრაგაში სასახლეში შეცვივდენ და იმპერატორის  
ორი მრჩეველი ფანჯრიდან ძირს გადმოისროლეს (1618). ამან სა-  
ბოლოოდ გისწყვიტა კავშირი: დაიწყო სამოქალაქო ომი, რო-  
მელიც აცდაათ წელს გაგრძელდა.

### ოცდაათწლიანი ომი (1618—1648).

გუსტავ  
ადოლფი

ჩეხებმა დახმარება კალვინისტების უნიის  
ხელმძღვანელს, ფრიდრიხს პფალცელს სოხო-

ვეს და მეფედაც ის აირჩიეს. მან არჩევანი მიიღო და ტურ-  
ნის დასახმარებლად გრაფ მასველდის წინამძღვალობით და-  
ქირივებული ჯარი გაგზავნა. ფერდინანდი თავის მხრივ კათო-  
ლიკურ ლიგასა და ისპანიას შეუთანხმდა. მაქსიმილიანე ბავა-  
რელისაგან მან კარგად გაწვრთნილი ჯარი მიიღო, ომელიც  
სარდალ ტილლის ექვემდებარებოდა. იმპერატორისა და ლი-  
გის ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს ჩეხეთი და გერმანელი  
პროტესტანტები „თეთრ მთასთან“ (ნელა გორა) პრაგის ახ-  
ლოს. ფრიდრიხი იძულებული შეიქმნა, ჩეხიდან გაქცეული-  
ყო, ტილლიმ კი რეინის მხარის მისი სამფლობელოები დაი-  
ჰყო. ფერდინანდმა „მისი დიდგბულების გუჯარი“ დახა და  
ჩეხიაში კათოლიკობის აღდგენას შეუდგა. ამავე დროს განა-  
ცხადა, რომ აუგსბურგის ხელშეკრულების დარღვევის უფლე-  
ბას არავინ არ მისცემდა, და ზომების მიღება დაიწყო, რომ  
კათოლიკიზმისათვის ის სასულიერო სამთავროები დაებრუნე-  
ბია, რომელიც 1552 წლის შემდეგ პროტესტანტების მიერ  
საერო სამფლობელოებად იყო გადაქცეული. ამგვარი პოლი-  
ტიკა გერმანელი ოლქების მთელი რიგისათვის ყოვლად მიუ-  
ღებელი იყო, და ჩრდილოეთის მხარის მთავრებმა წინააღმდეგო-  
ბის გაწევა გადასწყვიტეს, ხოლო დახმარებისთვის დანის მე-  
ფეს ქრისტიან მე-IV მიმართეს. ლიგამ დაუყოვნებლივ გაგზა-  
ვნა ტილლი ჩრდილოეთისკენ; თვით იმპერატორი კი, რომელ-  
საც საკუთარი ძალები ძალიან სუსტი ჰყავდა, დასთანხმდა ჩე-  
ხელი გრაფის ვალენტეინის წინადადებაზე მოხალისეთა ჯა-  
რის შედეგების შესახებ; ჯამაგირი ამ ჯარს იმ გადასახადები-  
საგან უნდა მიეღოთ, რომელსაც დაპყრობილი აღგილების  
მცხოვრებნი შემოიტანდენ. ვალენტეინის მოწოდებაზე 50  
ათასამდე მეომარმა მოიყარა თავი; მეომრები სხვა და სხვა  
ეროვნებას და საჩრდენოებას ეკუთვნოდენ; მათ იმედი ჰქონ-  
დათ, რომ გამოჩენილი სარდლის ხელმძღვანელობით დიდ  
სიმდიდრეს შეიძენდენ. ამგვარმა არმიამ არ იცოდა, თუ რა  
იყო ან პატრიოტობა და ან საჩრდენოებრივი გატაცება; ის

ენდობოდა თავის სარდალს და მისი გამბედაობით თავი მოჰკონდა. ვალენშტეინი ელბისა და დუნაის ხაზს იცავდა გრაფ მანსველდისა და უნგრების წინააღმდეგ; ხოლო ტილლიშ დანის მეფე დაამარცხა. დანია იძულებული შეიქნა, მოწინააღმდეგეს შერიგებოდა. ხოლო ფერდინანდმა, ე. წ. „სარესტიციო ედიკტი“ გამოსცა, რომლის ძალითაც კათოლიკურ ეკლესიას ყველა ის სასულიერო სამფლობელო უნდა დაბრუნებოდა, რომელმაც 1552 წლის შემდეგ პროტესტანტობა მიიღო; ეს ბრძანება ორ საარქიეპისკოპოსოს, თორმეტ საეპისკოპოსოს და ასოკს წვრილ სამფლობელოს ეხებოდა.

პროტესტანტების დახმარების აღმოჩენა თავს იღვა შვეციის ახალგაზრდა მეფემ გუსტავ ადოლფმა. მამა მისი თავის ძძისწულის სიგიზმუნდის წინააღმდეგ წავიდა, როდესაც მან პოლონური ჯარის დახმარებით შვეციაში პროტესტანტობის მოსპობა განიზრახა. სიგიზმუნდის გალაშქრება დამარცხებით დამთავრდა, და შვედებმა პროტესტანტების ბელადი კარლოს IX-ს სახელით მეფედ გამოაცხადეს. გუსტავ ადოლფი მამასავით მტკიცე და კითილსინდისიერი, ეროვნული საჭიროების შემგნე და გულწრფელი მორწმუნე კაცი იყო. ამასთანავე იგი ყველას უყვარდა, და მას ყველა ენდობოდა. ახალგაზრდობა-შივე რუსეთისა და პოლონეთის წინააღმდეგ მძიმე ომების წარმოება მოუხდა, მაგრამ გამარჯვებული დარჩა: ინგრია, კორელია და ლიფლანდია შეიძინა და გაწვრთნილი ჯარი შეჰქმნა. 1630 წელს ის გერმანიაში გადავიდა; გერმანელი პროტესტანტების დახმარების გარდა, მას ბალტიის ზღვის სამხრეთნაპირებზე შვეციის გაბატონება ჰქონდა განხრახული.

ვალენშტეინის ზედმეტმა გაძლიერებამ გერმანიის მთავრებს შორის უკმიაყოფილება გამოიწვია, და იმპერატორი იძულებული შეიქმნა, ვალენშტეინი სამსახურიდან გადაეყენებია. გუსტავ ადოლფის წინააღმდეგ კი მის მაგიერ გამობრძმედილი ტილლი გაგზავნა. უკანასკნელმა აღყა შემოარტყა მაგდებურგს

საქონიაში, რომელიც შვედების მხარეზე გადავიდა. ქალაქი სასტიკ წინააღმდევებას უწევდა, მაგრამ მაინც აღებული და დარბეული იქმნა.

შვედები და მათი მოკავშირე საქონელები ტილლის ლეიპციგის ახლოს შეხვდენ. გუსტავ აღოლფმა ჩვეულებრივი სამხედრო წყობა შესცვალა: მან ქვეით ჯარში მსროლელთა რიცხვი გაადიდა; მისი რაზები ნაკლებ შეჯგუფებულნი იყვნენ, და ამიტომ უფრო მოძრავი გამოდგენ, არტილერია შეისარაღებული იყო მჩატე ზარბაზნებით, და უფრო ხშირად ისროდა, ვიზრე იმპერატორის; დაბოლოს, მან განსაკუთრებული ყურადღება სამარქაფო ჯარს მიაქცია. მიუხედავად იმისა, რომ საქონელები განდევნილ იქმნენ ბრძოლის ველიდან, შვედებმა სრული გამარჯვება მოიპოვეს. ჩრდილოეთი გერმანიის მტრის ჯარებისაგან გაწმენდის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთისაკენ გაეშურა. ტილლიმ შეაგროვა დამარკებული ჯარის ნაწილები, დამხმარე ჯარიც მოუვიდა და ლეხის გადასავალის დაცვას შეეცადა, მაგრამ კვლივ დამარცხდა და თვითონ სახი-კვდილოდ დაიჭრა. ბავარია, რომელიც კათოლიკურ რეაქციის მთავარი იქვედი იყო, დაპყრობილ იქმნა. რაღაც იმპერატორს ბრძოლის გასაგრძელებლად სხვა საშუალება აღარ ჰქონდა, ისევ ვალენტინის მიმართა. მან განსაკუთრებული პირობები გამოითხოვა: იმპერატორის არმის მთავარსარდლობა მას უნდა გადაცემოდა; ქონების კონფისკაციისა და ბოროტმოქმედების დასჯის უფლება მარტო მის ხელთ უნდა ყოფილიყო; „სა-რესტიტუციო ეღიკტის“ სისრულეში მოყვანა უნდა შეეჩერებიათ. ვალლენტინმა გუსტავის წინააღმდევ ბრძოლის დროს ჩვეულებრივს, მის მიერ შეთვისებულ საშუალებას მიმართა. იგი შვედებისაგან დაკავებულ ნიურენბურგის წინ ვამაგრდა და ბრძოლის მაგიერ, თავის მარჯვე კავალერიას საბარკო ურმების წასართმევად და გზების მოსაჭრელად გზავნიდა. გუსტავმა მოწინააღმდევების ბანაკის იერიშით აღება სცადა, მაგრამ უკუგდებულ იქმნა და იძულებული გახდა დუნაიდან ჩრდილოეთისკენ წასულიყო. ვალლენტინი დაუყონებლივ დაი-

ძრა ადგილიდან და საქსონიაში საზამთროთ მზადება დაიწყო.  
მაგრამ გუსტავმა მზადების დამთავრება არ დაცალა და აძუ-  
ლა ბრძოლა მიეღო (**ლიუცენასთან 1632**). ორი საათის მკა-  
ცრი ბრძოლის შემდეგ, ვალლენშტეინმა შვედების წინააღმდევ  
თვისი მარქაფი ჯარი გაგზავნა, და შვედებმა უკან დაიხიეს.  
ამ ბრძოლაში გუსტავ-ადოლფი მოკლეს. მეფის სიკვდილმა  
შვედები უფრო გაააფთორა და მიუხედავათ იმისა, რომ იმპერა-  
ტორის არმიას მაშველი ჯარი მოუყიდა, გამარჯვება წილად  
მაინც მათ ხვდათ. მაგრამ ვალლენშტეინი მაინც კმაყოფილი  
დარჩა; მართალია გას უკან დახევა დასჭირდა, მაგრამ გუსტავ-  
ადოლფი ცოცხალი აღარ იყო და მას ეგონა, რომ ამიერიდან მის  
არმიას ვერვინ გაუმკლავდებოდა. შვედებთან ვალენშტეინმა  
საიდუმლო მოლაპარაკება გამართა, დაპირდა მათ რამდენიმე  
ნავთსადგურს ბალტის, ზღვის სამხრეთ ნაპირებზე და აგრეთვე  
„რესტიტუციის“ შესახებ განკარგულების მოსპობას. ის შვე-  
დებთან მშეიდობიანობის ჩამოგდებით რეინზე თავისთვის სა-  
კურთიურსტოს შექნია და ჩეხიის ტახტის ხელში ჩაგდებაზე  
ოცნებობდა. ვალენშტეინის მოლაპარაკება იმპერატორის  
სასახლეში შეიტყვეს. ფერდინანდა გამოაცხადა, რომ მას  
მთავარსარდლობას ართმევს. ვალენშტეინმა ფიცი ჩამოარ-  
თვა თავის ხელქვერთ გენერლებს, რომ ისინი მას მხარს დაუ-  
ჭრდენ, მაგრამ მის ბანაკში არეულობამ იჩინა თავი. რამდე-  
ნიმე შოტლანდიელმა და ირლანდიელმა იგანტიურისტმა ვალენ-  
შტეინი და მისი დახახლოვებული პირები მოჰკლეს.

ფრანგების ორი გამოჩენილი ბელადის სიკვდილის შემდეგ  
ხანა. საქმემ თითქოს მშვიდობიანი ხასიათი მიიღო,  
განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც იმპერატორის არმიამ შვე-  
დები ლაამარცხა და ბავარია გაათავისუფლა. საქსონის კურ-  
ფიურსტი, რომელიც ომში უგულოდ იღებდა მანაშილეობას,  
იმპერატორს ზავით შეეკრა, და გერმანიის მთავრების უმრავ-  
ლესობაც მზად იყო მისი მაგალითისთვის მიებაძა. მშვიდობია-  
ნობას ჯერ შვედები წინააღუდგენ, და შემდეგ ომის ასპარეზზე

ახალი სახელმწიფო — საფრანგეთი გამოვიდა. კარდინალი რი-  
შელიე, რომელიც მაშინ საფრანგეთს ხელმძღვანელობდა, ჰენრიხ მე-IV საგარეო პოლიტიკას სავსებით იზიარებდა. ჰაბს-  
ბურგები მას საშიშ მტრებად მიაჩნდა, სოლო გერმანიაში გა-  
მეფებულ არევ-დარევაში ჰაბსბურგების დასასუსტებლად და სა-  
ფრანგეთის გასაძლიერებლად საუკეთესო საშვალებას ხელავდა.  
მან პროტესტანტების მხარე დაიჭირა, გუსტავ ალოლფს კო-  
ნებრივ დახმარებას უჩენდა, ხოლო შვედების დამარცხების  
შემდეგ იმპერიისა და ისპანიის წინააღმდეგ უკვე აშკარად გა-  
მოვიდა. საიმპერიო ძალების ყურადღება ფრანგებმა მიიპყრეს,  
რამაც შვეციის გენერლებს მთელს აღმოსავლეთ გერმანიაში  
თავისუფალი ფარგაშის ნება მისცა. იმ გარემოებაშ ვენაც კი  
ხითათში ჩაგდო. თვითონ ფრანგებმა ომის დროს ბრწყინვალე  
წარმატებებს მიაღწიეს. ჰერცოგმა ბერნარდ ვეიმარელმა მათ-  
თვის აღზასი დაიპყრო, პრინცმა კონდემ ისპანელები როკ-  
რუასთან (ფლანდრიაში) დამარცხა და მარშალ ტიურჩენთან  
ერთად ბავარიის კურფიურსტის ჯარები გაანადგურა. პირინეის  
სახლვარზე ფრანგებმა ისპანელებს რუსსილიონი წაართვეს —  
უკანასკნელი ოლქი, რომელიც ისპანიას მთაგრეხილის ჩრდი-  
ლოეთით ჰქონდა.

ვასტიალის ზავი (1648). *მომზადებელი*

1648 წელს, როგორც იქნა, შესწყდა სისხლის ლურა,  
რომელმაც დიდის ხნით შეიჩერა გერმანიის განვითარება. მოე-  
ლი 30 წლის განმავლობაში ეს ქვეყანა იმის ასპარეზად იყო  
გადაქცეული; ზოგიერთი ადგილი სრულებით გიცალა, ზოგ-  
გან მცხოვრებლები ბალახით და ხის კანით იკვებებოდნენ; ისეთ  
შემოხვევებსაც ჰქონდა ადგილი, რომ კაცის ხორციაც სჭამ-  
დენ. ხალხი ვაველურდა და სულით დაეცა; საუკეთესო კრძნო-  
ბები და რწმენა, — სამშობლოს სიყვარული, მეფის ერთგულე-  
ბა, სარწმუნოება — შევინებულ იქნენ ულმობელი ომის დროს,  
რომლისავინაც სარგებლობას ჩხოლოდ უცხოელები დებულობ-

დენ. მოლაპარაკება ვესტფალიის ქალაქებში მუნიციპალიტეტისა და სინაბრუკში დაიწყეს. ოთხი წლის მოლაპარაკების შემდეგ ჩამოვარდა აგრე წოდებული ვესტფალიის ზავი; ამ ზავის დებულებები შემდეგი იყო:

1) რაც შეეხება სარწმუნოებრივ დავას, იგი *status-quo-*ს აღდგენით გადაწყდა: აუკსბურგის ზავის პირობები ხელუხლებელი დასტოვეს, თუ მხედველობაში არ მიყიდებთ იმ გარემოებას, რომ ეს პირობები ეხლა კალვინისტებზეც გავრცელდა. სასულიერო სამთავროების შესახებ გადაწყდა, რომ 1524 წლამდი მომხდარი სეკულარიზაცია ძალაში უნდა დარჩენილიყო.

2) ტერიტორიალური მთავარი ცვლილებები საფრანგეთისა და შვეიცაის სასაჩვენებლოდ მოხდა. პირველმა მიიღო ალზასი, სტრასბურგის გამოკლებით, ხოლო მეორემ—დასაცლეთი პომერანია ოდერის შესართავით. ამას გარდა ბრანდენბურგმა პომერანიის აღმოსავლეთი ნაწილი, მაგდებურგი (ელბაზე) და კლევე (რეინზე) მიიღო. შვეიცარიის კავშირის და შეერთებული პროვინციების (ნიდერლანდების) დამოუკიდებლობა საბოლოოდ იქმნა ცნობილი.

3) ვესტფალიის ზავმა იმპერიის შემაღებენლობა და წესწყობილებაც დაამტკიცა. მასში ხამას სამოცი სახელმწიფო შედიოდა, და თითოეულს თავისი საკუთარი ჯარი, სასამართლო, მართველობა და ღიპლომატია ჰყავდა. საზოგადო ზომების მისაღებად სეიმის თანხმობა იყო საჭირო, სადაც პირდაპირ ან არა პირდაპირ ყველა ამ სახელმწიფოს წარმომადგენლებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა. სხვათა შორის, ხმის უფლება შვეიცაისა და დანიის მეფეებსაც ჰქონდათ. ყველა ამის მიხედვით იმპერატორის უფლებამ, რასაკვირველია, ყოველივე მნიშვნელობა დაჭკარება.

ამგვარად 30 წლის ომის შედეგები ნათლად გამოირკვა:

1. გან ბოლო მოუღო სარწმუნოებრივ თმებს და რეფორმაციის მოძრაობა თავსართო 2. ეპრანაა, რომელიც მომოანი

ერთეული, დაირღვა; მას ყოველგვარი სიერთაშორისო მნიშვნელობა დაეკარგა და უცხოელების ლუკმად გადაიქცა. ამ ქვეყნის განვითარება დიდი წნით შეჩერდა.

## თავი XI.

ხელოვნება, ლიტერატურა და მეცნიერება.

**მხატვრობა** ინტერესი აღამიანისადმი, მისი სულიერი და **იტალიაში.** ხორციელი ცხოვრებისადმი, რაც ჰუმანისტების დამახასიათებელ ოვისებას შეადგენდა, განსაკუთრებული სიძლიერით ხელოვნებაში გამოიხატა. **ალორძინების ხანის** ხელოვნებს წარმომადგენელნი ბუნებასა და კლასიკური ხელოვნების ნიმუშებს ეცნობოდენ და სწავლობდენ; და თუმცა ქანდაკებაშიც თვალსაჩინო კვალი დასტოვეს, განსაკუთრებულ წარმატებას მაინც მხატვრობაში იჩენდენ. განვითარების უმაღლეს საფეხურს ხელოვნებამ იტალიაში მუ-XVI საუკუნეში მიაღწია. ფლორენციელს ლეონარდო და ვინჩის გაკვირვებაში მოჰყავს. კაცი თავისი ნიჭისა და ცოდნის მრავალფეროვანებით — იგი მექანიკის, ხუროთმოძღვრების, მხატვრობის, მუსიკისა და პოეზიის დარგებში მოღვაწეობდა; ლუდოვიკო სფორცას მილანის სასახლეში დღესასწაულების მოწყობას ხელმძღვანელობას უწევდა, კეიისარ ბორჯასთან ინუენრათ მსახურობდა, და თავისი სიცოცხლე ფრანც პირველთან დალია, რომელსაც საფრანგეთში აღორძინების ხანის კულტურის გავრცელებაში ეხმარებოდა. მის ნაწარმოებთა შორის მთავარ ყურადღებას „**საიდუმლო სერობა**“ (მილანში) იპყრობს, რომელიც იესო ქრისტესი და მისი მოწაფეების სახეების მტკიცე გამომეტყველებით გამოირჩევა. ლეონარდოს მეტოქეობას ახალგაზრდა ფლორენციელი მიქელ ანჯელო ბუონაროტი უწევდა. მისი ბუნება და გრიგორი არაჩვეულებრივისადმი მიისწრაფოდა; არც ერთ ხელოვანს არ ემარჯვებოდა მიქელ ანჯელოსავით მრისხანე ძლიერების ნათებებისა თა სახეობის ამოხატვა დაითვის ჩანთავადა თოთორინ-

ციაში მის მიერ შექმნილი, და მოხეს ქანდაკება, მის მიერ რომში გაკეთებული, რაღაც გმირულის, ბუმბერაზულის გამოხატულებას წარმოადგენს. სიქსტის კაპელის ფრესკები ვატიკანში, რომელიც ქვეყნის შექმნის ექვსი დღის, საშინელი სამსჯავროს, წინასწარმეტყველი ქალები) ნახატს წარმოადგენს, გამსჭვალულია ძველი ილთქმის მრისხანე სიღიაღით. სულ სხვაა რაფაელ სანციო, ურბინოელი (1483—1520); იგი ცხოველმყოფელ სილამაზესა და ზეციურ სათნოებას ეძიებს. მისი მთავარი ნაწარმოები ღვთისმშობლის, მაღანის სხვადასხვა ტიპია. წმიდა სიქსტის მადონნა (დრეზდენში), სახელგანთქმულია თავისი ფერების ჰარმონიით, კეთილშობილური სიმარტივით და ღრმა გრძნობით. ვატიკანის სასახლის ფრესკები თითქოს მთელი ისტორიის მცვლელობას წარმოადგენენ. ამ ფრესკებში რაფაელმა და მისმა მოწაფეებმა გამოჰქმდეს ძველი ბრძენებიც (ათენის სკოლა), ქრისტიანობის წარმართობაზე გამარჯვებაც (კონსტანტინეს ბრძოლა მაქსენიუსთან) და ეკლესიის სასწაულებრივი შემთხვევებიც (მაგ. პეტრე მოციქულის საპატიომროდან გასვლა).

**მხატვრობა იტალიის დიდ ხელოვანთა ნაწარმოებთ ჰუ-  
გერმანიაში.** მანიზმის გავლენა ახასიათებს; რეფორმაცია  
იქ სრულიად არ სხანს. სამაგიეროდ რეფორმაციის გავლენა  
გერმანულ სკოლებშია ძლიერი. გერმანელ მხატვრებში განსა-  
კუთრებული ორიგინალობა ალბრეხტ დურენის (1471—1528)  
ახასიათებს. გარეგნობით დურენი თავისი დროის შაბლონუ-  
რი მხატვრობისაგან თითქმის არაფრით არ განიჩევა; მისი  
გადამეტებული წვრილმანობა, მისი ხაზების მოუხეშავობა, მისი  
პერსპექტივის სრული უკოდინარობა არა სასიამოვნო შთაბეჭ-  
დილებას სტოვებს. ამის მიუხედავად როდესაც რაფაელმა პირ-  
ველად ნახა მისი ნახატები, სთქვა: „მაგას რომ კლასიკოსები  
შეესწავლა, ჩვენ კველის გვაჯობებდათ“. და მართლაც, ერთი  
რამ ჭარბად პერნდა დურენს: მისი ძალა დაფარულისა და  
როული სულიერი მდგომარეობის სრული გამოხატვის უნარში

აუკ დამარხული. ყველაზე უფრო შესანიშნავი მის ნაწარმოებთა შორის აღეგორიული სცენებია — (გამოცხადების წიგნიდან (აპოკალიპსის), მელანქოლია, რაინდი სიკვდილის გზაზე). ეს არის ღრმათ დაკვირვებული კაცის ნაწარმოები, რომელიც სულიერ ბრძოლას განიცდის. ლურერი მხურვალედ მიეგება ლუტერის გამოსვლას და „სახარების“ ქადაგების დასაწყისი ოთხი მოციქულის გამოხატვით აღნიშნა (მიუნხენში).

**ფლამანდიელების მე-XVI საუკუნის მიწურულისა და სკოლა.** მე-XVII საუკუნის პირველი ნახევრის ხელოვანნი ხელოვნების სკულპტორიზაციის, საერთო სიუჟეტებისა და განწყობილების ხანის წარმომადგენელნი არიან. სარწმუნოებრივი საკითხების გამო ამტყდარი მოების შეწყვეტის შემდეგ, ჩეფორმაციითა და კათოლიკური რეაქციით გატაცება ნელდება და ხალხის ინტერესები სხვა მიზნებისაკენ იბრუნებს პირს. ისპანიის ფლანდრიიში არსდება სკოლა, რომლის მთავარი წარმომადგენელიც რუბენსი არის (1577—1640), თუმცა იგი სარწმუნოებრივი ხასიათის სურათებს ხანდისხან კიდევ სწერს, მაგრამ არა მიტომ რომ მას სარწმუნოებრივი კილო ამოძრავებს, არა, მისი ენერგია ბრწყინვალე დღესასწაულების, ატლეტურ-ბრძოლის, სილამაზისა და ძლიერების გაღმოცემისაკენ არის მიმართული. განკითხვის დღე და ამაზონების ბრძოლაც მას მხოლოდ იმდენათ აინტერესებს, რამდენადაც ეს სიუჟეტი გაბედული მოძრაობის, მუსკულების თამაშისა და კანის ფერის გამოხატვის შეძლებას იძლევა.

**ჰოლანდიელების ხელოვნების სკულპტორიზაცია ჰოლანდის სკოლა.** ელმა რემბრანდტმა (1606—1669) სხვა გზითა და სხვა მიმართულებით მოახდინა. „ტაძრით მიყვანება“, „რესო ქრისტე ავადმყოფთა შორის“, „გარდამოხსნა“ და სხვა — მისი ჩვეულებრივი სიუჟეტებია; მაგრამ სარწმუნოებრივმა შინაარსმა მისთვის ყოველი თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელოვანი მიმართულების გამოხატვის შეძლებას იძლევა.

ლობა დაპკარგა. რემბრანდტი ნამდვილი ჰოლანდელია და იგი ჰოლანდიის საღა ფერებს, საღა სახეებსა და ნაკვებს არას. დროს არ შორდება და დიატის სარწმუნოებრივ შინაარსაც ამ ჩვეულებრივ ფორმებში ასხამს. რემბრანდტმა მთელი შეკვეთი და ამ შეკვეთის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან ჰოლანდიელების მარტივ ყოფაცხოვრებას შესაბამი და ძლიერი გამოხატულება მოუნახა. სინათლის ლაქებმა, ჩრდილებმა და ნახვარჩრდილებმა საშუალება მისკა რემბრანტს ეს ულამაზო მასალა ახალ და უჩვეულო ფორმებად გარდაეჭმნა.

**ლიტერატურის იტალიაში,** რომელიც დიდხანს უწევდა განვითარება: ხელმძღვანელობას ლიტერატურას, შემო-  
**ა. იტალიაში.** ქმედებამ მოდუნება დაიწყო. ყველაზე უფრო, ხელოვნური ეპოსი ჰყაოდა. ამასთანავე რაინდული რომანიც თითქოს აღორძინების გზას დაადგა; მისი წარმომადგენლები უბრალო გულუბრყვილო მთხრობელებს კი აღარ ჰვანან, რო-  
მელთაც თავგადასავალთა მეტი არაფერი არაინტერესებთ. **არი-**  
**ოსტო** (1474—1533) თავის „შმაგ როლანდში“ მარტო ბრძოლების მარანეს კი არ გადმოგვცემს, არა, მის ნაწარმო-  
ებში ჩვენ ბოკაჩიოსებურ კილოსა და რაინდების თავგადასა-  
ვალთა ირონიას ვხვდებით. **ტასსოზე** (1544—1595) კათო-  
ლიკური სარწმუნოებრივობის აღორძინებამ ძლიერი გავლენა  
მოახდინა. ის არიოსტოზე უფრო სერიოზულია; მის „განთა-  
ვისუფლებულ იერუსალიმს“ სარწმუნოებრივი მიზანი აქვს და-  
სახული: მას ჯვაროსანთა ომების სარწმუნოებრივ სიდიადეზე  
სურს ლაპარაკი.

**ბ. ისპანიაში.** ისპანიის საზოგადოების ზე, ფანატიზმი,  
თავგადასავლებისადმი სიყვარული და გატაცება—გამოხატუ-  
ლია **ლოპე-დე-ვეგას** (1562—1635) უარია დრამებში (მას  
დაწერილი აქვს 1800 საერთ და 400 სასულიერო შინაარსის  
დრომა). მათ შორის არის პიესები, რომელიც მაყურებელზე  
ეხლაც დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგრამ სერვანტესის

„დონ-კიხოტი“, რა თქვა უნდა, სულ სხვაა. ევტორი (1547 — 1616) უილიმე მე-II მეფობის დროს ცხოვრობდა; სწავლობდა სალამანკაში, სადაც დიდ სივიწროვეს განიცდიდა; შემდეგ ჯარში შევიდა, ლეპანტოსთან ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო; ალექსანდრებს ტყვეთ ჩაუვარდა და 5 წელი ტყვეობაში დაჰყო; ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ კიდევ რმობდა პორტუგალიაში, იმის მიუხედავად, რომ ლეპანტოსთან მარცხენა ხელი დაპკარგა; ზაბოლოს ლიტერატორობა დაიწყო. კეთილ-ცხოვრებასა და მყუდროებას მაინც ვერ მიაღწი; ორჯერ საპატიმროშიაც კი იქმნა ჩამული. მისი მთავარი ნაწარმოები „დონ-კიხოტი“ რაინდულ რომანების დაცინვისათვის არის დაწერილი და შიგ ერთი უცნაური კაცის თავგადასავალია აწერილი, რომელიც ურწმუნოების, გმირების და ჯალოსნების წინააღმდეგ საბრძოლველად მიღის. მაგრამ მათ მავიერ ქარის წისქვილებს, მეღუქნებას და დალაქებს გვრძეოს. შთაბეჭდილება მით ძლიერდება, რომ დონ-კიხოტის გერელით მისჩანჩალებს ვირზე გადამჯდარი მისი მხლებელი სანჩი პანსა; ის ყველაზე უფრო თავისი კუჭის გაძლომაზე ზოუნავს, მაგრამ ამავე დროს პრაკტიკული გამჭრიახობითა და ხალხური იუმორით განირჩევა. დონ-კიხოტის ტიპი საერთო-კაციბრიულ ტიპიდ გადაიქცა; იგი ენტუზიასტის ტიპია, რომელიც სინამდვილეს ვერ ხედავს და სავსებით ოცნებათა სამეფოში ცხოვრობს.

გ. საფრანგეთი. რეფორმაციის ხანაში ფრანგების ლიტერატურის უშესანიშნავესი წარმომადგენელი რაბლე (1483 — 1553) იყო. მან აღზრდა მონასტერში მიიღო და სიკვდილამდი ღვდლად იყო. ახალგაზრდობისას ის ბერძნულ ენასა და ძველ მწერლებს სწავლობდა; ორმოცი წლისამ კი მედიცინის შესწავლას გრძელდა ხელი. მისი სახელოვანი თხზულება „გარგანტუა და პანტაგრუელარის“, რომელშიც რაჩლე საფრანგეთის საზოგადოების სხვა და სხვა კლასს, განსაკუთოებით კი ღვთის-მეტყველებს, იურისტებს და ექიმებს დასკრინის. ის არ ფა-

რავს თავის ზიზლს კათოლიკური ბერობისადმი, მაგრამ არც კალვინს აკლებს ხელს. მისი იდეალი თავისუფალი მხიარული ცხოვრებაა, რომელსაც მეცნიერული და ხელოვნური შემოქმედება უნდა ავსებდეს. რაბლე ძლიერო სარკაზმით და დაუშრეტელი ენერგიით იყო დაჯილდოვებული; თავისი ნიჭი მან ჰუმანიზმის პოპულარიზაციას შესწირა და ამიტომ მისი მოთხოვნები ასკეტიზმისა და მისტიკიზმის წინააღმდევ მიმართული აზრების პოპულარულ გამოხატვას წარმოადგენს.

**დ. ინგლისი.** ამ ხანის უუდიდესი მგოსანი ინგლისის ეკუთვნის. შექსპირი (1564—1616) მსახიობად, თეატრის პატრონად და დრამატიულ მწერლად იყო ლონდონში, ელისაბედისადა მისი მექვიდრის იაკობ I დროს იგი ტრაგედიებს, კომედიებს, ისტორიულ ქრონიკებსა და ფანტასტიურ პიესებს სწერდა. სარწმუნოებრივი კალმხრივობა იმდენად უცხო იყო შექსპირისათვის, რომ მისი ნაწერების მიხედვით ვერც კი მიხვდები, კათოლიკე იყო იგი თუ პროტესტანტი. ამიტომაც ის კომენტატორებს შორის დავა ამ საკითხის შესახებ დღვესაც არ დასრულებულა. საგულისხმოა, რომ შექსპირი იმდენად თავისუფალი იყო თავის შემოქმედებაში, რომ მას არც წარმართობის ჰუმანიზმის გავლენა ატყვის და არც კათოლიკური ეკლესიის. ღრმა პატრიოტიზმი, რომელიც მისი ქრონიკებიდან ცხადად გამოსჭივის (მაგალ. მეფე იოანე, ჰენრი IV, ჰენრი V, რიჩარდ III) მას სრულიად ხელს არ უშლის და, უცხო მწერლობას გასცნობოდა და კიდეც ესარგებლნა მით; იგი კარგად იცნობდა ფრანგულსა და იტალიანურ მოთხოვნებს, პომიროსს, ლივიუსს, პლუტარქს და სიამოვნებით სესხულობდა მათან სიუჟეტებს. მისი ნაწერების ენაზე, კომედიებში მაინც, განსაკუთრებული გავლენა იტალიანურმა მანერამ—მისმა ორაზროვანი სიტყვების სიყვარულშა და რამდენადმე ძალდატანებითი ოხუჯობამ იქონია. მას სიმარტივე და სადაობაც აკლდა, რასაც შექსპირი თვითონაც გრძნობ-

და. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს მისი ზოგიერთი ნაკლი, განათლებული მსოფლიოს სამსჯავრომ შექსპირი მაინც ყველა დროის უუდიდეს დრამატურგად სცნო. მისი კომედიები, რომელთაგანაც საუკეთესო „მეთორმეტე ღამე“ არის, კაცს იტაცებს თავისი ცოცხალი სიმბიარულით, ფანტასტიური პიესები (ძილი ზაფხულის ღმეში, ქარიშხალი) მკითხველს უჯადოვებს მსუბუქი სახეებით, არ იგინალური განზრახვებით და ენით. მაგრამ შექსპირის უმთავრეს დადებით მხარეს დახასიათების ძლიერება და გრძნობების გამოხატვის ძალა შეადგენს. ვეგა და კალდერონი იცნობდენ ისპანიის საზოგადოებას და ამ ცოდნის დახმარებით ჰხატავდენ ადამიანის ბუნების თვისებებს; მაგრამ შექსპირის მსოფლმხედველობა გაცილებით უფრო ფართო იყო: მას პყავს ტიპიური ინგლისელები — მაგალითად, ფალსტაფი, ჰენრის მე-V — მაგრამ საზოგადო კაცობრიული ხაზები ასეთ ტიპებშიც ნათლად სჩანს. მის ნაწარმოებთა უმეტესი ნაწილი კი მუდამ ერთის რომელიმე ეროვნების საზღვრებს სცილდება და ადამიანის ბუნების მრავალგვარ სხვაობას გამოხატავს; ოტელო და შაილოკი, ლირი და ჰამლეტი, ანტონიუს და რომელ, დეზდემონა და ლედა მაკბეტი, ოფელია და ჯულიტა შეუდარებელი მხატვრული სისწორით არიან შექმნილნი. შექსპირის განსაკუთრებული თვისება სხვათა შორის ისიც არის, რომ არავის არ ემარჯვება მოქმედების ისე „განვითარება“, როგორც მას; ერთხელ დაწყებული ბრძოლა ან გარეშე პირობების ან საკუთარი ბუნების წინააღმდეგ მის პიესებში ულმობელი თანდათანობით ვითარდება და თავის ლოლიკურ შედეგს აღწევს; ძალდატანებას და სიყალდეს იქ ადგილი არა აქვს; და ამ ულმობელი ბრძოლის დროს, განსაკუთრებით მთავარი გმირების სახით, შექსპირი შეუდარებელი ნიჭით ხდის ფარდას ყველა იმ მარადიულ მისწრაფებას, რომელიც კაცობრიობას ახასიათებს.

**ფილოსოფია.** ახალ ხანას თავისი გამოხატულება ფილოსოფიურ აზროვნებაშიც უნდა ეპოვა. საშვალო საუკუნეების განმავლობაში ფილოსოფიაშიც ავტორიტეტი იყო გამეფებული: საღვთო წერილი და ძველი ფილოსოფოსები: პლატონი და არისტოტელი მაშინ უმაღლეს ავტორიტეტს წარმოადგენდენ. ახალი ხანის აზროვნება უთუოდ უნდა განთავისუფლებულიყო ამათი ბატონობისაგან, და პირველი ინგლისელი ფილოსოფოსი **ფრენსის ბეკონი** იყო (1561—1626), რომელმაც ფილოსოფიური აზროვნების დამოუკიდებლობის შესახებ აიმაღლა ხმა. მისი აზრით, ადამიანი ყველა იმ კერპისაგან (*idola*) უნდა განთავისუფლდეს, რომელსაც მისი აზროვნება ემსახურება, რა საკუთარ ფეხზე დადგეს. ადამიანის აზროვნებამ პირდაპირ უნდა მიმართოს სინამდვილეს და შეისწავლოს იგი. ჭეშმარიტების პოვნა მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი. ამგვარად, ბეკონისათვის სინამდვილის დაკვირვება ერთადერთი საშვალებაა ჭეშმარიტების შესამეცნებლად. ასეთ შეხედულებას ფილოსოფიაში ემპირიზმს უწოდებენ, და ბეკონიც ამ უკანასკნელის დამაარსებლად უნდა ჩაითვალოს. მან ახალი პრინციპის მიხედვით ადამიანის მთელი შემცნების ენციკლოპედიის შედეგია განიზრახა (*Instauratio magna*), მაგრამ თავისი გეგმის განხორციელება სავსებით ვერ მოასწრო. ხოლო რაც მოასწრო, ისიც სამარისი შეიქმნა მისთვის, რომ ფილოსოფიური აზროვნების განვითარების პროცესში საგრძნობი კვალი დაეტოვებია.

**მეცნიერება.** ბეკონის ფილოსოფიური მიმართულება სავსებით შეეფერებოდა იმ მეცნიერულ მოძრაობას, რომელმაც სქოლასტიკის დაცემისთანავე იჩინა თავი. ახალი მკვლევარნი თავს თავისუფლად გრძნობენ, ჭეშმარიტებას ახალი წესებითა და დაკვირვების საშვალებით ეძიებენ და შედიცინისა და ვარსკვლავთმრიცხველობრივ საკითხების გადაჭრას მისტიური ხასიათის მოსაზრებებიდან არ ელიან. ახალი ქვეყნებისა და ზღვების აღმოჩენამ, ქვეყნის გარშემო მოგზაურობამ, გარ-

სკვლავთმრიცხველობის, ფიზიკის, ძოლოგიისა და ეთნოგრაფიის ახალი ფაკტების გამოკვლევაშ დიდად შეუწყო ხელი მეცნიერულ მოძრაობას. ამ მოძრაობას **ნიკოლოზ კოპერნიკი** (1473—1543) იწყებს, რომელსაც ერთი მისი მიმდევართა-განი animo liber-ს — სულით თავისუფალს — უწოდებს. ის პოლონურ პრუსიაში საკრებულო ტაძრის მღვდლად (კანონიკად) იყო და მთელი თავისი სიცოცხლე თავის თხზულებას („მა-თობთა მოძრაობისთვის“) შეალია. მან პტოლომეოს საყ-ველთაოდ მიღებული სისტემა უარყო, რომლის მიხედვითაც მიწა ცენტრს უნდა წარმოადგენდეს და მის გარშემო შეიძლ პლანეტი და მათ რიცხვში მზეც უნდა გრუნავდეს. ავტორმა თავისი თხზულება პაპს უძღვნა, მაგრამ რომის ეკლესია კიდევ დიდხანს გმობდა ახალ თეორიის. პლანეტების მოძრაობა ელი-ფსისებით, და არა წრეებით, როგორც კოპერნიკი ფიქრობდა, ვურტემბერგელმა **კეპლერმა** (1571—1630) აღმოაჩინა; ის იმპერატორ რუდოლფის კარის ვარსკვლივ ცირკულაცია იტალიელმა **გალილეიმ** (1564—1642) აღმოჩენების მთელი რიგი მოახდინა. ფიზიკაში, მექანიკაში და ვარსკვლავთმრი-ცხველობაში — გაარკვია შვეიცარიის ქანაობისა და საგნების და-ცემის კანონები, აღმოაჩინა ჰიდრავლიული მანქანა, გამოიკვლია მოვარე, ასპირინი (ვენერა), მარსი და სატურნი. სიცოცხლის უკანასკნელ დროს მას გრალი და დევეს კოპერნიკის სისტემის დაცვაში, რომელიც, თითქოს, დაბადების ავტორიტეტს ძირს უთხრიდა. პაპმა იგი საინკვიზიციო სასამართლოში გაიწევა და დროებით აიძულა თავისი „შეცირომები“ უარეყო.

მეორე სწავლული, რომელმაც ინკვიზიციისაგან დევნა გა-ნიცადა, კარლოს მე-IV და ფილიპე მე-II სამეფო კარის ექიმი გეზალი იყო. იმის დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ ანატომიას აწავლიდა, და ამ საგნის სახელმძღვანელო და-ბეჭდა. მას საკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, შემდევ სასჯე-ლი აპატივეს, მაგრამ აღთქმა დაადებინეს, რომ წმიდა ქვეყა-ნაში სალოცავად წავიდოდა; იქიდან დაბრუნებისას ვეზალი

დაიღუპა. მე-XVII საუკუნეში ინგლისელმა ექიმმა ჰარვეიმ (1578—1657) ადამიანის ტანზი სისხლის მიმოქცევა აღმოაჩინა და ამით ახალ ფიზიოლოგიას დასაწყისი მისცა.

### ნაწილი მე-III.

პ ვ ე ლ ი ჭ უ რ ბ ი ლ ე ბ ა.

.თავი I.

ი ნ გ ლ ი ს ი ს.

**სტუარტები.** ინგლისის მეფე ელისაბედი 1603 წელს გარდაიცვალა. მისი კანონიერი მემკვიდრეთ შოტლანდიის მეფე, მარიამ სტუარტის შვილი იაკობი ითვლებოდა. იგი ძალიან მცირე ნიჭის პატრონი იყო, თუმცა თავის თავს „სამეფო საქმის“ მცოდნეთ სთვლიდა; იაკობი, რომელიც ინგლისის ტახტზე იაკობ I სახელით ავიდა, მეფის უაღრეს-უფლებიანობაზე ამყარებდა მთელ მართვაგამგეობას. ჰენრიხ მე-VIII და ელისაბედი სახელმწიფოს თავის ნებაზე მართვდენ და ქვეშევრდომოთ ხშირად თავის ძლევამოსილებას აკრძნობინებდენ ხოლმე. მაგრამ ჰენრიხ მე-VIII და ელისაბედი დიად ეროვნულ პოლიტიკის აწარმოებდენ, და ამიტომ პოპულიარობით სარგებლობდენ; იაკობ I კი ვერ შეეგუა თავის ახალ ქვეშევრდომებს და მთელი თავისი მეფობის განმავლობაში შეცდომებს უშვებდა როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაშიც. პარლამენტი, რომელიც ჰენრიხ მე-VIII და ელისაბედის დროს მთავრობას უჭერდა მხარს, იაკობ I-ს თავიდანვე ოპოზიციაში ჩაუდგა. თუმცა თემთა პალატაში მემამულები და ვაჭრები მონაწილეობდენ, მაგრამ იგინი ინგლისის მთელ ხალხს და არა წოდებებს წარმოადგენდენ. არჩევნების უფლებით მხოლოდ შეძლებულები, მიწისა და სახლის მესაკუთრენი და მოიჯარადენი სარგებლობდენ. მაგრამ ამგვარი ხალხი თვალსაჩინო რიცხვს შეაღვენდა, და ამიტომ მისი ხმა ქვეყნის საზოგადო აზრს გამოხატავდა.

იაკობ I-მა ინგლისში მოსვლისათანავე უკმაყოფილება გა-  
მოიწვია. სამღვდელოებამ, რომელიც პურიტანიზმისადმი იჩენ-  
და მიღრეკილებას, განცხადება მიართვა მეფეს და სოხოვა,  
ნება დაერთო მისთვის ჩვეულებრივ ტანსაცმელში ღმერთმა-  
სურება შეესრულებია — საკულესიო შესამოსს პურიტანები  
კათოლიკობის ნაშთად თვლიდენ. იაკობმა პურიტანებსა და  
ეპისკოპოსებს შორის კამათი გამართა, მაგრამ თვითონ ჩაერთა  
საქმეში, სასტიკათ დაპგმო პურიტანიზმი და განაცხადა, რომ  
იგი ყოველი ღონისძიებით დაეხმარებოდა ანგლიკანიზმს, რად-  
განაც „არ არსებობს მეფე უეპისკოპოსებოთ“ -ო, ამბობდა  
იგი. ბევრი პასტორი სამსახურიდან ქმნა დათხოვნილი. ამავე დროს  
კათოლიკების დევნა სწარმოებდა; კათოლიკეთა შორის აღრევე  
იყო დაარსებული პარტია, რომელიც ინგლისის მთელს სახელ-  
მწიფოებრივ წყობილებას ზიზღით შეჰყურებდა. ამ თავზე ხელ-  
ალებულმა ხალხმა მეფისა და პარლამენტის აფეთქება გადა-  
სწყვიტა. ლორდების პალატის ქვეშ სარდაფში ასაფეთქებლით  
წამლით სავსე კასრები ჩაწყვეს. მაგრამ შეთქმულება დაიწინუ-  
ლი დროის წინადღით აღმოაჩინეს და პარლამენტი გადაარჩინეს.

ხალხი და პარლამენტი კათოლიკებისადმი მტრულად იყვ-  
ნენ განწყობილნი, ხოლო „თოვლის წამლის“ შეთქმულებამ  
კიდევ უფრო გაბრაზა ისინი. სამაგიეროდ, პურიტანებს თანა-  
უგრძნობდენ, და მეფის სიმკაცრე არ მოსწონდათ. მეფეს კი  
ძალიან ესაჭიროებოდა პარლამენტი. როგორც ინგლისის სა-  
მფლობელოებში, ისე მთელს ევროპაშიც ისეთ შემთხვევებს  
ქონდათ აღვილი, რომ მეფე გულგრილ მეთვალყურეთ ვერ  
დარჩებოდა. იგი საქმეში უნდა ჩარეულიყო; ამისთვის კი ფუ-  
ლი იყო საჭირო. ირლანდიაში აჯანყება მოხდა; იაკობ პირ-  
ველმა იგი იარაღით ჩააჭრო, და იმის შემდეგ ამ მხარეში ახალ-  
შენების მოწყობას შეუდგა — უამრავი ინგლისელი გადასიხლდა  
ირლანდიაში და ჩამორთმეულ მიწებზე მოეწყო. მაგრამ მათ-  
თვის მარტო ეს არ იყო საკმარისი; მათ დაცვა და დახმარე-  
ბის აღმოჩენა ესაჭიროებოდათ. მატერიკზე ფილიპე მე-II-სა და

ნიდერლანდებს შორის ომი განახლდა; იწყებოდა 30-წლიანი ომიც, რომლითაც დაინტერესებული იყო იაკობ I, რაღანაც მისი ქალი ფრიდრიხს ფალცელს ჰყავდა ცოლად. პარლამენტი აღზენებული იყო მამული შვილური გრძნობით და მზად იყო ისპანელი და გერმანელი პაბსურგების წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო ფული გაეღო. მაგრამ საქმე თვით მეფემ წაახლინა: მისი მეგობრული განწყობილება ისპანიასთან, რომლის მეფის ქალზეც მას თავისი ვაჟის დაქორწინება უნდოდა, ალ-შუოთებას იწვევდა. მართალია იგი ბოლოს მაინც გერმანიის საწინააღმდეგო ომში ჩაება, მაგრამ საქმე ისე უხეიროდ მიყვდა, რომ პარლამენტი დახმარების მაგიერ, მეფის ადმინისტრაციის კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდა, მეფესთან დაახლოებულ პირების ანგარებას ააშკარავებდა და პურიტანებს უკერდა მხარს. მეფე არავითარ ანგარიშს არ უწევდა პარლამენტს და როგორც კი დარწმუნდებოდა მის აჩალოიალობაში, იმ წამსვე ითხოვდა და ახალს იწვევდა. მაგრამ მეტ ლოიალობას არც ახალი პარლამენტი იჩენდა. რომ არაფერი გამოვიდა, მეფემ პარლამენტის უფლებების შესახებ განაცხადა, რომ ყოფილი უფლება მას მეფისაგან აქვს ბოძებული და მაშასადამე შეიძლება მეფემ კიდევ წაართვას მას ეს უფლებებით.

**კარლოს I-ს თავისი მამის პოლიტიკა სავსებით შეთვისებული ჰქონდა, მაგრამ მას ცხოვრებაში მამაზე უფრო ჭკვიანიდა და მოხერხებულად ატარებდა. ფრანგების წინააღმდეგ ომი დიდ ფულს მოითხოვდა, და კარლოსმაც გადასწყიტა პარლამენტისაგან გამოეთხოვა იგი. თემთა პალატა თანახმი იყო ფულის მიცემაზე, მაგრამ ბოროტმოქმედებათა მოსპობას მოითხოვდა. მან მეფეს წარუდგინა ე. წ. „პეტიცია უფლებათა შესახებ“ (1628), სადაც ინგლისელების პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები იყო ჩამოთვლილი: გადასახდების გაწერა და ვალის აღება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით შეიძლებოდა; მოქალაქის შეკურობა და საპატიოროში ჩასმა აკრძალული იყო, თუ სასამართლოს წინაშე გა-**

რკვეული ბრალდება არ იქნებოდა წამოყენებული. მეფემ პეტრიცია დაამტკიცა, მაგრამ უთანხმოება პარლამენტითან მაინც მოუხდა და კიდევაც დაითხოვა იგი (1629), ხოლო ოპოზიციის ბელადები ციხეში ჩასმევინა.

ამას შემდეგ კარლოს I შეეცადა სახელმწიფო უპარლამენტოდ ემართნა. მთავარი დაბრკოლება იმაში მდგომარეობდა, რომ მისი მუდმივი შემოსავალი ძალიან მცირე იყო: აღმის, ფლოტის, აღმინისტრაციისა და სასახლის შესანახავად ახალი გადასახადების შემოლება შეიქმნა საჭირო, რაც პარლამენტის კომპეტენციას შეადგენდა. კარლოსს არ სურდა ამ კანონის დარღვევა, და ამიტომ მისი გვერდის ახვევას სცდილობდა. მან ორ მთავარ საშვალებას მიმართა და ამ გზით იმდენ ფულს შოულობდა, რომ ოერთმეტი წლის განმავლობაში უპარლამენტოდ შესძლო გაძლება. აი ეს ორი საშვალებაც: კანონი ბაჟების შესახებ იმდენად ბუნდოვანად იყო გამოთქმული, რომ კარლოსმა იგი თავის სასარგებლოდ განხარტა და მისი უპარლამენტოდ შეკრება ბრძანა. გარდა ამისა საშვალო საუკუნოებში თითოეულ საგრაფოს ინგლისის ფლოტა-სათვის გემი უნდა მოეწყო. კარლოსმა ეს ძევლი წესი განა-ახლა და საგრაფოებს გემის მაგიერ ფულს ახდევინებდა და ამ სახით საკმაო თანხას აგროვებდა. ეს ე. წ. „საგემო გადახა-ხადი“ ხალხში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ამ მხრივ დამა-ხასიათებელია ცნობილი გემპდენის პროცესი, რომელსაც 20 შილინგი საგემო გადასახადი უნდა შეეტანა, მაგრამ არ შეეტანა. თუმცა სასამართლომ გემპდენი გაამართოა, მაგრამ სა-ზოგადო აზრი აშკარად მის მხარეზე იყო: უკმაყოფილოთა წინააღმდეგ, რომლებიც ძალიან გაბედულად ილაშქრებდენ მთავრობის ან სამღვდელოების საწინააღმდეგოდ, საიდუმლო საბჭოს კომისია, ეგრედ წოდებული გარსკვლავების პალა-ტა მოქმედებდა, რომელიც დამნაშავეთა წინააღმდეგ სასტიკზომებს იღებდა.

ერთი მიზანთაგანი მეფისა მისი თერთმეტი წლის მარ-თველობის დროს კალვინისტური მოძრაობის ჩაქრობა იყო,

რომელიც ინგლისში შეუჩერებლივ ვრცელდებოდა. მეფეს  
კალვინისტები ეზიზლებოდა, როგორც სახელმწიფო ეკლესიის  
მტრები. სახელმწიფო ეკლესიას კი იგი არსებული სახელმწი-  
ფოებრივი წყობილების ქვაკუთხედად სთვლიდა, და მისი დამარ-  
ცხება ამ უკანასკნელის დამარცხებას მოასწავებდა. ის მფარვე-  
ლობას უწევდა სამღვდელოების იმ პარტიას, რომელიც კა-  
თოლიკობისაკენ იხრებოდა, მაგრამ პაპის წინააღმდეგი იყო და  
კენტერბერის არქიეპისკოპოსმა თავის ხელშვეით პასტორებს  
იმ საეკლესიო ჩვეულებების ასრულება მოსთხოვა, რომელიც  
პურიტანები კათოლიკობის ნაშთად სთვლიდენ. ამის გამო  
ბევრმა პასტორმა სამსახური დაკარგა; თავგადადებულ კალ-  
ვინისტებს, რომლებიც საეპისკოპოსო ეკლესიის წინააღმდეგ  
სწერდენ, უმაღლესი კომისიის ან გარსკვლავების პალატის  
სამართალში აძლევდენ, რაც ჩვეულებრივად უურების დაჭრით,  
სამარცხვინო ბოძზე გაკვრითა და საპატიმროში ჩასმით თავ-  
დებოდა.

### ხანგრძლივი

მეფის პირადი მართველობის გაგრძელება

### პარლამენტი.

მანამდე იყო შესაძლო, სანამ სახელმწი-  
ფო ჩვეულებრივ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ სავაო  
იყო ცოტაოდენი გართულება საშინაო ან საგარეო მდგომა-  
რეობისა, რომ საფინანსო კრიზის თავი ეჩინა და, მაშასადამე,  
ხალხის დახმარებაც საჭირო აღმოჩენილიყო. გაჭირვებამ ჩქარა  
წამოჰყო თავი. იაკობი და კარლოსი კალვინიზმის არა მარტო  
ინგლისში ებრძოდენ, არამედ შოტლანდიაშიაც, სადაც პრეს-  
ბიტერიანული ეკლესია იყო გაბატონებული. იაკობ I იქ ეპის-  
კოპოსობა აღადგინა, ხოლო კარლოსმა შოტლანდიისათვის  
ინგლისურის მიხედვით ახალი ღმერთმსახურების შემოღება  
გრძანა. მაგრამ სკადეს თუ არა ამ ახალი ღმერთმსახურების  
შემოღება ედინბურგში ჯანყებამ ითვარება. თავისი ეკლესიის  
დასაცავადა და შესანახად შოტლანდელებმა კავშირი შექრეს  
და, როდესაც სადაო საკითხების გადასაჭრელად მეფემ სასუ-  
ლიერო და საერო პირებისაგან შემდგარი კრება მოიწვია, ამ

კრებამ ეპისკოპოსის ხარისხი მოსპო და, მეფის პრემიერის მი-  
უხელავად, დაშლაზე უარი განაცხადა. მეფემ აჯანყებულების  
წინააღმდეგ ინგლისიდან ჯარი გაგზავნა; მაგრამ მას ფული  
არ ჰქონდა; ამტომ ჯარისკაცები ბანაკიდან გარბოდენ და  
ამგლიკანურ ჩვეულებებს დასტინოდენ; ცხადი იყო, რომ მათ  
ბრძოლა არ სურდათ; შოტლანდიელებმა ერთი რაზმი კიდევ  
დაამარცხეს. კარლოსის ენერგიული მომხრევები პარლამენტის  
მოწვევას ითხოვდენ, და მანაც გადასწყვიტა მათ რჩევას და-  
მორჩილებოდა. 1640 წელს ერთი მეორის შემდეგ ორი პარ-  
ლამენტი იქმნა მოწვევლი. მეორე პარლამენტი, რომელიც  
„ხანგრძლივი პარლამენტის“ სახელით არის ცნობილი, მე-  
ფის მთავრობას მკაცრი ბრძოლა გამოუტადა. პირველ ყოვ-  
ლისა პარლამენტი სისხლის სამართლში მისცა ირლანდიის  
მეფის ნაცვალი ლორდი სტაფფორდი, რომელსაც ბრალს  
იმაში სდებდენ, რომ იგი ინგლისელების დასამონავებლად  
ჯარს ამზადებდა. სასამართლოს წესით ბრალდებების დატკი-  
ცებაშვერძლებელი იყო, ამიტომ საქმეს სხვა მხრივ შემოუტარეს:  
იგი მოღალატედ გამოაცხადეს და მიზანსაც მიახწიეს. კარლოს-  
მა სისუსტე გამოიჩინა, თავის თანაშემწეს გადაუდგა, და სტაფ-  
ფორდსაც თავი მოჰკვეთეს.

ამის შემდეგ პარლამენტი დადგენილება გამოიტანა, რომ-  
ლის მიხედვითაც მისი დათხოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში  
შეიძლებოდა, თუ ეს მისი ნებართვით მოხდებოდა. მან მოსპო  
უმაღლესი კომისია და ვირსკვლავების პალატა; საბაჟო და  
საგემო გიდასახადები უკანონოდ იქმნა გამოცხადებული. ამ  
საკითხების შესახებ პარლამენტში მსჯელობა ერთსულოვნოւ-  
ბით სწარმოებდა, მაგრამ შეუდგა თუ არა პარლამენტი სარ-  
წმუნოებრივი საკითხების გარჩევას, იგი მყის პარტიებათ დაი-  
ყო. პარლამენტის უმრავლესობა პურიტანიზმის წინააღმდეგი  
იყო. ამ უმრავლესობამ არა მარტო ეპისკოპოსების განდევნა  
მოითხოვა ლორდთა პალატედან, არამედ მათი ხარისხის სრუ-  
ლი მოსპობაც კი საჭიროდ სცნო. მაგრამ ამ წინადაღებების

წინააღმდეგ ძლიერი ოპოზიცია შესდგა იმ პირთავან, რომელ-  
თაც პრესბიტერიანული ეკლესიის მკაცრი გაბატონების მით  
უფრო ეშინოდათ, რომ, მათი აზრით, ეს საზოგადო რღვევას  
გამოიწვევდა. ბრძოლას ირლანდიიდან მოსული ცუდი ამბები  
კიდევ უფრო ამწვავებდა. ირლანდიაში გადასახლებული ინგლი-  
სელების წინააღმდეგ შეუბრალებელ ბრძოლას აწარმოებდენ.  
საჭირო იყო საჩქარო ზომების მიღება, მაგრამ პარლამენტი  
მეფის ხელმძღვანელობით ჯარის გაგზავნაზე არ სთანხმდებო-  
და, რადგანაც მეფეს ამ ჯარის გამოყენება ინგლისელ მტრე-  
ბის წინააღმდეგ შეეძლო. პიმისა და გემპლენის მეთაურობით  
თემთა პალატამ მოითხოვა, რომ მინისტრები პარლამენტის  
წინაშე ყოფილიყვნენ პასუხისმგებელნი და ხოლო სადათ საე-  
კლესიო საკითხები პარლამენტის მიერ დანიშნულ კომისიის  
გადასცემოდა. მეფე ცხადად ხედავდა, რომ პარლამენტი უზე-  
ნაერი უფლებისაკენ მიასწრაფოდა, რა თქმა უნდა, მას მკა-  
ცრი წინააღმდეგობა გაუწია.

გაბრაზებულმა მეფემ პიმის, გემპლენისა და კიდევ პარ-  
ლამენტის სამი სხვა წევრის წინააღმდეგ ბრალდება წამოაყენა,  
თითქოს იგინი ინგლისში შოტლანდიის ჯარს იწვევდენ. მეფე  
ბრალდებულთა წინააღმდეგ პირადად გამოცხადდა პარლამენტში  
შეიარაღებული რაზმით, და თუმცა დეპუტატების დაპატიმ-  
რება პარლამენტის ნებადაურთველად არ შეიძლებოდა, იგინი  
მაინც გაფრთხილებულნი იყვნენ, და, იმ დროს, როდესაც  
მეფე მათ შესაბყრობად მივიდა, პარლამენტში არ აღმოჩენ. მეფემ  
დასტოვა პარლამენტი, რომელმაც ის ყვირილით გაა-  
ცილა. ლონდონის თანაგრძნობა სავსებით პარლამენტის ხუთი  
წევრის მხარეზე იყო. ამ პირობებში მეფე იძულებული შეი-  
ქმნა ქალაქი დაეტოვებია და ჯარის მოსაკრებად ჩრდილოე-  
თისაკენ წასულიყო.

**სამოქალაქო** როდესაც საქმე ამ უკიდურესობამდი მი-  
ომი. ვიდა, ინგლისელი ხალხის თვალსაჩინო  
ნაწილმა მეფეს დაუკირა მხარი. ჩრდილოეთისა და დასავლე-

თის საგრაფოები მის მხარეზე იყვნენ, ხოლო აღმოსავლეთისა და სამხრეთის — პარლამენტის მხარეზე. მის მომხრეებს, რომელთა შორისაც ბევრი წარჩინებული შთამომავლობის მემამულე იყო, კაგალრები უწოდეს. პარლამენტის არმიაში კი მოქალაქენი და პურიტანები ჭარბობდენ. მათ თავმრგვალები ეწოდებოდა, რადგანაც იგინი თავს წმინდად იკრეპდენ. პირველი ორი წლის განმავლობაში ომს გადამწყვეტი შედევები არ მოჰყოლია, მაგრამ საერთოდ იგი მეფის სასაჩვებლოდ სწარმოებდა, რადგანაც მისი მომხრე კავალრები მოწინააღმდეგებზე უფრო მამაკანი იყვნენ და იარაღსაც უკეთ ხმარობდენ. პიმის წინა-დაღებით, პარლამენტმა დასახმარებლად შოტლანდიელები მოიწვია, რომელთაც ინგლისში პრესბიტერიანული ეკლესიის შემოღება აღუთქვა. სამაგიეროდ კარლოსი იმავე შოტლანდიის კათოლიკებს მოელაპარაკა და მათგან დახმარება მიიღო.

საქმე ნელის ნაბიჯით მიღიოდა წინ, სანამ პარლამენტის არმიაში ზომიერი ანგლიკანებისა და პრესბიტერიანების ადგილი სარწმუნოებრივმა ფანატიკოსებმა არ დაიკავეს. ინგლისში, განსაკუთრებით მდაბიო ხალხში, ძალიან ბევრი მწვალებელი იყო — ე. წ. ანაბაბტისტები, ქილიასტები, რომელთაც ქრისტეს სამეფოს ამ სოფლად 1000 წლით დამყარება სწამდათ და სხვა. ესენი არც ერთ ეკლესიას არ ეკუთვნოდენ და ამიტომ ყოველი თემისთვის სარწმუნოებრივი საქმეების დამოუკიდებლად მოწყობის უფლებებს მოითხოვდნენ. ასე წარმოიშვა „ინდეპენდენტების“ პარტია; ეს პარტია პირველ ხანებში პარლამენტში მხოლოდ ხუთი ხმით იყო წარმოდგენილი, მაგრამ ნამდვილი ძალა მას ჯარში ჰყავდა. აქ მათი ხელმძღვანელი ვინმე ოლივერ კრომველი იყო. კრომველი წვრილი მემამულე იყო. სამოქალაქო ომის დაწყებისათანავე მან ის აზრი გამოსთქვა, რომ კავალრების ძალა მათ რაინდულ პატიოსნებაში მდგომარეობდა, და თუ ვისმე მათი დამარცხება სურდა, თვითონაც ამგვარივე ძლიერის გრძნობით უნდა გამსჭვალულიყო; ასეთ გრძნობას სარწმუნოებრივი გატაცება იძლეოდა. აღმოსავლეთის საგრაფოებში კრომველმა სექტანტებისაგან ცხე-

ნოსანი რაზმი შეადგინა, რომელმაც შემდევში თავისი გამბეჭდაობით თავი ისახელა; ამ რაზმის მეომრები ბრძოლაში ისე მიღიოდენ, როგორც წმიდა საქმის გასაკეთებლად; სიკვდილის შიში მათთვის უცხო იყო. „კრომველის წმიდანების“ გმირობის გავლენა ისე დიდი იყო, რომ თანდათანობით პარლამენტის მთელი ლაშქარი სრულიად გარდაიქმნა. ასეთ ჯარს კარლოსმა ვეღარ გაუძლო და შოტლანდის შეაფარა თავი. მაგრამ შოტლანდიაში ივი შეიპყრეს და ინგლისელებს გადასცეს.

პარლამენტს ინდეპენდენტურად განწყობილი ჯარის შიში ჰქონდა და მისმა უმრავლესობამ მეფესთან მოლაპარაკება გამართა: პარლამენტი თანხმა იყო მეფის ძალაუფლების აღდგენაზე, თუ მთავარ სარწმუნოებად პრესბიტერიანობა იქნებოდა აღსარებული. ჯარი, რომელიც იმითაც უკამაყოფილო იყო, რომ მას პარლამენტმა ჯამავირი არ მისცა, ამის წინააღმდეგ წავიდა და სარწმუნოების სრული თავისუფლება მოითხოვა. ამის შედეგი ის იყო, რომ ახალი სამოქალაქო ომი დაიწყო.

პარლამენტს არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად საქმაო ძალა არ ჰქონდა. ლონდონის მოქალაქენი და სამხრეთი საგრაფოების გლეხობა კრომველის ჯარს ვერ გაუშვლავდებოდა. თუმცა მეფემ შოტლანდიელები ინგლისში ჯარის გამოვზავნაზე დაითანხმა, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა. სულ რამდენიმე კვირაში გათავდა მეორე სამოქალაქო ომი — არმიამ დაიკავა ლონდონი, გამოანტა სამხრეთის საგრაფოების ლაშქარი, სასტიკად დამარცხა შოტლანდიელები და ბოლოს პარლამენტსა და მეფესაც გაუსწორდა. ჯარის კაცებმა პარლამენტი გასწმინდეს, ე. ი. პრესბიტერიანების უმრავლესობა განდევნეს, თემთა პალატაში დარჩენილმა ინდეპენდენტებმა მეფეს ლალატა დაბრძოლეს და მისი გასამართლება მოითხოვეს. ლორდების პალატამ ამგვარ პროცესში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა. ამიტომ ლორდების პალატა მოსპეს და მეფის საქმის გასარჩევად ახალი სასამართლო მოაწყვეს. თუმცა

კარლოსმა თავიდანვე განაცხადა, რომ მის ქვეშევრდომებს მისი გასამართლების უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ პროცესი მარც აჩქარებულის ტემპით დაასრულეს და მეფეს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. 1649 წლის დასაწყისში მეფე კარლოსი მისივე სასახლის წინ სიკვდილით ოქმნა დასჯილი.

**რესპუბლიკა.** ბატონობა ხელში არმიასა და 1640 წელს არჩეული თემთა პალატის ნაწილს ჩაუვარდა. ამ პალატამ თავისი თავი პარლამენტად გამოაკხადა, ხოლო სახელმწიფო რესპუბლიკად და მიმდინარე საქმეების გაძლიერება (იღმასირულებელი უფლება) სახელმწიფო საბჭოს მიანდო, რომლის წევრთა ნაწილიც მისი წრიდანვე იყო დასახელებული. პირველ ხანებში არმია საწინააღმდეგოს არაფერს ამბობდა, რაღაც განაც მას საკუთარი საქმეც ბევრი ჰქონდა. კრომველი ირლანდიაში გადავიდა და იქ კელტებს და როიალისტებს მკაცრად გაუსწორდა; მოწინააღმდეგეთა შიმართ შებრალება მან არ იცოდა: ხოცვა-ულეტას თან მოჰყვა კონფისკაციები, და მემბრულებს ირლანდიის მთელი მიწის ნახვარზე მეტი ჩამოართვეს, მაგრამ ამ დროს შოტლანდიიში კარლოს I შვილი კარლოს სტუარტი გაჩნდა, რომელიც ადგილობრივმა პარლამენტმა შოტლანდიის მეფედ გამოაცხადა. კრომველმა ერთ-ხელ კიდევ დაამარცხა შოტლანდიელები, რომელ ნიც ახლა აჯანყების მოსაწყიბად ინგლისისაკენ წავიდენ, მაგრამ კრომველი წამოეწია მათ და საბოლოოდ გაანადგურა იგინი. ამის თან მოჰყვა პოლანდიელების წინააღმდეგ შეუბოგარი ოშის დაწყება. ამრს მიზეზად პარლამენტის მიერ გამოცემული „ნავიგაციის აკტი“ შეიქმნა. ამ აკტის ძალით ინგლისის ნავთ-სადგურებში საქონლის შემოტანა ან ინგლისისავე გემებით და ან იმ ქვეყნის გემებით შეიძლებოდა, საიდინაც საქონელა გამოქვნდათ. ეს აკტი პოლანდიის ზღვაოსნობის წინააღმდეგ იყო მიმართული; რაკი სხვისი საქონლის გადაზიდ-გადმოზიდვას ევროპიდან და ახალშენებიდან პოლანდია აწარმოებდა, მაშესადამე, ინგლისი, როგორც საზღვაო სახელმწიფო პოლან-

ჯის შინააღმდეგ გამოდიოდა; ორივე მხარე სახელოვნად იბრძოდა, მაგრამ ომს გადამწყვერი შედეგი მანც არ მოჰყოლია.

შოტლანდიელებზე გამარჯვების შემდეგ ხმელეთის ჯარი უსაქმოდ დარჩა და მან პარლამენტის ჩეარა არგებობია, რომ ძალა მის ხელთ იყო. პარლამენტი ამ დროს სახელმწიფოს მართველობის ფორმას იმუშავებდა; შემუშავდა არჩევნების ახალი წესი, რომლის მიხედვითაც პარლამენტში დეპუტატების გაგზავნის უფლება ქალაქის მუხლებთა რიცხვის მიხედვით განაწილდა: ინგლისში მაშინ ბევრი ისეთი ადგილი იყო, რომელიც საშეალო საუკუნოებში მიღებული უფლებით სარგებლობდა და დეპუტატებს გზავნიდა, მაშინ როდესაც ახალი, მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ქალაქები ამ უფლებით არ სარგებლობდენ. ამავე დროს „ხანგრძლივი პარლამენტის“ წევრები უარს ამბობდენ, თავის უფლებებზე ხელი აეღოთ და თავს მით იმართლებდენ, რომ თავისუფალი არჩევნებიდან გამარჯვებული მანც როიალისტები გამოვლენო. ამიტომ გადაწყდა, არჩევნები მხოლოდ წევრების რიცხვის შესაკრებად მოეხდინათ. კრომველმა ისარგებლა ამ დადგენილებით, რომელიც 1653 წელს 1640 წელში არჩეული დეპუტატების უფლებას ამტკიცებდა, და ხანგრძლივი პარლამენტის განლევნა გადასწყიოტა. ის ჯარისკაცებით გამოცხადდა პალატაში და დეპუტატებს სიტყვით მიმართა, სადაც მათ უსამართლობასა და ეკონიზმში სდებდა ბრალს. დაბოლოს კრომველმა დეპუტატებს პალატის დაწივება უბრძანა და ბევრი ცნობილი დეპუტატი ლანძლვა გინებით გააცილა.

**პროტეკტორატი.** კრომველი ერთად ერთი პიროვნება იყო, რომელსაც ჯარის დამორჩილება და უფლებისა და წესრიგის სახელმწიფოში დამყარება შეეძლო. კრომველი როგორც პროტეკტორი პოლიტიკურ თეორიებს ზიზღით ეყრდნობოდა მართალია, იგი მორწმუნე იყო, მაგრამ საჩუქროების საკითხები თავისებურობას იჩენდა, ხოლო უმთავრესი ის იყო, რომ კრომველი მკვირცხლი გონებით და რკინის ხასიათით იყო და-

ჯილდოებული. მან ჯარისკაცებზე გავლენა მაშინაც კი შეინარჩუნა, როდესაც სახელმწიფოს სათავეში მოექაც. იგი ხელოვნურად სარგებლობდა იმ გარემოებით, რომ „წმინდანები“ არმიაში სხვადასხვა სექტას ეკუთვნოდენ, და შეუბრალებლად ეპყრობოდა ყოველ ჯუფს, რომელიც თავისი მიზნებისათვის რევოლუციის გაღრმავებას ცდილობდა.

მაგრამ კრომველის დიკტატურის კანონიერ ფორმებში ჩამოსხმა ძალიან ძნელი შეიქმნა. ხანგრძლივი პარლამენტის შემდეგ მოწვეული პარლამენტი სასამართლოში საქმის წარმოებისა და საეკლესიო წყობილების რეფორმების შემუშავებას შეუდგა, მაგრამ რამდენიმე კვირის მუშაობის შემდეგ დათხოვნილ იქმნა. კრომველის მომხრეებმა თვითონ შეადგინეს ახალი კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც კრომველს აღმასრულებელი უფლება უნდა ჰქონოდა; კანონმდებლობა კი პარლამენტის ხელთ უნდა ყოფილიყო, იმ პირობით კი, რომ კონსტიტუციის შეცვლის ნება მას არ უნდა ჰქონოდა.

პირველივე პარლამენტი, რომელიც იხალი კონსტიტუციის ძალით იქმნა მოწვეული, ამ უკანასკნელის შეცვლის შეუდგა, მაგრამ იგი კრომველმა მაღლე დაითხოვა. ერთხანს კრომველი უპარლამენტოდ მართავდა სახელმწიფოს, და რაღაც სამხედრო ძლიერება მის ხელთ იყო, ეს ხანა კრომველის პირადი მართვა-გამგეობისა სრულიად არ ჰგავდა კარლოსის ხანას. პროვინციებს სათავეში გენერლები უდგენ, რომელნიც კრომველის განკარგულებას უსიტყვოდ ასრულებდენ. კრომველმა თავის სახელმწიფოში სინდისის თავისუფლება ვამოაცხადა; მართალია ეს თავისუფლება კათოლიკებზე არ ვრცელდებოდა, მაგრამ საერთოდ მინც მისი მართველობის დიდ უპირატესობას შეადგენდა. ასეთი იყო კრომველის პარონობა. მაგრამ მაღლე კრომველი იძულებული შეიქმნა ისევ პარლამენტისთვის მიემართა: საქმე ის არის, რომ მას საფრანგეთთან ერთად ისპანიასთან ომის წარმოება მოუხდა. მართალია უპირატესობა ამ ომში მის მხარეზე იყო (მან დიურკინ-ხენი იყო და ისპანიის ფლოტი დამარცხა), მაგრამ ომის

საწირმოებლად დიდი ფული იყო საჭირო და ამიტომ კრომ ველმა საუკეთესოდ დაინახა ეს ფული პარლამენტის დახმარებით ეშვევა. იგი არ მოსტყუვდა. პარლამენტმა მას არა თუ ფული შისცა, არამედ მეფის გვირგვინიც შეაძლია; მაგრამ ჯარი ანტიმონარქიულად იყო განწყობილი, და კრომველმა სამეფო გვირგვინზე უარი განაცხადა. 1658 წელს პროტესტორი გარდაიცვალა.

რესტავრაცია კრომველის სიკვდილის შემდევ მისი შეკრუნვებისა. ლი რიჩარდი იქნა გამოცხადებული პროტესტორი, მაგრამ მას ჯარში არავითარი გავლენა არ ჰქონდა, და ამიტომ პროტესტორობაზე მაღე უარი განაცხადა.

კვლავ დაიწყო უწესოება, რომელსაც გენერალმა მონქმა მოუღო ბოლო. იგი თავისი ჯარით შოტლანდიიდან ლონდონზე წავიდა; ძველი ჩვეულების მიხედვით პარლამენტი მოიწვიეს. დეპუტატების უმრავლესობა მოიხოვდა, რომ ტახტი კარლოს სტუარტს დაბრუნებოდა, კარლოსმა თავის მხრივ ნიდერლანდებიდან მანიფესტი გამოვზავნა, სადაც იგი ხალხს აჯანყებულთა პატიებას, ჯარის დაკავყოფილებასა და სინდისის თავისუფლების შემოღებას პირდებოდა. ამ მანიფესტის მიღების შემდევ პარლამენტმა გამოაცხადა, რომ ძველი კანონების თანახმად, მთავრობა მეფისა და ოქმთა და ლორდების პალატებისაგან შესდგება. ძველი წყობილებისადმი დაბრუნების სურვილი იმდენად გარკვეული იყო, რომ არმია, რომელსაც ბელაზი იღია პარავანება, იძულებული შეიქმნა დაპორჩილებულიყო. კარლოს მე-II დიდის ზეიმით 1660 წელს ლონდონში გამოცხადდა. კრომველის რაზები დაუყოვნებლივ დააქმაყოფილეს ჯამიერი ინიციატივით და დაითხოვეს, მაგრამ კარლოსის დაპირებითა დანარჩენი მუხლების შესრულება ასე ადვილი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ მეფემ პოლიტიკურ დამნაშავეობათვის ამნისტია წინდაწინვე გამოაცხადა, უზენაესი სასამართლოს რამდენიმე წევრი, რომლებმაც კარლოს I გასამართლებაში მონა-

წილეობა მიიღეს, სიკვდილით იქმნენ დასჯილნი. რაც შეეხ-  
გა სინდისის თავისუფლების გამოცხადებას, არც ეს განხორ-  
ციელდა, რადგანაც მის წინააღმდეგ პარლამენტმა გაილაშქრა,  
რომელიც ახალი მეფის მიერ იყო მოწვევლი. საზოგადოებაში  
რეაციამ იჩინა თავი: სამოქალაქო ომა და პარტიების ლიკ-  
ტატურამ იმდენად მოლალა ხალხი, რომ ყველა წესრიგის აღ-  
დგენაზე ოცნებობდა. საეკლესიო საკითხებში პარლამენტი  
ეპისკოპოლურ სისტემას უკერდა მხარს და კრომველის ჯარის-  
კაცების სიძულვილით პურიტანებს ავიწროებდა, პასტორებს  
და მასწავლებლებს „ერთგვარობა“, ე. ი. ეპისკოპოლური  
ლვოისმსახურების მიღება მოსთხოვეს. ამ აკტის მეოხებით  
2000 პასტორს სამსახურის თავის დანერგება მოუხდა. ქალაქებს  
განკარგულება გაუგზავნეს, — ქალაქის საბჭოებში ისეთი პირები  
ბი არ აერჩიათ, ვინც კოვენანტზე (ე. ი. პრესბიტერიანთა  
კავშირზე) უარს არ იტყოდა, და მეფის წინააღმდეგობა ფიც  
ქვეშ უკანონოდ ელიარებიათ. „დისსენტერების“ ომებს  
ლმერთმსახურების შესასრულებლად შეკრება აუკრძალეს. მა-  
გრამ მეფე ამ ზომებს არ თანაუგრძნობდა, და სინდისის თა-  
ვისუფლების ცხოვრებაში გატარებას ცდილობდა; ამის მიზეზი  
ის იყო, რომ იგი კათოლიკიზმს მფარველობას უწევდა, და  
სიკვდილის წინ ფარულად კათოლიკობა მიიღო. მაგრამ პარ-  
ლამენტი მეფეს არ უთმობდა და იგიც იძულებული შეიქმნა  
ზოგიერთ შემთხვევაში კანონის ცოტაოდენი შემსუბურებით  
მაინც დაკმაყოფილებულიყო. კარლოსი ამიტომ პარლამენტით  
უკმაყოფილო იყო. მისი აზრით, პარლამენტი საკმარ ფულს  
არ იძლეოდა; და მართლაც მეფე ყოველთვის ხელვიწროდ  
იყო, მაგრამ ამის მიზეზი სულ სხვაგან უნდა ვეძოთ: კარ-  
ლოსს ძალიან უკვარდა ფულის ფლანგვა, და ამიტომ რაც  
უნდა მეტე მიეცა პარლამენტს, მისთვის მაინც ცოტა იქნე-  
ბოდა. კარლოსი ბუნებით ჰქვიანი კაცი იყო, მაგრამ ის პი-  
რად სიამოვნებას მისდევდა, და ამასთანავე გულწრფელობას  
და ღირსების გრძნობას მოკლებული იყო. მას სრულებითაც  
არ აფიქრებდა ის გარემოება, რომ თავი საფრანგეთის მეფის

ლიუდოვიკ მე XIV მფარველობის ქვეშ შეაფარა და მისგან ქონებრივ დახმარებასა და საჩუქრების იღებდა; თავის ლირსების დამცირებად არც ის გარემოება მიაჩნდა მეფეს რომ მან ჯარით დახმარება სთხოვა ლუდოვიკ XIV იმ შემთხვევისათვის, თუ რომ მის მიერ კათოლიკობის მიღება და კათოლიკებისა-დმი მფარველობა ინგლისში აჯანყებას გამოიწვევდა. არც სა-გარეო პოლიტიკა უვარვოდა კარლოს მე-II; ის საფრანგეთს შეუთანხმდა და მასთან ერთად პოლანდიის წინააღმდეგ ომობდა.

### ბრძოლა

პარლამენტის

წინააღმდეგ.

მართალია თვით სამარცხვინო ხელშეკრუ-

ლობა რომელიც კარლოს მეორემ სა-

ფრანგეთთან დასდო, საიდუმლოდ რჩე-

ბოდა, მაგრამ მისი შედეგები კი ცხადად იწვნია ხალხმა. პო-

ლანდიის წინააღმდეგ ზღვაზე ულმობელი ომი სწარმოებდა,

და ამავე დროს ლუდოვიკ მე-XIV ნიდერლანდებში იმას სჩა-

დიოდა, რაც მოესურვებოდა, ისპანელებს ციხეებს ართმევდა

და პოლანდიელები ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ ისინი

იძულებული შეიქმნენ ჯებირები გაეხსნათ და მთელი მხარე

წყლით აევსოთ, რათა ამგვარად ფრანგები შეეჩერებიათ. ინ-

გლისელები გრძნობდენ, რომ მათი მთავარი მტერი ლიუდო-

ვიკ მე-XIV იყო და არა შეერთებული პროვინციები, ამას

გარდა ინგლისელებს პაპისტების შეთქმულების ეშინოდათ,

რაღანაც მათ იცოდენ, რომ იგინი კათოლიკიზმის სასარგებ-

ლოდ ნაბიჯებს გადადგამდენ. კარლოს მე-II უქვეშევრდომი-

ლესმა პარლამენტმა არამც თუ არ აასრულა მეფის სურვილი

სინდისის თავისუფლების კათოლიკებზე გავრცელების შესახებ,

არამედ ტესტ-აკტის გამოცემით წინააღმდეგი დააკანონა: ყვე-

ლანი, ვინც სახელმწიფო სამსახურში დაინიშნებოდა, ვალდე-

ბული იყო ზიარება ანგლიკანური ეკლესიის ჩვეულების მიხედ-

ვით მიელო. ამ დადგენილებამ კათოლიკები სახელმწიფო

სამსახურს ჩამოაშორა და აგრერვე ის დისსენტერებიც, რო-

მელნიც ანგლიკანურ ჩვეულებას არ დაექვემდებარენ (1673).

მეფე მაინც განაგრძნობდა ოვის ანტი-ეროვნულ პოლიტიკას და მით ლულოვაკ მე-XIV გამლიერებას ხელს უწყობდა. მდგომარეობა ისეთი შეიქმნა, სახელმწიფოებრივი გადატრიალების ზიში იმდენად გაიზარდა, რომ ყოველგვარ ჭორს გასავალი მიეცა. ამ გარემოებით ისარგებლა ერთმა საზოგადომა პირმა და პაპისტები დააბეჭდა, თიოქოს მათ მეფის მოკვლა, მისი ძმის, იორქის ჰერცოგის (კათოლიკე) ტახტზე აყვანა და ფრანგების ინგლისში შემოყვანა განეზრახოთ. ამ დაბეჭდებამ პანიკა და კათოლიკების სასტიკი დევნა გამოიწვია. ამავე დროს პარლამენტმა შეიტყო, რომ მეფე მართლა აწარმოებდა საიდუმლო მოღავაროვებას ლიუდოვიკ მე-XIV, რომელსაც ფულით დახმარებას სთხოვდა, რათა ამრთ იმავე მიზნით პარლა. მენტისთვის მიმართვა თავედან აეცილებია. უსიამოვნების ააცილებლად საჭირო იყო ხალხის წარმომადგენლების დათხოვნა, და მეფეც ამ გზის დაადგა. მაგრამ მოსტყუფდა, რადგან ახლად მოწვეული პარლამენტი, წინანდელზე გამოინა ან გამოდგა. ოპოზიციის ბეჭადიდ შეფრესბერი გამოვიდა, რომელიც მოქალაქეთათვის თავისუფლების გერანტიის, დისსენტერებზე სინდისის თავისუფლების გავრცელების და იორქის ჰერცოგის მემკვდრეობიდან გადაყენებას მოითხოვდა. საზოგადოებისა და პარლამენტში ორ მთავარ მამართულებას ჰქონდა ადგილი. ერთ მხარეზე შეფრესბერი და მისი მოხსერები იდგენ, რომლებსაც ვიგები დაარქვეს, ხოლო მეორე მხარეზე — როიალისტები და მტკიცე ანგლიკანები, ტორების სახელით. 1679 წელს პარლამენტმა Habeas corpus — აკტი მიიღო, რომლის ძალითაც ყოველ ინგლისელს უფლება ექლეოდა, თუ მას და აპატიმრებდენ, მოეთხოვა, რომ 24 საათის განმავლობაში სასამართლოსთვის გადაეცათ და დაპატიმრების კანონიერი მიზეზები დაესახელებიათ; სასამართლოს შეეძლო ან დაემტკიცებია შესრულებული ფაქტი, ან გაეთავისუფლებია პატიმარი.

ვიგების სრულ გამარჯვებას იმ გარემოებამ შეუშალა ხელი რომ ისინი იორქის ჰერცოგის ტახტისაგან ჩამოშორებას

მოიტხოვდენ. ზომიერი ინგლისელები კი ამას არ თანაუგრძნობდენ, მრთ უმეტეს, რომ შესაფერი კანლიდატის გამოძებნაძნელი იყო. მეფემ რამდენჯერმე დაითხოვა პარლამენტი, და დაბოლოს მაინც თავისი გაიტანა. მისი სიკვდილის შემდეგ ტახტზე იორქის ჰერცოვი ავიდა. იაკობ II სახელით.

იაკობ II. ვიგების შიში გამართლდა. მეფე ტესტატის თითქმის ყოველ ნაბიჯზე არღვევდა, კათოლიკებს საპასუხისმგებლო სამსახურში ნიშნავდა (ერთს ეპისკოპოსობაც კი მისცა). მაგრამ თავს იმით იმართლებდა, რომ მას ქვეშევრდომია კანონის ასრულებისაგან გათავისუფლების უფლება ჰქონდა; იაკობ მე-II კათოლიკებს მფარველობა გამოუცხადა: მან დეკლარაცია გამოსუა, რომლის ძალითაც კათოლიკებსა და დისსენტერებს ლვდელმსახურების შესრულების უფლება ენიჭებოდათ. პროტესტანტ პასტორებს კათოლიკიზმის წინააღმდევ ქადაგება აეკრძალათ. 1688 წელს მეფემ პასტორებს უბრძანა დეკლარაცია ეკლესიერში წაეკითხათ; იმათ უარი განაცხადეს და შვიდმა ეპისკოპოსმა წერილობითი თხოვნა წარუდგინა. იაკობ მე-II, რომლის მიხედვითაც მას სამღვდელოება ამ ვალდებულებისაგან უნდა გაეთავისუფლებია, მეფე ძალაან გაბრაზდა, გააცხადა, რომ ეს აჯანყება იყო, და შვიდივე ეპისკოპოსი პასუხისმგებაში მისცა ნაფიცია მსაჯულებმა ეპისკოპოსები გაამართლეს, რასაც ხალხი და ჯარი დიდი სიხარულით შეხვდა. ამ შემთხვევებით გამოწვეულ მღელვარების დროს მეფეს ვაჟი შეეძინა. აქამდე ინგლისელებს კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ მეფის სიკვდილის შემდეგ ინგლისის ტახტი მისი ქალის მარიამისა და სიძის შეერთებული პროვინციების შტატჰალტერის პროტესტანტის ვილჰელმ ორანელის ხელში გადავიდოდა. ახლა ეს იმედიც დაირღვა. პროტესტანტების ქვეყანაში კათოლიკური დინასტია უნდა გამეფებულიყო. ეს კი იმდენად ეწინააღმდეგებოდა ინგლისის მთავარი პარტიების სურვილს, რომ ტორები და ვიგები შეერთდენ და ინგლისში

ვილჰელმ ორანელი მოიწვიეს. 1688 წლის დასასრულში ვილჰელმი ინგლისში მოვიდა და ლონდონზე გაილაშვრა. მას ყველა სიხარულით ხვდებოდა, იაკობ მე-II რაზმებიც მის მხარეზე გადავიდა. იაკობმა დაინახა, რომ მას ყველა გადაუდგა, და ამიტომ იძულებული შეაქნა — ინგლისი დაეტოვებია და თავი საფრანგეთისთვის შეეფარებია. ხოლო ვილჰელმა სახელმწიფო-ებრივი მართველობის ფორმის გამოსამუშავებლად არაჩვეულებრივი პარლამენტი მოიწვა. ამ პარლამენტმა, ან, როგორც მას ეძახიან, „კონვენციამ“ დაადგინა: იაკობ მე-II ხალხსა და მეფეს შორის დადებული პირობა დაარღვია და ინგლისიდან თავისი ნებით გასვლით მეფობაზე უარი სთქვა; ამიტომ ტახტი გათავისუფლებულად უნდა ჩაითვალოს. მის ადგილას ვილჰელმი და მარიამი იქმნენ მოწვეულა. ეგრედ წოდებულს „უფლებათა ბილში“ ჩამოთვლილი და ცნობილი იყო ინგლისელი ხალხის ყველა ის უფლება, რომლისთვისაც ხალხსა და მეფეებს შორის ბრძოლა სწარმოებდა.

მეფეს კანონების შესრულებისაგან გათავისუფლების უფლება ჩამოერთვა; გადასახადებისა და საზოგადოდ ფულის ყოველგვარი მოკრება ხდება პარლამენტის დადგენილების თანახმად უნდა მომხდარიყო; მოქალაქეთ უფლება ჰქონდათ, მთავრობისათვის თხოვნები და საჩივრები წარედგინათ. პარლამენტის პალატებში წარმოთქმულ სიტყვებისათვის დევნა აკრძალული იყო. საარჩევნო უფლებით ყველას თავისუფლად უნდა ესარგებლნა.

1688 წლის ამით დასრულდა ის საქმე, რომელიც რეგოლუცია. 1640 წელს დაიწყო. ინგლისში პარლამენტი საბოლოოდ მეფეზე მაღლა დადგა. სტუარტების დინასტია, რომელიც მეფის უაღრესუფლებიანობისათვის იბრძოდა, ჩამოგდებულ იქმნა, ხოლო ვილჰელმ ორანელმა გვირვევინი პარლამენტისაგან მიიღო. ამ მხრივ მრგვალ თავიანების მექვიდრე ვიგებმა გაიმარჯვეს.

მეორე მთავარი საკითხი, რომელიც რევოლუციაში წა-  
მოაყენა, მხოლოდ პრინციპიალურად იქმნა გადაწყვეტილი.  
ზოგად რელიგიურ პარტიებს ძალაუნებურად მოუხდათ ზავის  
ჩამოგდება. პენრის მე-VIII დაწყებული, ზთავრობა ანგლიკა-  
ნიზმის ეროვნულ რელიგიაზ გარდაქცევასა და სხვა რელიგი-  
ების მოსპობას ცდილობდა. მაგრამ ინგლისის რეფორმაცია  
ანგლიკანიზმე უფრო შორს წავიდა: მეორმოცე წლების რე-  
ვოლუციის დროს პრესბიტერიანებმა ეკლესიის ხელში ჩა-  
გდება სცადეს, ხოლო ინდეპენდენტებმა ინგლისის რეფორმა-  
ციის ყველა მიმართულების თანასწორუფლებიანობა გამოიცხა-  
დეს. კარლის მე-II დაბრუნება ახსტავრაციის ნიშანი იყო,  
და ანგლიკანურმა ეკლესიამაც პრესბიტერიანებსა და ინდე-  
პენდენტებს, როგორც მწვალებლებსა და მეამბოხეთ, დევნა-  
დაუწყო. კათოლიკიზმის შიშხა პროტესტანტები შეარიგა. მარ-  
თლია ეპისკოპალურ ეკლესიასთან დისენტერები არ გათა-  
ნასწორებულან უფლებით, მაგრამ სარწმუნოების დაუბრკო-  
ლებელი თავისუფლება მაინც მოიპოვეს.

ამგვარად, როგორც პოლოტიკაში, რე რელიგიაშიც ინ-  
გლისის ძველი წყობილება თავის აღვილს ახალს უთმობდა,  
მაგრამ უთმობდა აუჩქარებლად და თანდაოანობით.

### აგსოლუტიზმის გაძლიერება საფრანგეთში.

ჰენრის IV. ჰენრის მე-IV მთელი თავისი ძალ-ლონე  
იმ ბოროტების მოსპობას მოანდომა, რომელიც საფრანგეთს  
სარწმუნოებრივმა ოშებმა მიაყენა. ამ საქმეში მას დახმარებას  
მინისტრი სდელი უწევდა, ფრთხილი და მოუსყიდელი ჰუ-  
გენოტი, რომელიც განსაკუთრებით მით არის შესანიშავი,  
რომ გადასიხადების სისტემა არსებითად გააუმჯობესა. წინად  
გადასიხადები იჯარით იცემოდა, და მოიჯარიდოდა, რა თქმა  
უნდა, ყოველ ღონეს ხმარობდა, ნაკლები იჯარა გადაეხადა,  
ჭოლო მცხოვრებლებისთვის რაც შეიძლება მეტი მოეყვლიფა.

ამით ხაზინასაც დიდი ზარალი ეძღვებდა და ტცხოვრებნიც ზედ-  
მეტ შევიწროებას განიცდიდნ. სხულლიმ მართალია გადა-  
სახადების იჯარით გაცემის მოსპობა ვერ შესძლო, მაგრამ სა-  
მავივროდ ანგარიშების საქმე საგრძნობლად გააუმჯობესა და  
ფულის მოვრავების კონტროლიც გააძლიერა. სხული ფი-  
ზიოკრატი იყო და სახელმწიფოს შემოსავლის მთავარ წყა-  
როდ მიწადმოქმედებას თვლიდა; ამიტომ მან სასოფლო მეურ-  
ნების გაუმჯობესებისათვის ბევრი რამ გააკეთა. მაგრამ სა-  
ქმე იმდენად არე-დარეული იყო, რომ ფინანსიური მდგომა-  
რეობის გამოსაბრუნებლად არაჩვეულებრივი ზომები იყო სა-  
ჭირო. სხული იძულებული შეიქმნა ერთი ფრიად მავნებელი  
ჩვეულება განემტკიცებია: მან პარლამენტისა და სხვა სასამართ-  
ლო დაწესებულების წევრებს თავისი თანამდებობის მეტვი-  
დრეობითი გადაცემის უფლება მიანიჭა, რისთვისაც მათ ყო-  
ველწლიურ განსაზღვრული გადასახადი უნდა გადაეხადა. აღ-  
ვილი გასაგებია, რომ ამ ჩვეულებას საფრანგეთის გაროლმა-  
ჯულებაზე დამლუპველი გავლენა უნდა მოეხდინა.

### ლუდოვიკ

XIII და

### რიშელიე.

ჰენრიხ მე-IV მუკვლის შემდეგ მართვა-

გამგეობა სუსტი კაცის ხეოში გადავიდა.

მეფე ლუდოვიკ მე-XIII ჯერ კიდევ მცი-

რეწლოვანი იყო; როგორც ყველგან და ყოველთვის, ამ გა-

რემოებით სარგებლობა მოინდოვეს; იმ პირებმა, ვინც ახალ-

გაზრდა მეფეს გარს ეხვია. სასახლეში ბრძოლა და ინტრიგები

დაიწყო. ამ გარემოებამ ისედაც არევ-დარეული ცხოვრება სა-

ფრანგეთისა კადევ უფრო აწეშ-დაწეშა. მდგომარეობის გამო-

საბრუნებლად 1614 წელს გენერალური შტატების მო-

წვევა გადაწყდა, რომელზეც მესამე წოდების დეპუტა-

ტებმა რეფორმების ფართო პროვოკამა წარადგინეს; ისინი

გადასახადების თანასწორ განაწილებას, პრივილეგიების მო-

სპობას, კარის კაცებისათვის პენსიების შემცირებას, სა-

სამართლოში დაპატიმრების კანონიერების სავალდებულო

შემოწმებას და გენერალური შტატების ათ წელში ერთ-ხელ მოწვევას მოითხოვდენ. მაგრამ სამღვდელოება და თავად-აზნაურობა ამ რეფორმების წინააღმდეგი იყო; იგინი თავის უპირატესობაზე უარს არ ამბობდენ, და როდესაც ერთმა აზნაურმა დეპუტატმა პირდაპირ განაცხადა: „ჩვენ არა გვსურს, რომ მეფეხსაცმლის შვილები ჩვენ შვილებს ძმებს უძინოდენ; ჩვენსა და მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც ბატონსა და მსახურს შორის“-ო. ამით მან ყველა აზნაური დეპუტატის აზრი გამოსთქვა. მთავრობამ საჩქაროდ დაითხოვა შტატები, და ამის შემდეგ იგი მხოლოდ 1789 წელს მოიწვიეს.

სახელმწიფო საქმეებში ლუდოვიკ მე-VIII სრულწლოვანების მიღწევის შემდეგაც უკირად ერეოდა; მართვა-გამგეობა კარდინალ რიშელიეს ჰქონდა მინდობილი. იგი შეუდრეკელი ნების კაცი იყო, რომელმაც მოწინააღმდეგის შებრალება არ იცოდა; ხალხის ქონებრივ კეთილდღეობას რიშელიე მაინც და მაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა: „მუშა ხალხი რომ ქონებრივად უზრუნველყოფილი შეიქმნება, ის თავის მოვალეობას დაივიწყებსო“, სთქა ერთხელ რიშელიემ. ამიტომ მას არც გადასახადების მომატება აფიქრებდა და იწუც გამანადგურებელი ომების წარმოება. რიშელიემ ყველაფერი საფრანგეთის სახელმწიფოსა და მონარქიის გაძლიერებას შესწირა; მაგრამ სახელმწიფოში ისეთებიც იყვნენ, რომელნიც აბსოლუტური მონარქიის განხორციელებას ებრძოდენ. ამათ შორის თვალსაჩინო ძალას ჯერ ჰუგენოტები და შემდეგ წარჩინებული წოდება წარმოადგენდა. ჰუგენოტებს 800 ეკლესია ჰქონდათ, იგინი ცალკე საოლქო სინოდებს და შემდეგ წელიწადში ერთხელ საერთო პროტესტანტთა ყრილობას იწვევდენ, სადაც სარწმუნოებრივ საკითხებს გარდა პოლიტიკურ საქმეებსაც არჩევდენ, იბეგრავდენ თავს და მოკრებილ ფულს საერთო საქმეს ანდომებდენ, ამას გარდა მათ საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში რამდენიმე გამაგრებული ქალაქი ჰქონდათ, ხოლო დასაცლეთით პირველ ხარისხოვანი ნაეთსადგური ლა-როშელი

ეპიროთ. ისინი მთავრობას არ ენდობოდენ, მუდამ კავშირი ჰქონდათ ჰოლანდიასთან, ისპანიასა და ინგლისთან და თავის-თვის იმგვარი მდგომარეობის შექმნას სცილობდენ, როგორ-შიდაც ნიდერლანდებისა და ინგლისის პროტესტანტები იყვნენ. მათი თავხედობა იქამდისაც კი მივიღა, რომ მეფის სამხედრო ესკადრა დაიჩიმეს. მაშინ რიშელიემ ინგლისელებისა და ჰოლანდიელებისაგან გემები იშოვნა და დამნაშავენი დასაჯა. მან ჰუგენოტების საბოლოოდ დამორჩილება განიზრახა და ლა-როშელს ალყა შემოარტყა. ზღვიდან ალყის შემოსარტყმელად მთავრობის არმიამ ხელოვნური ყორე გააკეთა. მიუხედავად იმისა, რომ კარლოს I დამხმარე ექსპედიციებს უკზანიდა ლა-როშელის მეციხოვნეთ, 14 თვის შეუპოვარი და გმირული თავდაცვის შემდეგ უკანასკნელნი სიმშობა აიძულა მთავრობას დანებებულიყვნენ. სამხრეთელი ჰუგენოტების დამარცება კიდევ უფრო ადვილი აღმოჩნდა. საქმე ბოლოს იმით გათავდა, რომ ახალი ხელშეკრულების ძალით, რომელიც რიშელიემ ჰუგენოტებთან დასდო, იგინი იძულებული შეიქმნენ ყველა თავის პოლიტიკურ უფლებაზე ხელი აეღოთ. რაც შეეხდა მათ სარწმუნოებრივ მისწრაფებას, ამ მხრივ რიშელიე უფრო დამთმობი აღმოჩნდა და ჰუგენოტების სარწმუნოებრივი თავისუფლება ხელუხლებელი დასტოა.

რაც შეეხდა არისტოკრატიას, იგი მართალია ჰუგენოტებსავით შეკავშირებულ ძალას არ წარმოალგენდა, მაგრამ ეს გარემოება მათთან ბრძოლის საქმეს კიდევ უფრო ართულებდა. მათ მდგომარეობა ასეთი იყო: პოლიტიკური უფლებები მათ შართალია კარგი ხანია აღარ ჰქონდათ, ამიტომ ომის წარმოება, ქვეშევრდომების დაბეგვრა და გასამართლება მათ არ შეეძლოდ. მაგრამ ამის მიუხედავად მაინც მრავალი უპირატესობა ჰქონდათ: პირად გადასახადს არისტოკრატია არ იხდიდა, და საადგილმამკლო გადასახადებშიაც მრავალგვარ შეღავათებით სარგებლობდა. ამასთანავე ის განაგრძობდა თავის ყოფილ ქვეშევრდომთაგან ბეგარისა და ვალდებულებების

მოხდის მოთხოვნას. ჯარსა და პროვინციებში არისტოკრატია თვითნებობას იჩენდა, და ყოველი საშუალებრთ სარგებლობდა — ოღონდ მთავრობისაგან დამოუკიდებელი გამხდარიყო. ამ მიზნისთვის იგი არაფერს ერიდებოდა და მისი ცდით სასახლეში გამეუბული ინტრიგები შეთქმულებების, აჯანყებისა და სამოქალაქო ომების საუკეთესო მასალად გარდაიქცა.

რამდენადაც არისტოკრატიის უპირატესობანი დაბალ ხალხს ეხებოდა, იმდენად რიშელიე მათ ხელს არ ახლებდა, მაგრამ რამდენადაც იგივე არისტოკრატია მთავრობას ურჩბისას უწევდა და შეთქმულებებს აწყობდა, იმდენად რიშელიე შეუბრალებლად ებრძოდა მათ. სამი საზოგადო ხსიათის ზომა მიიღო რიშელიემ, რამაც მას წირჩინებული გადაჭიდა, მაგრამ, სამაგიროდ, ხალხის თანაგრძნობა მოუპოვა; იმან გააჭერა გამაგრებული კოშკები, აკრძალა დუელები (18 წლის განმავლობაში 4000 აზნაური იქმნა მოკლული), პროვინციებში მთავრობის კომისრები დანიშნა ფინანსებისა და პოლიციის სახელმძღვანელოდ და სასამართლოების სამეთვალყუროდ. უკანასკნელი ზომა განსაკუთრებული ყურადღების ღირსი არის, რაღან მთავრობის კომისარი (ინტენდანტი) მესამე წოდებიდან ინიშნებოდა, ყველაფრით დავალებული იყო მეფისაგან, და განსაკუთრებით მისთვის იყო დაყენებული, რომ შეეზღუდა გუბერნატორის-მაკნატის უფლება, რომელიც პროვინციას ისე უყვრებდა, როგორც თავის ფეიდალურ სამფლობელოს. ამ საზოგადო ზომების გარდა, რიშელიე მუდამ ებრძოდა შეთქმულებებს, რომელიც ხშირად შეიარაღებულ აჯანყებად იქცა ოდა. მოწინააღმდეგებს შეუბრალებლად სჯიდა და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა დამნაშავის ჩამოშავლობას, ან მის საზოგადოებრივ მდგომარეობას. რიშელიეს დროს დასჯილ იქმნენ ხუთი ჰერცოგი, ოთხი გრაფი და ერთი მარშალი.

რიშელიეს ყოველგვარი ცდა იქით იყო მიმართული, რომ როგორმე ძლიერი ცენტრალისტური მთავრობა შეექმნა. ამ მიზნის განხორციელებისათვის იგი ძველ ჩვეულებებსა და უფ-

ლებებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ის ან სრულიად სპობდა იმ ადგილობრივ დაწესებულებებს, რომელიც ცენტრალიზმის განხორციელებას უშლიდა ხელს, ან და საგრძნობლად ზღუდვდა მათ უფლებებს, მაგ., მან გააუქმა შტატები დოფინესა და პროვინციები, ნოლო ზოგიერთი ღირსშესანიშნავი საქმე პროვინციალურ სასამართლოებიდან პარიზში დაარსებულ განსაკუთრებულ კომისიებში გადაიტანა. მართალია, თავისი თვითნებობით და სიმყაცრით კარდინალმა საზოგადო სიძულევილი დაიმსახურა, მაგრამ მის ხელოვნებას, უანგარობასა და სიმტკიცეს ყველა გაკვირვებაში მოჰყავდა. იმ დროს, როდესაც მთავრობას სახელმწიფოს, ფარგლებშივე გააფორმებული ბრძოლის წარმოება უხდებოდა, რიშელიემ ოცდაათწლიან ომში ჩარევით საფრანგეთს მთელს ევროპაში პირველობა მოუპოვა. მაგრამ მისი შორსმცვრეტი პოლიტიკა სისრულით მხოლოდ ლიუდოვიკ მე-XIV დროს გამომყოფიად და.

1643 წელს ერთი მეორის შემდეგ გარდაიცვალენ რიშელიე და ლუდოვიკ მე-XIII. ახალი მეფე, ლუდოვიკ მე-XIV მცირეწლოვანი დარჩა მამა მისს. რევენტობა ქვრივმა დედოფალმა ანა ავსტრიელმა აიღო, ხოლო სახელმწიფო საქმეების გაძლილა შეკვიანსა და ცბიერ იტალიელს, კარდინალ მაზარინის ჩაბარდა. არისტოკრატიამ, სასამართლოს და კარისკაცებმა თავისუფლად ამოისუნთქვეს და მზად იყვნენ თავისი დამცირებისათვის მთავრობისათვის სამაგიერო გადაეხადათ, მაგრამ მასტყუვდენ; მაზარინიმ ყველა სასტიკად დამარცხა.

### ლუდოვიკ მე-XIV.

**ცენტრალიზაცია.** მაზარინი 1661 წელს გარდაიცვალა, და ახალგაზრდა მეფე სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეს თვითონ შეუდგა. რიშელიეს და მაზარინის შრომას უქმდა არ ჩაუვლია, და ახალგაზრდა ლუდოვიკის ხელში ყველაზე უფრო სახელგანთქმული და უმდიდრესი სახელმწიფო გადავიდა. მარ-

თალია, საფრანგეთი არ წარმოადგენდა ფინანსიურად და ეკონომიურად აუკავებულ სახელმწიფოს, მაგრამ ქვეყნის ბუნებრივი სიმღიდრე და ხალხის შრომის მოყვარეობა მთავრობას დიდ შემოსავალს აძლევდა; საგარეო მდგომარეობის გამაგრებას დას დიდრიცხოვანი, გმირი და კარგად გაწვრთნილ. ჯარი უწყობდა ხელს. ოელიგიურ უთანხმოების მოსპობა, საფრანგეთის გაერთიანება და ბრწყინვალე წარმატება აღფრთვანებას იწვევდა მოძრავსა და პატივმოყვარე ფრანგების გულში. მოღვაწეობის ყოველ დარგში უმრავი ნიჭიერი ხალხი აღმოჩნდა - ჯარი, ეკლესია, მართველობა, ხელოვნება, ლიტერატურა, მრეწველობა, ყველა მდიდარი იურ სათანადო მოღვაწეებით. უმაღლესი კლასი, არისტოკრატია განსაკუთრებით გატაცებული იურ სამხედრო კარიერით, პარიზისა და სასახლის ცხოვრებით, სადაც ყველაფერს თავი მოეყარა, რაც კი უშესანიშნავესი, საუცხოვო და უძლიერესი იურ მთელს ევროპაში. წინანდელი დამოუკიდებელი, ურჩი ფეოდალების აღვილი სასახლის არისტოკრატიამ დაიკავა. ომელიც მეფის სურვილების მონად გარდაიქა. ლუდოვიკ მე-XIV თითქმის განეგდ იურ შექმნილი ამ ბრწყინვალე ხანაში საფრანგეთის ხელმძღვანელად. ის არ ყოფილა ორიგინალურად მოაზროვნე ან გაღალი იდეალიზმის კაცი, მაგრამ მის პიროვნებაში განხორციელებული იურ ფრანგის ერის უმთავრესი თვისებები — შეუპოვარი შრომის მოღვარეობა, ყოფაქცევის ფუქსავატობა, სიდიადისადმი მიღრეკილება, უსაზღვრო პატივშოუვარეობა და საუცხოვო გემოვნება. მას ვერ წარმოედგინა საფრანგეთის ერი და თავისი თავი ცალ-ცალკე, ვერ წარმოედგინა საფრანგეთში ნება თავის ნების გარეშე: „სახელმწიფო — ეს მე ვარო“, სთქვა ლუდოვიკმა კიდევ მაშინ, როდესაც ახალგაზრდა იურ, და ამ დევიზისათვის მთელი თავისი მეფობის განმავლობაში ერთხელაც არ უდალატნია. პარიზი და საფრანგეთის სასახლე მის დროს არა მარტო საფრანგეთის, არამედ მთელი ევროპის ცენტრად გადაიქცა. ფრანგული ენა, მიხრა-მოხრა, მოდები

ამ დროიდან მთელი ევროპის არისტოკრატიაში გავრცელდა. სახეობო და მძიმე გამომეტყველების შენობები ვერსალის სასახლისა, ვერსალის ბაღის ხეივნები და შადრევნები დიდ და მცირე ხელმწიფეთათვის შისაბად საგნად გადაიქცა.

საფრანგეთის ამგვარი გაბატონება არ აისნება მარტო ლიტერატურის, ხელოვნების და საზოვადოებრივი ცხოვრების უპირატესობით, არამედ მისი ძლიერებითაც, რაც მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მძიმე ლიხვარივით აწვა კისერზედ ევროპას. რიშელიეს საშინაო პოლიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიღო. საფრანგეთის მართველობამ მეფისა და მისი მოხელეების ხელში მოიყარა თავი: საზოგადოებრივი თვისების საქმეები, რომლებსაც ქალაქებში და სოფლებში ჰქონდათ აღგილი, გასარჩევად პარიზს იგზავნებოდა ან პარიზიდანვე დანიშნულ მოხელეთა მიერ, რომლებიც პარიზის მუდმივ კონტროლს ქვეშ მუშაობდენ, ადგილობრივ სწყდებოდა. ცენტრიდან დანიშნულ მოხელეთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინტენდანტი იყო; რაც კი ოლქში ხდებოდა, ყველაფერი მას ეხებოდა: ის აგროვებდა ჯარს, თვალყურს ადევნებდა უნივერსიტეტებსა და სკოლებს, ზოგიერთ შემთხვევაში არსებულ სასამართლოების გარეშე სამართლის საქმეს აწარმოებდა, უფროსობდა პოლიციას, თვალყურს ადევნებდა გადასახადების მოკრებას, მიწის დამუშავებას, მრეწველობას და ვაჭრობას, საზოგადოებრივ სამუშაოთ, პროტესტანტებისა და ებრაელების საეკლესიო საქმეებს. ინტენდანტი თავის თანაშემწებს (**სუბდელეგატებს**) თვითონ ნიშნავდა; არც ერთ საოლქო ან საქალაქო პრივილეგიად არ შეეძლო მისი უფლების შეზღუდვა, თუმცა ზოგიერთ პროცენტიებში შტატები ჯერ კადევ იკრიბებოდა, მაგრამ ეს დაწესებულება უბრალო ფორმალობად გადაიქცა, ხოლო ქალაქის თვითმართველობები უმეტეს შემთხვევაში დანიშნული მოხელეებით შეიცვალა. პროვინციებში გუბერნატორის თანამდებობა დარჩა, მაგრამ ამას მხოლოდ ხალხის წარმომადგენლობის მნიშვნელობა შერჩა; მთელი ძალა-

უფლება კი ინტენდანტების ხელში გადავადა. მეფე და მისი ექვისი მინისტრი აი მთელი სახელმწიფოს მამოძრავებელი აპარატი, რომელსაც თვით პარიზში ჰქონდა მოყრილი. ჩვეულებრივი მოხსენებები და საქვეები სახელმწიფო საბჭოში ირჩეოდა; ხოლო არაჩვეულებრივ საკითხებს უზენაესი საბჭო იხალავდა, რომელიც მინისტრებისა და რამდენიმე მაგნატისაგან შესდგებოდა და რომელსაც თვითონ მეფე თავმჯდომარეობდა.

მოხელეებს მესამე წოლებიდან ნიშნავდენ. ამას ის აზრი ჰქონდა, რომ თვით უძლიერეს მინისტრსაც კი მეფის „უბრალო ნოქრად“ უნდა ეგრძნო თვით

**კოლბერი.** ლუდოვიკ მე XIV მინისტრთაგან უცელაზედ უფრო შესანიშნავი კოლბერი იყო. შთამომავლობით უბრალო თერძის შვილი, დაუღალავი მუშაკი და პირველხარისხვანი ორგანიზატორი, კოლბერი საძნელო და საპასუხისმგებლო თანამდებობის პირად-გენერალურ კონტროლიორად იქნა დანიშნული: მს მოვალეობას ომებზე და სასახლის გასართობებზე ზრუნვა შეადგენდა. ეს კი მრავალ ფულს მოითხოვდა. და მისი ტრაგედიაც სწორედ ამაში იყო: როგორ უნდა შეეცვალა მას სახელმწიფო ხაზინის მდგომარეობა, როდესაც მეფე განუწყვეტილ ომებისა და გასართობებისათვის ყოველდღე ფულს თხოულობდა. გადაძახა გების სისტემის ძირითადი ცვლილება ამიტომ მან ვერ მოახერხა; მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კოლბერმა მაინც უცელენერი გააკეთა პრივილეგიების შესამცირებლად, რაც კი შესაძლებელი იყო: შეამცირა გადასახადებისაგან გათავისუფლებული მამულების რიცხვი, დასწია პირდაპირი გადასახადები, რაც მთელის თავის სიმძიმით დარიბ ხალხს აწვებოდა, და გაადიდა არაპირდაპირი გადასახადები, რაც უცელა მომხმარებელს, მაშასადამე, მდიდრებსაც გადახდებოდა. მან შეამცირა ვალების ჯამი და რენტა, წემოილო ბიუჯეტი, ე. ი. შემოსავლისა და გასავლის ყოველ წლიური ხარჯთაღრიცხვა. შემდეგ, მსგავ-

სად სხულისა, მან ყურადღება მიაქცია სახალხო მეურნეობასაც, თუმცა მისი მიზნები სულ სხვა იყო, ვადრე სხულისა. კოლგერს უნდოდა, საფრანგეთი მეზობლებისაგან დამოუკიდებელ ქვეყანად გადაეჭირა; ამისთვის კი სალკეთესო საშვალებად მას ვაჭრობის განვითარება მიაჩნდა.

მე.XVI და მე.XVII საუკუნეებში გავრცელებული იყო ის აზრი, რომ ქვეყნის სიმდიდრე იქ თავმოყრილ ფულის რაოდენობით გაიზომებოდა. ამიტომ სამეურნეო პოლიტიკის მთავარ მიზნად სახელმწიფო ში ლითონის დაგროვებას სახავდენ. ამ მიზნის შისაძ წევად მთავრობა ცდილობდა საქონლის გაზიდვის გაძლიერებას შემოზიდულ საქონელთან შედარებით, რადგან ამ შემთხვევაში ნაკლები ფული გაის, ხოლო მეტი შემოდის სახელმწიფო ში (ე.წ. ხელსაყრელი სავაჭრო ბალანსი). ამგვარ მოძრვებას მერკანტილიზმი ეწოდება, და მასთან მერკანტილიზმთან დაკავშირებული იყო მისწრაფება საგარეო მრუწველობის გავლენისაგან გათავისუფლებისადმი. ყოველ ქვეყანაში უნდა გაკეთდეს ის, რაც საჭიროა იქ მცხოვრებ საზოგადოებისათვის. თუ ზოგიერთი დარგის ნაწარმოები ვერ აიტანს უცხო ქვეყნიდან შემოტანილ საქონლის მეტოქეობას სიავ-კარგის ან ფისის მხრივ, მთავრობა ვალდებულია მფარველობა გაუწიოს ადგილობრივ საქონელს — მაგ., უცხო ქვეყნის საქონელს უნდა დაედვას ბაჟი, დაენიშნოს პრემია წარმატებისათვის ადგილობრივ მრეწველობას, მოიზიდოს უცხოეთიდან გამოცდილი ხელოსნები და სხვა. ამგვარ მფარველობით პოლიტიკას ჰქვია „პროტექციონიზმი“. კოლგერი ყველა ამ აზრს იჩიარებდა და ამიტომ მის ეკონომიკური პოლიტიკა მერკანტილისტური და პროტექციონისტული იყო.

ნედლი მასალა, რომელიც საფრანგეთის მრეწველობას ესაჭიროებოდა, ნება დართული იყო უბაჟოთ შემოწანათ, უცხო მრეწველობის ნაწარმოებზე კი ისეთი ღიღი ბაჟი დაადვეს, რომ იძულებული იყვნენ მის საფრანგეთში შემოზიდვაზე უარი ეთქვათ. ადგილობრივი მრეწველობის შესაქმნელად,

კოლბერი უცხოებიდან იწვევდა ხელოსნებს, მექარხნეებს ად-  
ლევდა კაპიტალს, აწყობდა სახელმწიფო ქარხნებს და აწე-  
სებდა სახელმწიფო კონტროლს კერძო წარმოებაზე. არც ვა-  
ჭრობას ჰქონია მიქცეული ნაკლები ყურადღება. კოლბერმა  
საუკეთესო გზებისა და არხების მთელი ქსელი გააბა და ამას-  
თანავე იგი საახალშენო წარმოებას დიდ დახმარებას უწევდა.  
სამხედრო ფლოტიც თითქმის ხელახლად შეჰქმნა კოლბერმა  
— მისთვის ბრესტში საუცხოვო ნავთსადგური იქნა მოწყობილი.

თუ კოლბერი საწარმოვო ძალების განვითარებას უწყობ-  
და ხელს, სამაგისტროდ ლუვუა ცდილობდა ყველაფერი ეს  
სახელმწიფოს სასარგებლოდ გამოაყენებია. ის სამხედრო მი-  
ნისტრი იყო. საფრანგეთის არმიის გაძლიერებისა და გაუმჯო-  
ბესებისათვის არაფერს არ ზოგავდა. ლუდოვიკ მე-XIV-ს მე-  
ფობის უკანასკნელ წლებში ჯარში 550000 კაცამდე ითვლე-  
ბოდა, და ეს იმ დროს, როდესაც მცხოვრებთა საზოგადო  
რიცხვი 20 მილიონს არ აღემატებოდა. ლუვუა განსაკუთრე-  
ბულ ყურადღებას აქცევდა, როგორც ჯარის შეიარაღებას და  
ჩაცმა-დახურვას, აგრედვე მისს ნივთიერი საშუალებებით უზ-  
რუნველყოფას, საწყობების მოწყობას და სხვათ. სამხედრო  
ტექნიკა განვითარების უმაღლეს წერტილამდი იქმნა აყვანილი,  
და ამიტომაც საფრანგეთის ჯარი გაცილებით უფრო სწრაფად  
იცვლიდა ადგრლს და თავისუფლად მოქმედებდა, ვიდრე ევ  
როპის რომელიმე სხვა სახელმწიფოს არმია. საინჟენერო ნა-  
წილი მარშალსა ვობანშე ჰქონდა ჩაბარებული. მან ქვეითა  
ჯარის შეიარაღებაში თვალსაჩინო ცვლილება შეიტანა, გამო-  
იგონა ხიშტი და ამით ერთი კაცის ხელში ტყვიის მსროლელ-  
სა და ცივ იარაღს თავი მოუყარა; წინად კი ქვეითა ჯარი  
ორ ნაწილად იყოფოდა: მსროლელებად და შუბებით შეიარა-  
ღებულ მეომრებად. ლუვუას დროს-ჯარში კორპორატული  
სული შემუშავდა და ამით არმია მეფის უფლების უძლიერესი  
ყავარჯენი შეიქმნა.

**ჰუგენოტების  
საკითხი.** ლულოვიკ მე XIV ვერ შერიგებოდა იმ

რელიგიას არ მისდევდა, რომელსაც თვითონ აღიარებდა. რი-  
შელიეს შემდეგ ჰუგენოტები აღარავითარ საფრანგეს აღარ წარ-  
მოადგენდენ; პირაქით, ისინი, როგორც გამობრძედილნი მუ-  
შავნი, უაღრესად გამოსადევე ხალხი იყვნენ სახელმწიფოთა-  
თვის. ამის მიუხედავად მეფემ ათ დევნა დაუწყო 1685 წელს  
გაუქმებულ იქმნა ნანტის ედიქტი. პროტესტანტების ეკლე-  
სიები დაკეტილ იქმნა და პასტორებს ღვთისმსახურების შე-  
სრულება აეკრძალათ. დაიწყო ემიგრაცია. მიუხედავად იმისა,  
რომ ემიგრანტებს სიკვდილით დასჯის მუქარით სამშობლოს  
დატოვება აკრძალული ჰქონდათ. ჰუგენოტები მაინც ათასო-  
ბით გადასახლდენ საფრანგეთიდან და თავისი ახალი სამშობ-  
ლოს (გერმანია, შვეიცარია, პოლანდია). ფრანგ სასარგებ-  
ლო მოქალაქეებად შეიქმნენ. **სევენის მთებში** იფეთქა აჯან-  
ყებამ, რომელიც უკინასკნელი ამოძახილი იყო სინდისის თა-  
ვისუფლებისათვის ბრძოლისა. ლუდოვიკმა სასტიკი ხომებით  
ჩააქრო ეს აჯანყება.

### ლუდოვიკ მე-XIV მამა.

საფრანგეთის მთელი სახელმწიფოებრივი ძლიერება ლუ-  
დოვიკ მე-XIV-მ დაპყრობითი პოლიტიკისაკენ მიმართა. ეკროპის  
სახელმწიფოთა სამხედრო მდგომარეობა ისეთი იყო, რომ ლუ-  
დოვიკ XIV-ს მაღას იმპერიალისტურ უღვიძებდა: ისპანია და  
იმპერია მას შემდეგ რაც რიშელიემ მათი ძალა შეარყია დაუ-  
ძლურებული და უვნები იყვნენ; პოლანდია, როგორც პატა-  
რა სახელმწიფო, საშიშროებას არ წარმოადგენდა, ინგლისი  
შინაური განხეთქილებით იყო დასხულებული, შვეცია საფ-  
რანგეთის მოკავშირედ ითვლებოდა. და სწორედ ეს მეზობლე-  
ბის სისუსტე იყო, რომ ლუდოვიკს დაპყრობის ხასიათზე აყე-  
ნებდა და ევროპის რუქის თავის მიზნებისდაგვარად შეცვლაზე

აფიქრებდა. პირველი თავდასხმა ისპანიას ხვდა წილად. ფილიპე მე-IV სიკვდილის შემდეგ სამეფო გვირგვინი მის შეიღწე არლოს მე II გადატიდა. ლუდოვიკ მე-XIV თავისი ჯარები ისპანიის ნიდერლანდებში გაგზავნა. ის ამბობდა, ჩემს ცოლს, როგორც ფილიპე მე-II პირველი ცოლის უფროს ქალს, **ფლანდრიის უფლების** ძალით, მეტი უფლება აქვს ფლანდრიაზე, ვადრე კარლოს, როგორც მეორე ცოლისაგან შეძენილ ვაჟი. მაგრამ საქმე რომ პრიუსსელის ახლო მდებარე რომელისამე მამულის შესახებ ყოფილიყო, ლუდოვიკი მართალი იქნებოდა, მაგრამ სამეფო უფლებების მეტვიდრეობის დამყარება სამოქალაქო უფლების ერთ-ერთ მუხლზე მარტო ლუდოვიკს თუ მოუვიდოდა აზრად. ამიტოაც ცხადი იყო, რომ ლუდოვიკი ომის საბაბს ეძებდა და ფლანდრიის უფლება მხოლოდ ამისთვის დასჭირდა. ამიტომაც ფრანგების მოქმედებამ შიში აღუძრა არა მარტო ისპანელებს; პოლანდიელებმა მოხერხეს სამთა კავშირის შექმნა იგლისთან და შვეციასთან ერთად, რათა ფრანგების შემოსევა შეეჩერებიათ. 1668 წელს მოლაპარაკება დაიწყეს და **ახენში** ზავი შეჰკრეს, რომლის პირობების მიხედვითაც ისპანიამ ნიდერლანდების სამხრეთი ციხეების ხაზი სხვათ შორის მნიშვნელოვანი **ლილი** დაჰკარგა.

მეორე თავდასხმა მიმართული იყო პოლანდიის წინააღმდეგ, რომლის დასჯაც ლუდოვიკს წინა ომში მისი უდროო ჩარევისათვის ეწიდა. ლუდოვიკ მე-XIV კარლი, მე-II მოისყიდა, მიმერო შვეციაც და თვითონ შეერთებული პროვინციების წინააღმდეგ გაილაშქრა. ჯარს, რომელშიც **ტირენნი** და **კონდე** მსახურობდენ, თვითონ ჩაუდგა სათავეში. ტირენნმა ისე ხელოვნურად წაიყვანა საქმე, რომ ფრანგებმა პოლანდიის ციხეებს ისე შემოუარეს და ბარში ისე გავიდენ მოწინააღმდეგესთან ერთი ბრძოლაც არ მოსვლიათ. რომ ჯარში თვით მეფე არ ყოფილიყო, უოუოდ ამსტერდამსაც კი აიღებდენ. ლუდოვიკ მე-XIV საქმე გააჭიანურა და ამით პოლანდიელებს შეძლება მისცა უკიდურესი საშუალებისათვის მიე-

მართათ-მათ ჯებირები გახსნეს და მთელი ქვეყანა წყლით აავსეს. იმავე დროს პოლანდიის აღმირალმა რუიტერზა ინგლისისა და საფრანგეთის შეერთებული ფლოტი დაამარცხა. ეს გარემოება საკარისი შეიქმნა, რომ მეზობელ სახელმწიფოებს პოლანდიის დახმარება გადაეწყვიტათ: იმპერატორმა ლეოპოლდმა და ბრანდენბურგის კურფუურსტმა ფრიდრიხ ვილჰელმმა საფრანგეთს ომი გამოუცხადეს. აუცილებელი შეიქმნა შეერთებული პროვინციების დატოვება და ოპერაციების რეინის ხაზზე გადატანა. ტირენნმა აყვავებული პფალცი დაარბია და დასწვა, რათა ამით მტრის ჯარებისათვის გზა შეეკრა. იმპერატორისა და ბრანდენბურგის კურფუურსტის ჯარებმა ლამის ალზასი არ დაიკავეს, მაგრამ ტიურენნი მოულოდნელად მათ თავს დაესხა და ალზასიდან განდევნა. მაგრამ ერთი დაზვერვის დროს იგი მოკლულ იქმნა, და ერთმა გარემოებამ მეტი ზიანი მიაყენა ფრანგებს, ვიდრე წაგებულმა ბრძოლამ. 1679 წელს ომი გათავდა და ნიმვეგენში ზავი შეჰქრეს: ამ ომში წაგებული ისევ ისპანია დარჩა; ის იძულებული შეიქმნა ფრანგებისათვის ფრანშ-კონტე დაეთმო.

ეხლა ჯერი გერმანიაზე მიღა. ლუდოვიკმა ეგრევ წოდებული „შემოერთების პალატები“ (chambres des réunions) დააარსა. იმის გადასაწყვეტად, თუ ფლანდრიის, ალზასისა და ფრანშ-კონტედან რა და რა ადგილები უნდა შემოერთებიათ, პალატი და თუ იმ ადგილის შემოერთების შესახებ განკარგულებას სცემდა. და საფრანგეთის ჯარს ეს დაუყოვნებლივ სისრულეში მოჰყავდა. ამგვარად დაკავებულ იქმნა ლიუქსენბურგი, ტრირის ოლქი, დასავლეთი პფალცი, ქალაქების მთელი რიგი ალზასში და დაბოლოს, სტრასბურგიც. ამ ხანებში ოსმალოვბი ძალზე ავიწროებდენ ავსტრიის, და ერთ დროს ვენაც კინალ.მ აიღეს. ამიტომ იმპერიი გულის ტკივილით ითმენდა ლუდოვიკის ვერაგობას. მაგრამ, ბოლოსაც იქნა, შეერთებული შტატების შტატპალტერმა ვილჰელმ არანელმა საფრანგეთის წინააღმდეგ კოალიციის შედგენა მოა-

ხერხა, რომელსაც იმპერატორი, გერმანელი მთავრების უმეტესი ნაწილი, ისპანია, შვეცია და იტალიის სახელმწიფოებიც მაემსრენ მალე ვილჰელმ ორანელმა ინგლისის ტახტი ჩაიგდო ხელში, და ამგვარად საფრანგეთის წინააღმდეგ. მთელი ევროპა დაირაზმა. დაიწყო ომი, რომელმაც ათ წელს გასტანა. ფრანგები ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდენ ბრძოლის ველიდან, მაგრამ მტრების მრავალრიცხვანობის გამო ამ გამარჯვებით სარგებლობას ვერ ახერხებდენ. ფრანგები ზღვაზედაც კი იმარჯვებდენ, მათი აღმოჩალი ფურვილი ერთხანს ლამანშის წყლებს ფლობდა; მაგრამ ინგლისელებმა ფრანგების ფლოტი ბოლოს მაინც დაამარჯხეს და ამრო ზღვაზე ბატონობა საბოლოოდ განიმტკიცეს. 1698 წელს, მოწინააღმდეგეთა მოქანცვის გამო რისფიქში ზავი იქმნა შეკრული. ლუდოვიკი იძულებული შეიქმნა პალატების მიერ შემოერთებულ აღვილებზე უარი ეთქვა, გარდა სტრასტბურგისა, და ინგლისის მეფედ ვილჰელმ ორანელი ეცნო.

ზავი დროებითი აღმოჩნდა. ზავის ჩამოგდების დროს ყოველ წუთში კარლოს ბეორტის სიკვდილს მოელოდენ, რომელსაც საკითხი უნდა დაესვა ისპანიის მემკვიდრეობის შესახებ. საქმე ის არის, რომ დედრობითი ხაზით მემკვიდრეებად ლუდოვიკ მე-XIV და იმპერატორი ლეოპოლდი ითვლებოდენ. ამიტომ ლაპარაკი ჩამოვარდა ისპანიის მონარქიის განაწილებაზე, მაგრამ ლუდოვიკ მე-XIV მოახერხა და მომაკვდავ მეფეს თავისი შვილის შვილის ფილიპეს სასარგებლოდ ანდერტი და ტოვებია; გარდაიცვალა თუ არა კარლოს მე-II (1700), საფრანგეთის ჯარმა ისპანიას გაილაშქრა. იმპერატორმა თავის მხრით თავისი მეორე შვილის, კარლოსის კანდიდატურა წამოაყენა; მას მხარი დაუჭირეს ინგლისმა, პოლანდიამ და გერმანიის მთავრების უმრავლესობამ. დაიწყო სასტიკი ომი. ისპანიის სამკვიდრებელისათვის ფრანგები გაშმაგებით იბრძოდენ, მაგრამ გამოხენილი სარდლები, რომლებიც ლუდოვიკ მე-XIII დროს აღიზარდენ, ტიურენნი და კონდე ამ დროს უკვე ცო-

ცხლები აღარ იყვნენ — მათი ადგილი კი ქარაფშუტა კარისკა-  
ცებმა დაიკავეს, მაგ. ჰერცოგმა ვილლრუამ; პირიქით, მო-  
კავშირეებს იმგვარი პირველჩარისხვანი სარდლები აღმოაჩნ-  
დათ, როგორიც იყვნენ პრინცი ევგენი საფოელი და განსა  
კუთრებით ლორდი მალბორო.

მთავარი ომი გერმანიაში, ნიდერლანდებში და საფრან-  
გეთის ჩრდილოეთ ნაწილში სწარმოებდა. პრინცი ევგენის და-  
ხმარებიო ლორდი მალბორო ფრანგებს ზედიზედ ამარცხებდა  
საქმე იქამდი მივიღა, რომ პოლანდიის ცხენოსნების ერთი  
რაზე ვერსალთან მიიჭრა. ლუდოვიკმა შერიგება ითხოვა,  
მაგრამ ომი მხოლოდ რშიტომ განაგრძო, რომ მიუღებელი  
პირობები წამოაყენეს: ფილიფე მე-IV ისპანიიდან განდევნას  
თვითონ მას ავალებდენ; საქმე ისე ცუდად მიდიოდა, რომ  
აუცილებელი ხდებოდა ყველაფერზე დათანხმება. ლუდოვიკ  
მე XIV საბედნიეროდ ინგლისის პოლიტიკაში ცვლილება მო-  
ხდა, რადგანაც იქ ომის მოწინააღმდეგე ტორების პარტიამ  
გაიმარჯვა. ამას გარდა, იმპერატორ ლეოპოლდისა და შისი  
შვილის იოსებ I სიკვდილის შემდეგ იმპერატორის გვირგვინი  
ჰერცეგრუკოგმა კარლოსმა მიიღო, რომელიც მოკავშირეებს  
ისპანიის ტახტზე ასაყვანად უნდოდათ. ამან გარემოება სრუ-  
ლებით შეცვალა, რადგანაც მოკავშირეებს სრულებით არ  
სურდათ კარლოს მე-IV მონარქიის ხელახლად შექმნა. დიდ  
შთაბეჭდილებას ახდენდა აგრეთვე ფრანგების შეურყყველი  
პატრიოტიზმიც, იგინი დამარცხებების მიუხედავად, ერთ არ  
მიას მეორეზე ადგენდენ, იბრძოდენ გმირულად და მოკავში-  
რეები რამდენჯერმე კიდეც დაამარცხეს. ეს იყო იმის მიზეზი,  
რომ ფრანგებმა ხელსაყრელი ზავი ჩამოაგდეს მტრებთან უტ-  
რესტში და რაშტადტში. (1714). ფილიპე მე-IV ცნობილ  
იქმნა ისპანიის მეფედ, მაგრამ უარი გააცხადა საფრანგეთის  
ტახტზედ, როგორც პირადად, ისე ჩამომავლობის სახელითაც;  
ინგლისს დაუთმო ჰიბრალტარი, ხოლო ავსტრიას ბელგია,  
შილანი და ნეაპოლის სამეფო. საფრანგეთმა თავის მხრივ

ავსტრიას ფლანდრიის დიდი ნაწილი დაუთმო, ხოლო ინგლისს ჩრდილო-ამერიკის სამფლობელოების ნაწილი. სავოიის ჰერცოგს საფოია დაუბრუნა, (იგი პიემონტთან და სარდინიისთან ერთად სამეფოდ გამოცხადდა.) დასასრულ პოლიანდიამ ბელგიის ციხეების რიგი დაიკავა და ამით საფრანგეთის წინააღმდეგ თავი უზრუნველჰყო.

საზავო პირობები, ამრიგად, შედარებით ძალიან საპატიო იყო. მაგრამ საფრანგეთის მდგომარეობის შეცვლა ამ დროს მარტო ტერიტორიის შემცირებით არ განისაზღვრებადა; გაუთავებელმა ომიანობამ საფრანგეთი გამოფიტა, მასი ვალი ოთხ მილიარდს უდრიდა, მცხოვრებლების რიცხვი და ნივთიერი კეთილდღეობა ძალზე დაეცა; ამასთანავე ხალხი სულით დაბუნდა, ხოლო მთელმა სისტემამ ზნერბლივი მსხვრევა განიცადა. ასეთი იყო საფრანგეთი, როდესაც იგი ლუდოვიკ XV ს ხელში გადავიდა.



230